საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

№212
(12 282)

8 სექტემბერი შაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭოჰმიოლერი დარწმუნებულია: ვიგებთ!

ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. B ჯგუფი
თბილისი. 8 სექტემბერი. ეროვნული სტადიონი. 19:00

სავარაუდო შემადგენლობები

საქართველო	უკრაინა
ლომაია	შოვკოვსკი
ღვინიანიძე	იეზერსკი
ასათიანი	რუსოლი
კალაძე	კუჩერი
სალუქვაძე	შევჩუკი
მენთეშაშვილი	გუსევი
ცქიტიშვილი	ტიმოშჩუკი
კობიაშვილი	შელიაევი
დემეტრაძე	კალინიჩენკო
იაშვილი	ვორონინი
მარცვალაძე	შევჩენკო

ოლეგ ბლოხინი:
ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა
3



გიორგი დემეტრაძე:
დადეთ ჩვენს ნაგებაზე და ვნახავ, რასაც მოიგებთ
3

სამი ფორვარდი და ასათიანი დაცვაში

კლაუს ტოჰმიოლერის პრესკონფერენცია და ნაკრების ვარჯიში
2



სეგრტმა სიტყვა შეასრულა

ახალგაზრდები.
საქართველო 2
ყაზახეთი 1
ახლა ესპანეთი
4-5

სენსაცია არ მომხდარა!

iRB RUGBY WORLD CUP 2007 FRANCE

7 სექტემბერი, სენ დენი

საფრანგეთი–არგენტინა 12:17

საფ: (15-9) ემონსი, რუჟრი, ჟოზიონი, ტრაი, დომინისი, სკრელა (მიშალაკი 62), მინიონი (ელისალდი 73); (1-8) მილუ, იბანესი (შარჟესკი, 60), დევილიე, პელუ (შაბალი 60), თიონი, ბეტსენი, მარტენი (ბონერი 60), არინორდოკი - *4ს (სკრელა)*

არგ: (15-9) კორლეტო, ბორხესი, მ. კონტეპომი (სენილიოსა 73), ფ. კონტეპომი, აგულა, ერნანდესი, პიშო; (1-8). რონსერო, ლედესმა, სკელსო (გონსალეს ბონორინო 64), ი. ფერნანდეს-ლობე (ალვარესი 28), ალბასეტე, ოსტილია (დურანი 73), ხ. ფერნანდეს-ლობე, ლეგისამონი - ლ *(კორლეტო), 4ს (ფ.კონტეპომი)*

მსაჯი: ტონი სპრიდბერი (ინგ)

ძალიანაც ნუ შეშინდებით. 11 სექტემბერს საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ უთუოდ არგენტინელთა მეორე თხუთმეტეული ითამაშებს. ცხადია, ძალიან ძლიერი გუნდი, მაგრამ მაინც მეორე შემადგენლობა. თანაც, ჩვენი მეტოქეებიდან სტილით ყველაზე ახლოს ჩვენთან სწორედ არგენტინაა - იქნება ძალიან დიდი შეხლა-შემოხლა, ჯაჯგური და არა გვგონია, რომ მათმა შერკინებამ ქართული ძალიან და აშკარად დაჩაგროს. საქართველოს ნაკრებს კარგი შანსები აქვს, რომ ღირსეულად გაიბრძოლოს და მინიმალური შესაძლო სხვაობით დამარცხდეს - ჩვენი აზრით, სადღაც 20, მაქსიმუმ 30 ქულის ფარგლებში. არგენტინას ჩვენს წინააღმდეგ მთავარ მიზნად ალბათ 4 ლელოს გატანა და პრემიალური ქულის დაბევება ექნება, რადგან არაა გამორიცხული, ჯგუფის სამმა ფავორიტმა - საფრანგეთმა, ირლანდიამ და არგენტინამ ერთმანეთს თითო თამაში მოუგოს და საუკეთესო ორი გუნდის გამოსავლენად მთავარი სწორედ პრემიალური ქულები გახდეს.

14

იგნასიო კორლეტოს ლელო

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გასხენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა
www.pfl.ge

ტოპმიოლერი გამარჯვებაში დარწმუნებულია

ასათიანი-კალაძე, მსოფლიო კლასის წყვილი...

კლაუს ტოპმიოლერს ვარჯიშზე მიეჩქარებოდა და მისი პრესკონფერენცია დიდხანს არ გაგრძელებულა. ეროვნული ნაკრების თავკაცთან ერთად, პრესას ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმაც მიმართა.

- მატჩს მოუთმენლად ველით. იმედი მაქვს, რომ ეროვნულ სტადიონზე მაქსიმალური რაოდენობის გულშემატკივარი მოვა. უკრაინა ძალიან ძლიერი გუნდია, თბილისშიც საუკეთესო შემადგენლობით ჩამოვიდა, მაგრამ კიევური მატჩი კარგად მახსოვს. მაშინ დასანანი მარცხი ვიწვნიეთ, ამჯერად ეს აღარ უნდა განმეორდეს. საქართველოს ნაკრებში საბრძოლო განწყობაა, დარწმუნებული ვარ, რომ კარგ თამაშს ვაჩვენებთ და გავიმარჯვებთ.

სამწუხაროდ, ტრავმის გამო, **ზაალ ელიავა** გამოგვაკლდა. **ილია კანდელაკმა** სრული დატვირთვით ვერ ივარჯიშა. **ლევან კობიაშვილის** თაობაზე გადაწყვეილებას ვარჯიშის შემდეგ მივიღებ, ვიმედოვნებ, რომ ეს შეხვედრა მის გარეშე არ ჩაივლის.

- საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები მხოლოდ აზერბაიჯანთან მატჩისთვის გამოიძახეთ და საკადრო პოლიტიკის თაობაზე აზრი შეიცვალეთ?

- იმ მოთამაშეებმა, რომელთაც ქართული კლუბებიდან ვუხმე, ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. მათი გამოძახების მიზეზი მხოლოდ აზერბაიჯანთან შეხვედრა არაა.

- არაერთხელ გითქვამთ, რომ უკლუბო და სათამაშო პრაქტიკის არმქონე ფეხბურთელების მონვევისგან თავს იკავებთ. ამჯერად, რატომ დაუშვით გამონაკლისი?

- რა თქმა უნდა, კარგია, როცა ფეხბურთელი თავისი კლუბის ძირითადი შემადგენლობის წევრია, მაგრამ ბევრი რამ თვით მასზეა დამოკიდებული. მართალია, ლევან ცქიტიშვილი დღესდღეობით, უკლუბოდაა, მაგრამ იგი ნაკრებისთვის მნიშვნელოვან ფიგურად რჩება. მან ლუქსემბურგშიც მაღალ დონეზე ითამაშა და დარწმუნებული ვარ, უკრაინასთანაც ბოლომდე დაიხარჯება. ანდრეი შევჩენკოც არ თამაშობს "ჩელსის" ძირითადში სისტემატურად, მაგრამ უკრაინის ნაკრების ლიდერია.

- გოლების დიდი ნაწილი ჩვენმა გუნდმა დაცვის ცენტრის უხეში შეცდომების გამო მიიღო. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად რა კეთდება?

- უკრაინასთან ცენტრალური მცველები ასათიანი და კალაძე იქნებიან. პირველად მოხდა, რომ ჩემს განკარგულებაში ორივე ერთადაა, ხან ერთი გვაკლდა და ხან მეორე. ეს წყვილი ობიექტურად ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპასა და მთელს მსოფლიოში. ასე რომ, უკანა ხაზზე პრობლემები აღარ უნდა შეგვექმნას.

პრესკონფერენციის დასასრულს, ნოდარ ახალკაცმა გვამცნო, რომ ჩვენი ეროვნული ნაკრები უახლოეს პერიოდში სერიოზულ სპონსორთან გააფორმებს ხელშეკრულებას და ქართული მხარე აქამდე არნახულ შემოსავლებს მიიღებს. სპონსორის ვინაობა მოგვიანებით გახდება ცნობილი, პრეზენტაცია ოქტომბერში, შოტლანდიასტან მატჩის წინა დღეებში გაიმართება.

ლევან ჯანეზაშვილი

სამი ფორვარდი და ასათიანი დაცვაში

ჩვენი ნაკრების ვარჯიში საღამოს რვა საათზე დაიწყო და დაახლოებით საათნახევარს გასტანა. მასში მონაწილეობა არ მიუღიათ იმ ფეხბურთელებს, რომელთაც ტოპმიოლერმა ბოლო მომენტში, ქართული კლუბებიდან უხმო (დავით ბოლქვაძე, გრიგოლ დოლიძე, გიორგი დეკანოსიძე, დავით ლომაია). ისინი ეროვნულ გუნდს უკრაინასთან მატჩის შემდეგ შეუერთდებიან და ბაქოსთვის მოემზადებიან.

ვარჯიში, რომელშიც 22-მა კაცმა მიიღო მონაწილეობა, სტანდარტული შინაარსით წარიმართა, ერთი ეგ იყო, მწვრთნელთა და ფეხბურთელთა განწყობა მეტად ხალისიანი იყო, ნაკრების გამოცდილი და ახალბედა წევრები სამწვრთნელო შტაბის დავალებებს მონდომებით ასრულებდნენ და ბოლომდე იხარჯებოდნენ.

წვრთნის ყველაზე საინტერესო ნაწილიც მალე დაიწყო. ნახევარ მოედანზე ორკარა გაჩაღდა და დღევანდელი ძირითადი შემადგენლობის კონტურებიც გამოიკვეთა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, "მთავარმა" გუნდმა ამ შემადგენლობით ითამაშა:

ლომაია - ღვინიანიძე, ასათიანი, კალაძე, სალუქვაძე - მენთეშაშვილი, ცქიტიშვილი, კობიაშვილი - მარცვალაძე, იაშვილი, დემეტრაძე.

მეორე გუნდი: **რევიშვილი - შაშიაშვილი, ხიზანეიშვილი, კვახაძე, კანდელაკი - კანკავა, ყენია, მაკარიძე - ჯაკობია, ტატანაშვილი, სირაძე.**

როგორც ხედავთ, ორივე გუნდმა ერთი და იგივე, შემტევი სქემით ითამაშა, ორი განაპირა თავდამსხმელითა და ერთი ცენტრფორვარდით. თავს ვერ დავდებთ, რომ პირველ გუნდში გამწესებული თერთმეტივე ფეხბურთელი დღეს პირველივე წუთებიდან ითამაშებს, მაგრამ ამის დიდი ალბათობა რომ არსებობს, ესეც ნათელია. ამ შემადგენლობაში ორმხრივი თამაშისას ერთადერთი ცვლილება განხორციელდა, მეკარეებმა - გიორგი ლომაიამ და ნუკრი რევიშვილმა ერთმანეთს ადგილები გაუცვალეს. ნახევარმცველის ამპლუაში ურიგოდ არ გამოიყურებოდა "დინამოს" ჭაბუკი მეკარე გიორგი მაკარიძე, თამაში კი 1:1 დასრულდა. ორივე გოლი რევიშვილის კარში გავიდა - ჯერ ზურაბ მენთეშაშვილმა გაიტანა ახლო მანძილიდან, შემდეგ კი ლევან ყენიამ ისე ეფექტურად გაისროლა შორიდან, მთელ სამწვრთნელო შტაბსა და ტრიბუნაზე შეკრებილ ქომაგებს აპლოდისმენტები მოსწყვიტა.

სავარაუდოდ, ლევან კობიაშვილი და ილია კანდელაკი დღევანდელი მატჩის განაცხადში მოხვდებიან, ორმხრივი თამაშისას ისინი ბოლომდე დაიხარჯნენ და არც სხვა მომენტებში დატვირთულან სხვებზე ნაკლებად.

ვარჯიშის დასკვნითი ნაწილი კუთხურებსა და კარში დარტყმებს დაეთმო. გასახდელში გასვლის წინ კახა კალაძემ მილანიდან ჩამოყოლილ იაპონელ ფიზიოთერაპევტს მიმართა, აზიელმა სპეციალისტმა გიორგი დემეტრაძესაც გაუკეთა მასაჟი.

მოკლედ, გუშინ ჩვენი ნაკრების წევრებს ოპტიმიზმი არ აკლდათ. თუმცა ჩვენს ბიჭებს ხასიათი ყველა შეხვედრის წინ კარგი აქვთ, მთავარია, შედეგი იყოს წინასამატჩო განწყობის პროპორციული.

ლევან ჯანეზაშვილი

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

ნუგზარ სუარიძის ფოტო

გიორგი დემეტრაძე:

დადეთ ჩვენს წაგებაზე და ვნახავ, რასაც მოიგებთ

გიორგი დემეტრაძესა და უკრაინას ერთმანეთისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება გააჩნიათ. მათ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. წელს ამ დამოკიდებულებაში ბზარები გაჩნდა. გიორგიმ უკრაინის ფედერაციას ლეგიონერებზე ლიმიტის დაწესების გამო უჩივლა და აგრესიული სტატიებიც დაიმსახურა. აგრესიაში აშკარა ცინიზმიც ერეოდა...

8 სექტემბერს გიორგი დემეტრაძე და უკრაინა ერთმანეთს ისევ დაუპირისპირდებიან. არის ამაში ინტრიგაც და ინტერესიც. გიორგი ხომ მთელი კარიერის განმავლობაშიც ცდილობდა, უკრაინისთვის დაემტკიცებინა, რომ კიევის "დინამოში" თუ ვერ დამკვიდრდა, ეს არ იყო გადამწყვეტი კრიტერიუმი მისი შეფასებისთვის...

დემეტრაძემ ყველაზე გულწრფელი რესპონდენტის სახელი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, როცა საუბრის დასაწყისშივე გვითხრა ის, რაზეც დღეს მთელი საქართველო ლაპარაკობს...

- ხომ ვიცი, მთელი ქვეყანა უკრაინის მოგებაზე დადებას აპირებს. დადონ, რას მოიგებენ, მაგასაც ვნახავ.

- რა დასამალია და, უცნაური ხმები მართლა დადის...

- კარგით, რა! რომელ გაყიდვაზეა ლაპარაკი?! გეუბნებით, ვინც ისეთი სულელია, რომ უკრაინის მოგებაზე ბრმად დადებს ფსონს, ძალიან ინანებს. სისულელეა, წააგებს!

- პირადად შენთვის თამაში პრინციპულია?

- რა თქმა უნდა, პრინციპულია და არა მარტო ჩემთვის. უკრაინაში მოთამაშე ქართველებს გვსურს, დავუმტკიცოთ მათ, რომ მათზე ძლიერები ვართ. ჩემთვის ეს მართლა პრინციპული თამაშია.

- როგორ უნდა დავუმტკიცოთ, როცა ბოლო მუნდიალზე მსოფლიოს მერვე გუნდი გახდა?

- კიევის მატჩი ხომ ნახეთ? არაფერი დაგვითმია. 3:2 ბრძოლაში, უაზრო შეცდომებით წავაგეთ. არადა, მინიმუმ ქულა უნდა აგვეღო. მანამდე თბილისში 1:1 დავამთავრეთ. უკრაინელები ფიზიკურად, ორთაბრძოლებში, კონტრშეტევებში ძლიერები არიან და ხშირად მეტოქეს პერსონალურად ეთამაშებიან. ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ ტექნიკა და ინდივიდუალური თამაში. შემიძლია ვთქვა, რომ მათზე არანაკლები პოტენციალის ნაკრები გვყავს.

- უკრაინის ფედერაციის წინააღმდეგ შენ მიერ წამოწყებული პროცესის შემდეგ უკრაინაში პრესა ღიად დაგიპირისპირდა. ისიც დაწერეს, დემეტრაძეს კიევში სტვენით შეხვდებიანო...

- მე ჯერ სტვენა არ გამიგია...

- მას შემდეგ, შენდამი უკრაინელთა დამოკიდებულება არ შეიცვალა?

- არაფერი არ შეცვლილა. ვისთანაც ვმეგობრობდი, დღემდე ვმეგობრობ. ყველაფერი ჩვეულებრივად არის. შეიძლება, რაღაც აგრესია იყო, მაგრამ ამას მასობრივი ხასიათი არ ჰქონია.

- მოულოდნელი აღმოჩნდა დონეცკის "მეტალურგიდან" კიევის "არსენალში" შენი გადასვლა. 30 წელს გადაცილებული ფორვარდისთვის ფინანსურად სასურველი იქნებოდა კლუბის გამოცვლა.

- არა მარტო ფინანსურად. მთავარი ისაა, უკრაინის დედაქალაქში გადავედი, სადაც თავს კარგად ვგრძნობ.

მერაბ მამულაშვილი

ოლეგ ბლოხინი:

ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა

მწვრთნელმა ვარჯიში ჩაკეტა, შოტლანდიას შეგვადარა და საფრანგეთის მოგება ისურვა



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

რა არის უკრაინა? ანდრეი შევჩენკო, სტეპან ბანდერა, ლუდმილა გურჩენკო და... უკრაინა დიდი ქვეყანაა, არ არის უკიდეგანო თავისი წარსულითა და გამოჩენილი ხალხით, მაგრამ მაინც ვეება სახელმწიფოა. იქ ფეხბურთი უყვართ, ფულიც ძღომაზე აქვს რამდენიმე უკრაინულ კლუბს და შარშან ეროვნულმა ნაკრებმა მუნდიალის მეოთხედფინალამდეც გააღწია.

დღეს საქართველო-უკრაინაა. სტუმრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად იბრძვიან, ხოლო მასპინძლები... მასპინძლები უბრალოდ, მოგებისთვის. ასე მოიტანა ცხოვრებამ...

უკრაინას არ ჰყავს დიდი გუნდი. გუშინ ეროვნულ სტადიონს რომ მოადგა, დიდი ალიაქოთი სულაც არ ამტყდარა, ერთი გოგო ცდილობდა შევჩენკოსთან მიახლოებას, სხვა არაფერი. უკრაინა ძლიერი, მაგრამ ჩვეულებრივი გუნდია...

სტუმრებს დახურული ვარჯიში ჰქონდათ. კამერიანი და უკამერო ჟურნალისტები ოდენ 10-15 წუთით დაგვასწრეს წვრთნაზე. ვერ გეტყვით, რას უნდა ნიშნავდეს ასეთი კონფიდენციალურობა. საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბი ხომ მაინც გამოძებნიდა დიდ ღრიჭოებს უკრაინელთა ვარჯიშის სანახავად...

ვარჯიშამდე კი ჟურნალისტების წინაშე უკრაინელთა თავკაცი ოლეგ ბლოხინი წარსდგა. 54 წლის ბლოხინი მხნედ საუბრობდა, თუმცა კითხვებზე მოკლედ პასუხობდა...

- როგორ ფორმაშია თქვენი გუნდი? მიგაჩნიათ, რომ ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყარეთ თავი?

- შემადგენლობა ოპტიმალურია, ვისი გამოძახებაც მსურდა, თითქმის ყველა ფეხბურთელი ჩემს განკარგულებაშია. ჩემი მოთამაშეების მზადყოფნით კმაყოფილი ვარ. ამ მომენტისთვის უკრაინის ნაკრები კარგ ფორმაშია.

- ყველას აინტერესებს, ითამაშებს თუ არა შევჩენკო საქართველოსთან...

- უმჯობესია, ხვალამდე მოვიცადოთ...

- ანუ, ჯერ არ გადაგიწყვეტიათ შევჩენკოს სასტარტოში დაყენება?

- თუ რა შემადგენლობით ვითამაშებთ, ამაზე ჯერ ბოლომდე არ ვართ ჩამოყალიბებულნი. ყველაფერი თამაშის დღეს გადაწყდება.

- ქართველებს ურიგო გუნდი არ ჰყავთ, თუმცა კარგ შედეგს ვერ აღწევენ. როგორ ფიქრობთ, რითია ეს გამოწვეული?

- საქართველოს წინა შესარჩევშიც ვეთამაშეთ და მაშინაც ვამბობდი, რომ ქართველებს ძლიერი გუნდი ჰყავთ. მათ შორის ბევრი გამოცდილი ფეხბურთელია, რომლებიც კარგ უცხოურ გუნდებში თამაშობენ. ჩვენს შესარჩევ ჯგუფში საქართველო და შოტლანდია ყველასთვის ანგარიშგასაწევი მეტოქეები არიან.

- ანდრეი ნესმაჩნის სრულფასოვნად შეცვლა მოხერხდება?

- თამაშის დროს ნახავთ, ვინ და როგორ შეცვლის ნესმაჩნის.

- როგორ გაიხსენებდით თქვენი თაობის ქართველ ფეხბურთელებს?

- თბილისის "დინამო" ყოველთვის "სახლის" გუნდი იყო. მის წინააღმდეგ თამაში მართლაც სასიამოვნო გახლდათ, რადგან ძალიან კარგი ფეხბურთელები ჰყავდა, მაგალითად, ალექსანდრე ჩივაძე... ახლა ყველას ვერ ჩამოვთვლი.

- იტალია-საფრანგეთის მატჩში რა შედეგს ისურვებდით?

- ჯგუფის ფავორიტად საფრანგეთს მივიჩნევ და ჩვენთვის აჯობებს, თუ ფრანგები მოიგებენ. თუ იტალია გაიმარჯვებს, ჯგუფიდან გასვლა უფრო გაგვირთულდება. იმას არ ვგულისხმობ, რომ კონკურენტების ერთმანეთში თამაშს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ. ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა. საქართველოში მოსაგებად ჩამოვედით.

დავით თავართქილაძე

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

უკრაინული მონაგარი

დღეს, საქართველო მერვედ დაუპირისპირდება უკრაინას, რომლისთვისაც არასდროს მოუგია, ორი ფრე უთამაშია და ხუთჯერ წაუგია. თუ წინა შვიდ თამაშს გავიხსენებთ, საქართველოს არცერთხელ არ ჰქონია გამარჯვების შანსი, თუმც, იყო რამდენიმე შეხვედრა, ჯაბანი არ ყოფილა და მაინც წაუგია.

როცა დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდები თამაშობენ და 0:4 -ს წააგებ, შეგიძლია თქვა, რომ ეს შემთხვევითი ანგარიშია. მაგრამ მაშინ ასე არ იყო - წვიმიან ამინდში ვლადიმერ გუცაევის ნაკრები დაიზლაზნებოდა, უკრაინა კი - დარბოდა. წელიწადის შემდეგ, თბილისში ასე აღარ იყო, მაგრამ მაინც წავაგეთ - სოსო გრიშიკაშვილმა შორეული დარტყმიდან გაუშვა. იმ დროს საქართველოს ნაკრები ექსპერიმენტული შემადგენლობით თამაშობდა ხოლმე და შედეგიც მით უფრო რთული მისაღწევი იყო.

2001 წელს უკრაინასთან 0:0 რომ ვითამაშეთ, ჩვენს ეროვნულ გუნდს ყიფიან-ძოძუაშვილის ტანდემი წვრთნიდა. უსახური მატჩი გამოდგა ლოგიკური ანგარიშით. მომდევნო წელიწადს ქართველებმა 1:2 წააგეს კიევში ასევე ამხანაგურ შეხვედრაში. ლადო ბურდულმა ულამაზესი გამთანაბრებელი შეაგდო, თუმც ბოლო წუთებზე მაინც ჩაფლავდა ალექსანდრე ჩივაძის გაწვრთნილი გუნდი.

გერმანია 2006-ის შესარჩევებისთვის საქართველოსა და უკრაინას შორის, შეიძლება ითქვას, ძალთა თანაბარი ბალანსი იყო. კიევში 0:2 კი დავმარცხდით, მაგრამ ბევრი რამ გერმანელი არბიტრის ვოლფგანგ შტარკის ნამუსზეც უნდა იყოს. ამავე ციკლის მეორე შეხვედრა ცარიელი ტრიბუნების წინ გაიმართა - გოგა გახოკიძემ მატჩის მინურულს ისეთი ოცდაათმეტრიანი ჯარიმა შეასრულა, ძნელად, რომ შესატყვისი ეპითეტი მოეძებნოს - გაიოზ დარსაძის ნაკრებიც ფრეს გამორჩა.

ამ შესარჩევში კი კლაუს ტოპმიოლერის ნაწრთობმა საქართველომ ისე ითამაშა კიევში, რომ დასანანი მარცხი იწვნია. საქართველოს ნაკრები ცალკეული ფეხბურთელების გამოუცდელობამ დააშამათა.

ორი ფრე, ხუთი წაგება, 4 გატანილი გოლი და 13 გაშვებული. ცუდი მონაგარია, რომელიც დღეს უნდა გამოკეთდეს.

დავით თავართქილაძე

ამხანაგური მატჩი
1998 წელი. 19 აგვისტო. კიევი

უკრაინა-საქართველო 4:0

1:0 რებროვი (1), 2:0 რებროვი (43), 3:0 სკაჩენკო (57), 4:0 მაქსიმიუკი (75)

უკრაინა: შოვკოვსკი (46. ვორობიოვი), ლუჟნი (70. სტაროსტიაკი), ევტუშოკი, გოლოვკო, ვაშჩუკი, გუსინი, მიკიტინი (46. სკაჩენკო), კალიტვინცევი (46. კოვალიოვი), კოსოვსკი (42. მაქსიმიუკი), შევჩენკო, რებროვი.

საქართველო: ტოგონიძე (46. გვარამაძე, ცქიტიშვილი, შუყილაძე, დიდავა (73. სილაგაძე), კალაძე, კობიაშვილი, ნემსაძე (46. წერეთელი, ჯამარაული, ქეცბაია, ქინქლაძე, იაშვილი (61. დემეტრაძე).

მსაჯი: რ. ლაიუკსი (ლატვია)

ამხანაგური მატჩი
1999 წელი. 22 მარტი. თბილისი.

საქართველო-უკრაინა 0:1

0:1 კონოვალოვი (78)

საქართველო: გრიშიკაშვილი, ბალაშვილი, ჩხაიძე, წერეთელი, თარხნიშვილი, კალაძე, ნემსაძე (70. გახოკიძე), კობიაშვილი, დ. ჯანაშია (21. ალექსიძე), დემეტრაძე, ფოცხვერია (64. აშვეთია).

უკრაინა: ვორობიოვი (46. შოვკოვსკი), მიკიტინი, პოპოვი, კოვალი, გოლოვკო, კლიტვინცევი (46. ვაშჩუკი), კირიუხინი, კარდაში (46. გუსინი), კოვალიოვი, სკაჩენკო (80. მიზინი), კონოვალოვი.

მსაჯი: კაზარიანი (სომხეთი).

ამხანაგური მატჩი
2001 წ. 14 თებერვალი. თბილისი

საქართველო-უკრაინა 0:0

საქართველო: გვარამაძე, სილაგაძე, კობიაშვილი (46. თოდუა), რეხვიაშვილი, ქემოკლიძე, ხიზანიშვილი, კალაძე, ყაველაშვილი (65. ცქიტიშვილი), ქეცბაია, ჯამარაული (59. აშვეთია), ა. არველაძე (50. მენთეშაშვილი).

უკრაინა: შოვკოვსკი, სტაროსტიაკი (48. პოპოვი), ნესმაჩნი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი, ლისიცკი, ტიმოშჩუკი, კარდაში (66. ვენგლინსკი), ვორობი, მელაშჩენკო (80. ხომა).

გაფრთხილება: დმიტრულინი

მსაჯები: ხოგან მამედოვი, რამიზ ასადოვი, ელდარ ნაგიბეკოვი (აზერბაიჯანი).

ამხანაგური მატჩი
2002 წ. 17 აპრილი. კიევი

უკრაინა-საქართველო 2:1

1:0 რებროვი (17), 1:1 ბურდული (70), 2:1 ტიმოშჩუკი (90)

უკრაინა: შოვკოვსკი (55. რევა), კორმილცევი (60. მაქსიმოვი), სკრიპნიკი (60. ზადოროჟნი), ფიოდოროვი, ვაშჩუკი, გუსინი, შევჩენკო (51. შიშენკო), ტიმოშჩუკი, ზუბოვი, ვორობი (65. სკაჩენკო), რებროვი (65. ნაგორნიაკი).

საქართველო: გვარამაძე, ლ. კობიაშვილი, შაშიაშვილი, რეხვიაშვილი, საჯაია (53. ბურდული), შეყილაძე, ამისულაშვილი (84. დარასელია), ჯამარაული (72. ქემოკლიძე), ყაველაშვილი (46. დიდავა), ქინქლაძე (68. ალექსიძე), დემეტრაძე (80. აშვეთია).

მსაჯი: ლუბომ მიხელი (სლოვაკეთი).

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი
2004 წ. 13 ოქტომბერი. ლვოვი.

უკრაინა-საქართველო 2:0

1:0 ბელიკი (12), 2:0 შევჩენკო (80).

უკრაინა: შოვკოვსკი, ნესმაჩნი, ფიოდოროვი, ეზერსკი (46. ჩეჩერი), ტიმოშჩუკი), რუსოლი, გუსინი, გუსევი, ვორონინი (40. შელაევი, 65. ზაკარლიუკა), ბელიკი, შევჩენკო.

საქართველო: დევაძე, მჟავანაძე (46. ბურდული), ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი, სალუქვაძე, ცქიტიშვილი, კობიაშვილი, ასათიანი, ჯამარაული (85. დემეტრაძე), იაშვილი, შ. არველაძე.

გაფრთხილება: შ. არველაძე (64), ბურდული (83).

მსაჯი: ვ. შტარკი (გერმანია)

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი
2005 წ. 3 სექტემბერი. თბილისი

საქართველო-უკრაინა 1:1

0:1 როტანი (44), 1:1 გახოკიძე (89).

საქართველო: ლომაია, მენთეშაშვილი (77. გოგუა), ხიზანიშვილი, კალაძე, კობიაშვილი (77. მუჯირი), ოდიკაძე, კანკავა, ცქიტიშვილი, გახოკიძე, ასათიანი (87. აშვეთია), დემეტრაძე.

უკრაინა: შოვკოვსკი, ნესმაჩნი, ფედოროვი, ტიმოშჩუკი, იებერსკი, რუსოლი, შევჩენკო, როტანი, გუსინი, ვორონინი (75. ნაზარენკო), შეჩენკო (68. რებროვი).

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი
2006 წ. 6 სექტემბერი

უკრაინა-საქართველო 3:2

1:0 შევჩენკო (31), 1:1 არველაძე (38), 1:0 დემეტრაძე (61), 2:2 როტანი (6), 3:2 რუსოლი (80).

უკრაინა: შოვკოვსკი, ნესმაჩნი, რუსოლი, ტიმოშჩუკი, როტანი, შცაიევი, გუსევი, რებროვი (57. ვორინინი), გუსინი (46. იებერსკი), ტკაჩენკო (63. ვორობეი), შევჩენკო.

საქართველო: ჭანტურია, იმედაშვილი (34. კანდელაკი), ხიზანიშვილი, ასათიანი, გოგუა, კანკავა, კობიაშვილი, მენთეშაშვილი (82. აშვეთია), კვირკველია (81. მუჯირი), შ. არველაძე, დემეტრაძე

საქართველო-ყაზახეთი

2:1

7.09. რუსთავი. ფოლადი
2 000 მაყურებელი

1:0 გოცირიძე (17. გრიგალაშვილი პასით), 2:0 მერებაშვილი (44. ნავალოვსკის პასით), 2:1 ნოსკოვი (90. პენალტით)

საქართველო: თევდორაძე – თომაშვილი, ლობჟანიძე, გ. კაშია, ფოფხაძე –გრიგალაშვილი (81. დაუშვილი), ხიდეშელი, ნავალოვსკი – გ. მერებაშვილი (85. ელბაქიძე), კოპახიძე (90. დვალიშვილი) – ბ. გოცირიძე.

სათადარიგოები: რ. კვასხვაძე, სანაია, ყენია, ბარამაძე.

ყაზახეთი: დეხკანოვი – ტაჟიბაიული, ვოროტნიკოვი, კისლიცინი, ბალტაევი – ალეინიკოვი (56. ჩურეევი), ჟუმახანოვი (67. ბორობსკი), ლოგვინენკო, კუკეევი – ნოსკოვი, კენბაევი (78. შაპურინი)

სათადარიგოები: შაბანოვი, მუხტაროვი, საბალაკოვი, ხასენოვი.

გაფრთხილება: ჟუმახანოვი (45), მერებაშვილი (78), ბოროვსკი (90)

გაძევება: ხიდეშელი (45)

არბიტრი: შ. შაპი (უნგრეთი)

სტენოგრამა

17 - 1:0 სანდრო კოპახიძის გარღვევა მარცხენა ფრთაზე. წააქციეს და ჯარიმა დაინიშნა. ბურთი საჯარიმოში შოთა გრიგალაშვილმა დაარტყა, სადაც ყველას ბექა გოცირიძემ დაასწრო და ზუსტი თავურით ანგარიში გახსნა.

33 - გიორგი მერებაშვილმა შეტევისას რამდენიმე მეტოქე ჩამოიშორა, საჯარიმოშიც შეიჭრა, მაგრამ მისი დარტყმული სტუმართა კარს გადასცდა.

37 - ჯამბულ კუკეევმა მარცხენა ფრთაზე სახიფათო გარღვევა განახორციელა. რევაზ თევდორაძემ საიმედოდ ითამაშა და ვითარება განმუხტა.

44 - 2:0 გიორგი ნავალოვსკიმ ჩინებული სოლო-რეიდი ზუსტი გადაცემით დაასრულა. გიორგი მერებაშვილმა კი თანაგუნდელის გარჯა ოსტატური დარტყმით დაგვირგვინა.

46 - პირველი დარტყმა ჩვენს კარში - იერზატ კენბაევმა ძლიერად დაარტყა, მაგრამ თევდორაძემ საიმედოდ ითამაშა.

57 - ვლადიმერ ნოსკოვის შორეული დარტყმის მოგერიება რევაზ თევდორაძეს არ გასჭირვებია.

61 - სტუმართა მრავალსვლიანი კომბინაცია ალდან ტაჟიბაიულის ძლიერი დარტყმით დასრულდა – ბურთი ოდნავ ასცდა მასპინძელთა კარს.

69 - იური ლოგვინენკოს შორეული საჯარიმო დარტყმა რევაზ თევდორაძემ მოიგერია.

70 - გოცირიძე-მერებაშვილის ლამაზი კომბინაცია ამ უკანასკნელის არაზუსტი დარტყმით დასრულდა.

71 - შოთა გრიგალაშვილმა მეტოქეს ცენტრში ბურთი აართვა, კარიდან წინ გამოსული მეკარე შენიშნა და თავზე ოსტატურად გადაავლო ბურთი, მაგრამ კარს ოდნავ ააცილა.

85 - კუკეევის ფლანგურ ჯარიმას ლოგვინენკოს თავური მოჰყვა – ბურთი მცირე მანძილით ასცდა მასპინძელთა კარს.

90 - 2:1 ელბაქიძისა და ნოსკოვის შეჯახება ჩვენს კარში დანიშნული პენალტით დასრულდა, რომელიც დაზარალებულმა ზუსტად შეასრულა.

"... ესპანეთთან შინ და პოლონეთთან სტუმრად კარგად ვითამაშეთ და ქება დავიმსახურეთ, მაგრამ წავაგეთ და დღემდე უქულოდ ვართ. ახლა ჩვენთვის ქულებია უმთავრესი, ქება კი ნაკლებად მნიშვნელოვანია. მართალია, დანაკლისი დიდი გვაქვს, მაგრამ მჯერა ჩემი გუნდისა. დარწმუნებული ვარ, ჩემი ბიჭები თავს გადადებენ გამარჯვებისთვის. ჩვენ ეს თამაში უნდა მოვიგოთ და პირველი ქულები მივითვალოთ", - ეს სიტყვები ახალგაზრდულის თავკაც **პეტარ სეგრტს** ეკუთვნის, რომელიც გუშინწინდელ პრესკონფერენციაზე თქვა. სეგრტმა სიტყვა შეასრულა, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა პირველ გამარჯვებას შესარჩევ ციკლში რიგით მესამე მატჩში მიაღწია. ეს ნამდვილად იყო რევანში. ჩვენი ახალგაზრდულის მეტოქე იმ "ტობოლისა" და "ასტანას" ფეხბურთელები იყვნენ, რომლებმაც ჩემპიონთა ლიგასსა და უეფას თასზე ჩვენი გუნდები, "ოლიმპი" და "ზესტაფონი" გამოთიშეს. მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში ქართველები კაცნაკლულნი იყვნენ, მაგრამ სამი ქულის მოპოვება მაინც შეძლეს.

გუშინდელი ვერსიით, **ჯაბა კანკავას** ამ შეხვედრაში უნდა ეთამაშა, მაგრამ დისკვალიფიკაციამ, მას არც ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის საშუალება მისცა.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, ის საშუალო ტემპში დაიწყო და სტარტზე მეტოქეებმა პოზიციურად დაზვერეს ერთმანეთი. მერე მასპინძლებმა ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვეს და კარში ქართველების პირველივე დარტყმა შედეგიანი აღმოჩნდა. მე-17 წუთზე **გრიგალაშვილის** ჯარიმისას **გოცირიძემ** საჯარიმოში თავით ყველას დაასწრო და ანგარიში გახსნა. გატანილი გოლის შემდეგ ქართველები მცირე ხანს მოდუნდნენ, მაგრამ თამაშის სადავეები არ დაუთმიათ. ბურთს ცენტრში აკონტროლებდნენ. **პეტარ სეგრტი** ამას არ შეეგუა და მის მიერ შეფუცხუნებული გუნდი ისევ გააქტიურდა. ტაიმის მეორე ნახევარში ქართველებმა მეტოქეზე ზენოლა გააორმაგეს და შესვენებამდე ორბურთიანი ფორაც მოიპოვეს – **ნავალოვსკის** რეიდი **მერებაშვილმა** ოსტატური დარტყმითა და გოლით დაასრულა - 2:0. ტაიმის ბოლოს კი **ხიდეშელმა** ერთ-ერთი ორთაბრძოლის შემდეგ თავი ვერ მოთოკა და მეტოქესთან წაკინკლავდა. არბიტრმა **ჟუმახანოვს** ყვითელი, ხოლო **ხიდეშელს** წითელი ბარათი უჩვენა და კაცნაკლულნიც ასე დავრჩით.

მეორე ნახევარში სეგრტმა ორბურთიანი ფორის შენარჩუნებაზე გააკეთა აქცენტი. თუმცა გუნდისთვის ყრუ დაცვა არ დაუვალებია. ქართველები საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე უფრო ზრუნავდნენ, მაგრამ მწვავე კონტრშეტევებზეც არ ამბობდნენ უარს. სტუმრები კაცნაკლული მეტოქის წინააღმდეგ მეორე ტაიმში უფრო გაბედულად ათამაშდნენ და გოლის გატანის არაერთი შანსიც ჰქონდათ. დაცვასთან ერთად მეკარე **თევდორაძემაც** იყოჩაღა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ორ ეპიზოდში ფეხით უხერხულად მოიგერია ბურთი. სეგრტის ბიჭებს მესამის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ მერებაშვილისა და გრიგალაშვილის დარტყმები ოდნავ ასცდა მიზანს. მატჩის მინურულს კი ყაზახებმა პენალტით ერთი ბურთი გაქვითეს და შეხვედრაც მალე დასრულდა.

21-წლამდელთა ნაკრები

რევანში სანაკრებო დონეზე

მატჩის რჩეული

თამაშის გამორჩეული ფეხბურთელის გამოყოფა მართლაც რომ გაგვიჭირდა, რადგან ამ "ნომინაციაზე" რამდენიმე კანდიდატი იყო. საიმედი იყო გიორგი ფოფხაძე, ბევრი იმუშავა გიორგი ნავალოვსკიმ, კლასი აჩვენა გიორგი მერებაშვილმა, აქტიური იყო და გოლითაც გამოირჩა ბექა გოცირიძე, მაგრამ ყველაზე უფრო სანდრო კობახიძემ დაგვამახსოვრა თავი. მან მარცხენა ფრთაზე დიდი სამუშაო გასწია და როცა გუნდს დასჭირდა მარჯვენა ფრთაზეც კარგად წარმოჩნდა.

მატჩის შემდეგ

პეტარ სეგრტი: "გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გამარჯვებისთვის ბოლომდე ბრძოლასა და სამ ქულას დაგპირდით. ბედნიერი ვარ, რომ სიტყვა შევასრულეთ და ხალხი გავახარეთ. მოგებისთვის დიდი ბრძოლა მოგვიწია. სამწუხაროდ, ჩვენვე გავირთულეთ ვითარება, როცა კაცნაკლულნი დავრჩით მოედანზე. შესვენებაზე ბიჭებმა მითხრეს, რომ ბოლომდე იბრძოლებდნენ გამარჯვებისთვის და ყველაფერს გააკეთებდნენ, რომ ხიდეშელის გაძევებით გამონვეული დანაკლისი არ გამოჩენილიყო. როგორც ხედავთ, მათ სიტყვა შეასრულეს. სამწუხაროდ, ამ ზაფხულს ყაზახებმა ევროტურნირებზე დაგვჩაგრეს, მაგრამ ამ მოგებით მათზე ერთგვარი რევანში ავიღეთ. ამ გამარჯვებას მთელ საქართველოს ვუძღვნით.

11 სექტემბერს ესპანეთთან სტუმრად გვიწევს თამაში და ახლავე, უკვე ამ წუთიდან ამ თამაშზე გადავერთვებით. ესპანეთში გამთენიისას მივემგზავრებით და ეს მოგება ჩვენთვის ერთგვარი სტიმული იქნება".

იუჯა მალინინი: "მატჩი დაძაბული და საინტერესო გამოდგა. მართალია, მთელი მეორე ნახევრის განმავლობაში რიცხობრივ უპირატესობაში ვიყავით და არაერთი ხიფათიც შევქმენით, მაგრამ ფრე მაინც ვერ გავახერხეთ. ჩემს ვიზავის გამარჯვებას ვულოცავ... ვფიქრობ, ჩვენი და საქართველოს ნაკრები თანაბარი დონის გუნდებია და ყაზახეთში შეგვიძლია ამ გუნდის დამარცხება."

დავით ცაბაძე
გია ტუხაშვილი
რუსთავიდან

მერებაშვილს გააქვს მეორე გოლი ყაზახეთის ნაკრების კარში

ნუგზარ სუარიძის ფოტო

www.kazbegi.com

გაახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ახალგაზრდული ესპანეთს გაემგზავრა

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში გუშინ, ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა რიგით მესამე მატჩი გამართა და პირველი გამარჯვება მიითვალა. **პეტარ სეგრტის** გუნდს სამშაბათს მორიგი მატჩი აქვს, სტუმრად ესპანეთთან. 21-წლამდელთა ნაკრები დღეს გამთენიისას გაეგზავრა ესპანეთში. პეტარ სეგრტმა პირინეებზე 20 ფეხბურთელი წაიყვანა:

მეკარეები: **რევაზ თევდორაძე** (მერანი), **რ. კვასხვაძე** (ზესტაფონი).

მცველები: **გიორგი ფოფხაძე** (ვიბორგი, დანია), **მათე ღვინიანიძე** (მიუნხენ 1860, გერმანია), **გულვერდ თომაშვილი**, **გ. კაშია** (ორივე დინამო), **ამირან სანაია** (ლე მანი, საფრანგეთი), **უჩა ლობჟანიძე** (ზესტაფონი), **გიორგი ელბაქიძე** (ამერი), **გიორგი თავბერიძე** (სიონი).

ნახევარმცველები: **გიორგი ნავალოვსკი**, **ვლადიმერ დვალიშვილი** (ორივე ოლიმპი), **მურთაზ დაუშვილი** (ზესტაფონი), **სანდრო კობახიძე**, **გიორგი მერებაშვილი**, (ორივე დინამო), **თემურ აფრიამაშვილი** (მესხეთი), **ირაკლი ჩირიკაშვილი** (სპარტაკი)

თავდამსხმელები: **რევაზ ბარაბაძე** (კარლ ცაისი, გერმანია), **ბექა გოცირიძე** (ზესტაფონი), **გიორგი კახელიშვილი** (ოლიმპი), **ვახტანგ კვარაცხელია** (ვეტრა, ლიტვა).

გუშინ, პეტარ სეგრტს კიდევ ერთხელ გავესაუბრეთ. მისი თქმით, **შოთა გრიგალაშვილი** ტრავმის გამო გამოაკლდა ნაკრებს, **ლევან ყენია** ეროვნულში დააბრუნეს. ახალგაზრდულს **გიორგი კახელიშვილი** დაემატა, რომელსაც ორიოდე დღის წინათ სიცხე ჰქონდა და შინ გაუშვეს, ახლა კი უკეთაა. **გიორგი მერებაშვილსა** და **სანდრო კობახიძეს** ტრავმები აწუხებთ, სიცხიანია **ბექა გოცირიძე**, მაგრამ ექიმები მათ გამოჯანმრთელებას ჰპირდებიან.

ჩვენი გუნდი ესპანეთში მალაგასთან ახლოს, პატარა ქალაქ ალმუნეკარში დაბინავდება. **მათე ღვინიანიძე**, უკრაინასთან მატჩის შემდეგ, ახალგაზრდულ ნაკრებს პირინეებზე შეუერთდება.

დავით ცაბაძე

გუშინ, ჩვენს ჯგუფში კიდევ ერთი მატჩი გაიმართა

რუსეთი-პოლონეთი 1:0

1:0 კოჟანოვი (57)

რუსეთი: ჯანაევი, ნაბაბკინი (64. სამსონოვი), ლებედევი, ლუკანჩენკოვი, ტარანოვი, კ. კომბაროვი, ფაიზულინი, დ. კომბაროვი, კოჟანოვი (81. ნაგუმანოვი), პრუდნიკოვი (64. როდენკოვი).

პოლონეთი: ბიალკოვსკი, პაველეცი, ჟედნიჩიაკი, კოცოტი, პოლჩაკი, პავლოვსკი, ცველონგი, პეტრონი (62. კუკლიცი), ვილკი (85. მალევსკი), მაიევსკი, იანჩიკი (69. იანოშკა).

არბიტრი: ვ. ბლუმი (ჰოლანდია)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რუსეთი	2	2	0	0	4-0	6
2. პოლონეთი	2	1	0	1	3-2	3
3. ესპანეთი	1	1	0	0	1-0	3
4. საქართველო	3	1	0	2	3-5	3
5. ყაზახეთი	2	0	0	2	1-5	0

მომავალი მაჯრები

11 სექტემბერი

ესპანეთი-საქართველო

პოლონეთი-ყაზახეთი

სანდროს დუბლი

სანდრო იაშვილმა შვეიცარიული "თუნის" მაისურით პირველი გოლები გაიტანა მან ეს ტესტმატჩში ფრანგული "სტრასბურის" წინააღმდეგ მოახერხა. ეს სანდროს პირველი მატჩი იყო ძირითადში და მანაც შანსი ხელიდან არ გაუშვა. შეხვედრა ერშტაუნში გაიმართა და ათასი მაყურებელი დაესწრო. ქართველმა ფორვარდმა გოლები პირველ ტაიმში მე-8 და 33-ე წუთზე გაიტანა და სამომავლოდ სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. იაშვილი 82-ე წუთზე შეცვალეს, მის ნაცვლად **რამა** გამოვიდა. პირველ გოლში იაშვილს ფლანგზე უყოჩაღია, მეორეჯერ კი ის ჩაწოდებას დროულად გამოეხმაურა. "თუნმა" მხოლოდ ერთი ფორვარდით ითამაშა.

ნიკოლოზ ნეფარიძე



სად არის სანტოსი?

ბოლო წლებში ბრაზილიიდან საქართველოში საკმაოდ ხარისხიანი მოთამაშეები ჩამოდიან - კარლოსი, სანტოსი, ჯონატასი, ვიეირა, თითოეული მათგანი თბილისის "დინამოსა" და "ზესტაფონს" ბრაზილიაში მცხოვრებმა ქართველმა სპეციალისტმა, გოჩა ალადაშვილმა ურჩია.

დღეს თუ "ზესტაფონი" საქართველოს ჩემპიონატის ლიდერია, ეს ბრაზილიელთა დამსახურებაცაა. ცენტრალური მცველი სანტოსი, ნახევარმცველები ვიეირა და ჯონატასი თავის პოზიციაზე საქართველოში საუკეთესოები თუ არა, ერთ-ერთი გამორჩეულები არიან.

სამწუხაროა, რომ მათ გუნდს ცენტრალური მცველი სანტოსი გამოაკლდა. ყველამ კარგად იცის, რაც მოხდა და შეხსენებით თავს აღარ შეგაწყენთ. ეს ერთგვარად ისეთი ვითარებაა, როდესაც ჩამომხრჩვალის ოჯახში თოკს არ ახსენებენ. თუმცა დღევანდელ ინტერვიუში გოჩა ალადაშვილთან ამ საკითხს შევეხებით.

სანტოსი ოჯახის შეურაცხყოფის შემდეგ ბრაზილიაში დაბრუნდა. დაუბრუნდება თუ არა "ზესტაფონს"? ამ კითხვით დავიწყეთ საუბარი გოჩა ალადაშვილთან.

ბრაზილიურ კლუბში ქართველი მიიწვიეს

ზესტაფონის მცველის კვალი დაიკარგა

- სიმართლე გითხრათ, დავინტერესდით მისი ბედით და მითხრეს, რომ "ზეტსაფონიდან" წამოსვლის წინ მისი ტელეფონი არ ჩაუწერიათ. სანტოსმა ბრაზილიური ტელეფონი შეცვალა და სად მოვძებნო, არ ვიცი. არადა, გული მიკვდება, ასეთ მოქცევას არ იმსახურებდა. თუმცა წამოსვლამდე "ზესტაფონს" დაბრუნებაზე შეუთანხმდა და ახლა შვებულებაშია. თუმცა არ გამოვრიხავ, რომ ის გუნდს ეძებდა.

- ანუ, "ზესტაფონს" დაუბრუნდება თუ არა, არ იცით?

- ვიცი ის, რომ ბრაზილიაში გამომგზავრებისას თბილისის ბილეთიც აიღო. მერე მისი კვალი დაიკარგა და უშედეგოდ ვეძებთ.

- ბრაზილიაში მისი ამბავი პრესატელევიზიამ შეიტყო?

- არავის არაფერი არ დაუწერია და ძალიანაც მიხარია. ეს სანტოსების ოჯახზე მეტად, ჩვენი ქვეყნის სირცხვილია. არ გამოვრიცხავ, რომ დაბრუნებას ამის გამო არ ჩქარობს. მას ძალიან არ უნდოდა ოჯახის სირცხვილი მთელი ქვეყნის სალაპარაკო გამხდარიყო.

- მომხდარის გამო, დანარჩენი ბრაზილიელებიც ხომ არ აპირებენ სამშობლოში დაბრუნებას?

- სხვათა შორის, ჯონატასი ძალიან შეშინდა და თავიდან ისიც ბრაზილიაში დაბრუნებაზე ფიქრობდა. მას და მის მეუღლესაც სანტოსთან ერთად ჰქონდა ბინა ნაქირავები. საბედნიეროდ, ახლა დამშვიდდა. ამ ბიჭის დაკარგვა არაფრით არ შეიძლება. მე არ ვიცი, ახლა როგორ თამაშობს. თუმცა ის კი ვიცი, რომ 16 თუ 17 წლისა "ბარსელონამ" ისე აიყვანა, როგორც უნიჭიერესი მოთამაშე. იგივე ვიეირა, მგონი, დასაკარგი არ უნდა იყოს. მითხრეს, რომ მას "ზესტაფონში" ძალიან ემადლიერებიან. ის ძალიან ნიჭიერი ნახევარმცველია და თუ კიდევ გაიხსნება, რატომ არ შეიძლება მის ნატურალიზაციაზე დაფიქრება? სადაც არ უნდა გაიხედოთ, ყველგან წარმოშობით ბრაზილიელები თამაშობენ. საქართველო არაა მოთამაშეებით ისეთი მდიდარი, მათზე უარი რომ თქვას. ბოლოს და ბოლოს, ვიეირა სულ რაღაც 22 წლისაა და ჩვენს ნაკრებს, შესაძლოა, კარგა ხნით გამოადგეს. გაცილებით უკეთესი მოთამაშეების ჩამოყვანაც შემიძლია, მაგრამ ჩვენი გუნდები ღარიბები არიან. აი, ფულს, აზერბაიჯანისა და ყაზახეთის კლუბები იხდიან. არადა, მათ რომ 100 ათასად დაუჯდებათ, ისეთ მოთამაშეებს საქართველოში 40 ათასად ჩამოვიყვან, რადგან აქაურ ფეხბურთს კარგად ვიცნობ და ფეხბურთელთა ფასებშიც მშვენივრად ვერკვევი. სხვებს კი იოლად მოატყუებენ.

- თუ იცით, ბრაზილიის ნაკრების საქართველოში ვიზიტი რატომ გადაიდო?

- ბრაზილიაში ამაზე არაფერი დაწერილა. მეც არაფერი ვიცი. ბრაზილიელები დღეში 100 ფაქსს იღებენ სად არ იწვევენ და ყველა მიწვევაზე რას დაწერენ. სხვათა შორის, ეს ინტერნეტით შევიტყვე. როგორც ვხვდები, თანხაზე ვერ შეთანხმდნენ. შარშან რუსეთში რომ ჩავიდნენ, 2 თუ 3 მილიონი დოლარი გადაუხადეს. ამხელა ფული ჩვენ ფედერაციას არაფრის დიდებით არ ექნებოდა. ისე, ასეთი შესაძლებლობის შესახებ ჩემ ბრაზილიელ მეგობრებს რომ ვუთხარი, გაუხარდათ, ვნახავთ, ერთი რა გუნდი გყავთო. თუმცა ლუქსემბურგთან ფრე რომ შეიტყვეს, ყველა მეკითხებოდა, შეცდომა ხომ არ გაიპარა, მათთან ფრე როგორ ითამაშეთო.

- თავად სამსახური ხომ არ შეიცვალეთ, ისევ კურიტიბას უნივერსიტეტში მუშაობთ?

- დიახ, უნივერსიტეტში ვარ, მაგრამ მალე, შესაძლოა, გუნდში გადავიდე. სიარას შტატის ჩემპიონატში ფორტალეზას "უნიკლინიკა" გამოდის. იქ ჩემი მეგობარი დირექტორად დანიშნეს, სწორედ მან მიმიწვია და მალე გაირკვევა, მწვრთნელის ასისტენტად დავინიშნები თუ ადმინისტრაციის წევრად.

- ბრაზილიის მოქალაქე უკვე გახდით?

- მოქალაქე არ ვარ, მაგრამ მუშაობის უფლება დიდი ხანია მივიღე. სიმართლე გითხრათ, ჯერ არც ვიცი, მაქვს თუ არა ორმაგი მოქალაქეობის უფლება და ეს მაბრკოლებს. საქართველოს პასპორტი და სამუდამოდ აქ დასახლება არ მინდა.

მერაბ მამულაშვილი

CDN ეკავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

ბოლოვაზოვნი სატელეკომუნიკაციო ოპერატორების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;

CDN 555 ტელეფონის დადგმა;

CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;

GIGA LINE ისაუბრე შეტი, გადაიხადე ნაკლები;

CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიდა სახლიდან გაუჭვლულად

სატელეფონო საუბრების წამოზრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის განცხადება

8 სექტემბრის, საქართველო-უკრაინის მატჩის ბილეთების გაყიდვა **ბორის პაიჭაძის** სახელობის ეროვნული სტადიონის სალაროებში, 11 საათიდან. ეროვნული არენის 10 სალარო 18 საათამდე იმუშავებს. მატჩის დღეს, 8 სექტემბერს, 11-დან 16 საათამდე. 19 საათამდე მხოლოდ 4 სალარო იმუშავებს **გიორგი ცაბაძის** ქუჩაზე.

ბილეთის ფასი 5, 10 და 20 ლარია.

5 ლარი - ჩრდილოეთ და სამხრეთ ტრიბუნების სექტორები.

10 ლარი – აღმოსავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – მე-20, 21-ე, 22-ე, 25-ე, 26-ე, 27-ე სექტორები. დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – მე-5, მე-6, მე-11 და მე-12 სექტორები.

20 ლარი – აღმოსავლეთ ტრიბუნა, I იარუსი – მე-13, მე-14, მე-15, მე-16 სექტორები. აღმოსავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – 23-ე, 24-ე სექტორები. დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი – მე-7, მე-9, მე-10 სექტორები.

ნაკრების ქომაგთა საყურადღებოდ!

ჩაიცვით წითელი და თეთრი

8 სექტემბერს, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში უკრაინას ვხვდებით. ფეხბურთის ფედერაცია გულშემატკივარს მოუწოდებს თეთრ და წითელ (ეროვნული დროშის ფერები) სამოსში ჩაცმულები მოვიდნენ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე და ერთგულად უქომაგონ საყვარელ გუნდს.

ქომაგთა საყურადღებოდ ერთ სიახლესაც გაცნობებთ. 8 სექტემბერს, ეროვნულ სტადიონზე, ეროვნული ნაკრების, "დიადორას" წარმოების ეკიპირება გაიყიდება.

მაისურა (წითელი, თეთრი) – 100 ლარი
გრძელმკლავიანი მაისურა (წითელი, თეთრი) – 110 ლარი
შორტი (წითელი, თეთრი) – 50 ლარი
გეტრები (წითელი, თეთრი) – 20 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. საკვალიფიკაციო მატჩების წინ

ჯერარდი ითამაშებს, ტონი ისევ საეჭვოა

დღეს ევროპაში საკვალიფიკაციო ეტაპი განახლდება. ველოდებით არაერთ საინტერესო მატჩს, რომლებიც, მართალია, ტურნირის მთავარ ინტრიგაზე საბოლოო პასუხს ვერ გაგვცემენ, მაგრამ უფრო მეტად გაგვარკვევენ ვითარებაში. ზოგს შანსი შეუმცირდება, ზოგს გაეზრდება, ზოგიც სტატუსკვოს შეინარჩუნებს და მომდევნო მატჩებში ეცდება სიტუაციის გამოსწორებას და ასე შემდეგ... ჩვენ კი გადავხედოთ, რა ხდება მთავარი მატჩების წინ.

ტონი ისევ საეჭვოა, ვიეირა უეჭველი

ცხადია, დღის უპირველესი დაპირისპირება "სან სიროზე" გაიმართება, სადაც მსოფლიო ჩემპიონი იტალია ვიცე-ჩემპიონ საფრანგეთს მიიღებს. გასული მუნდიალის ფინალის მორიგ რიმეიქს აპენინებზეც და მთელ ევროპაშიც მოუთმენლად ელიან. იტალიის ნაკრებს აუცილებლად სჭირდება გამარჯვება, რათა დარჩენილ შეხვედრებში ნაკლები ფსიქოლოგიური სტრესით ითამაშოს. ფრანგები კი ქულითაც დაკმაყოფილდებიან, თუმცა, როგორც მათი ერთ-ერთი ლიდერი **ფრანკ რიბერი** ამბობს, "ლურჯები" ორ შეხვედრაში (იტალიის შემდეგ 12 სექტემბერს, შინ შოტლანდიასთან) 6 ქულის აღებას აპირებენ. იტალიასთან გამარჯვება კი რევანში იქნება ბერლინურ ფინალში განცდილი მარცხის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ შარშანდელი დაპირისპირების მთავარი მოქმედი პირები, **მარკო მატერაცი** და **ზინედინ ზიდანი** დღეს მოედანზე არ იქნებიან, სკანდალს ვერც ეს მატჩი ასცდა. როგორც გახსოვთ, "ლე პარიზიენთან" ინტერვიუში ფრანგების მწვრთნელმა **რაიმონ დომენეკმა** იტალიელებს მსაჯების მოსყიდვის სპეციალისტები უწოდა. მან კონკრეტული მაგალითიც მოიყვანა, თუმცა უეფას ბრალდება ვერ დაუსაბუთა და დისკვალიფიკაცია მიიღო. ასე რომ, დომენეკის ნაცვლად დღეს გუნდს მისი თანაშემწე **პიერ მანკოვსკი** დამოძღვრავს, მოსიე რაიმონი კი თამაშს ტრიბუნიდან მიადევნებს თვალს.

საკადრო პრობლემები ორივე გუნდს აქვს. იტალიის ნაკრებს, ალბათ, ტრავმირებული **ლუკა ტონი** ვერ დაეხმარება. ექიმები **რობერტო დონადონის** საბოლოო პასუხს დღეს დილით ეტყოდნენ. თუ ტონიმ ვერ ითამაშა, მწვრთნელი მის ნაცვლად შეტევაში **ფილიპო ინძაგის** გაამწესებს. სასტარტოში უნდა ველოდოთ **ალესანდრო დელ პიეროსაც**. მატჩი უაღრესად მნიშვნელოვანია და "დონი" მხოლოდ გამოცდილ ფიგურებს დაეყრდნობა, ყოველ შემთხვევაში, ამას ვარაუდობს იტალიური მედიაც. ზემოთ მატერაცი ვახსენეთ და, რა თქმა უნდა, მისი ტრავმა დონადონისთვის ლამის ყველაზე დიდი თავსატეხია.

ფრანგებს შუა ხაზში ბზარი აღარ აქვთ. ითამაშებს ნახევარდაცვის ლიდერი და გუნდის კაპიტანი **პატრიკ ვიეირა**. მოედანზე იქნება **ტიერი ანრიც**, თუმცა ახალი ბარსელონელი ჯერ ფორმაში არ არის და "სკუადრა აძურასთვის" ეს ერთგვარი უპირატესობაც შეიძლება იყოს. საინტერესოა, რომ "რაიზე" მატჩის რეპორტაჟს კომენტარს გაუკეთებს **ფაბიო კაპელო**, რომელმაც "გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში (რომელსაც დღევანდელ ნომერში წაიკითხავთ) დონადონის რჩევა მისცა - მთავარია, **ანრის, რიბერისა** და **ნასრის** ნეიტრალიზებაო. მართალია და სათქმელადაც ადვილია, მაგრამ როგორ? რა გზით? ესაა საქმე და დონადონიმაც ამაზე უნდა იჭყლიტოს ტვინი.

ჩვენს ჯგუფში დღეს კიდევ ერთი მატჩია: შოტლანდია-ლიტვა. სკოტების მწვრთნელს პრობლემები აქვს თავდასხმაში, რაკი **კენი მილერმა** გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო. "დერბიში" ახლახან გადასული ფორვარდი თავის გუნდს ვერც ოთხი დღის შემდეგ, საფრანგეთთან გასვლით მატჩში დაეხმარება. სხვათა შორის, ეს ის მილერია, რომელმაც ამ გუნდების პირველ მატჩში ერთადერთი გოლი გაიტანა.



ჯერარდი მზადაა, ჰარგრივსი ძალიან საეჭვოა

ჯერარდი ჰო, მაგრამ ჰარგრივსი?

ძალიან მძიმე მდგომარეობაა ინგლისის ნაკრებში, რომელიც დღეს "უემბლიზე" ისრაელს მასპინძლობს, ოთხშაბათს კი რუსეთს უნდა ესტუმროს. ეს ორი მატჩი **სტივ მაკლარენისა** და, რაც მთავარია, ინგლისის ეროვნული გუნდისთვის, გადამწყვეტია, რადგან ქულების დაკარგვა ბრიტანელთა მომავალ ევროვოიაჟს დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს. ის, რომ ინგლისს რამდენიმე წამყვანი ფიგურა არ ეყოლება, არა გვგონია ალიბად გამოადგეს მაკლარენს, რომელსაც კრახის შემთხვევაში დათხოვნა არ ასცდება.

დევიდ ბექჰემი, ფრენკ ლემპარდი, უეინ რუნი... ეს ის ტრიოა, რომელიც დღევანდელ მატჩში ნამდვილად ვერ ითამაშებს. რაც შეეხება **სტივ ჯერარდს**, მის გარშემო დიდი ამბავია ატეხილი და ამაზე ჩვენც ვწერდით. "ლივერპულის" კაპიტანს ფეხის თითი აქვს მოტეხილი. მას ერთადერთ შემთხვევაში შეეძლო თამაში - თუ გამაყუჩებელს გაიკეთებდა. მაგრამ აქ არის დიდი რისკი, რომ ჯერარდმა ტრავმა, შეიძლება, კიდევ უფრო გაირთულოს. "ლივერპულის" მწვრთნელი **რაფა ბენიტესი** შეშფოთებით ელოდება მოვლენათა განვითარებას. ის მოუწოდებდა ინგლისის ნაკრების მესვეურთ, ფეხბურთელის კარიერა საფრთხის ქვეშ არ დაეყენებინათ. საბოლოო გადაწყვეტილება მაკლარენს უნდა მიეღო, თუ თავად ჯერარდიც არ იქნებოდა უარს. მაგრამ სტივს თამაში უნდა...

და აი, როგორც გუშინ გაირკვა, "ლივერპულის" კაპიტანი დღეს მოედანზე იქნება. მაკლარენმა პრესისთვის სპეციალური კომენტარიც გააკეთა: *"დღეს (პარასკევს - რედ) მან დილით გამაყუჩებლის გარეშე ივარჯიშა და ორმხრივ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა. ძალიან კმაყოფილ ვარ. პრობლემები არ ყოფილა. თუ შაბათსაც ასე კარგად ითამაშებს, ყველაფერი ჩინებულად იქნება"* - უთხრა ინგლისელთა თავკაცმა "სქაი სპორტს" და იქვე გაამხილა, რომ კარში **პოლ რობინსონს** დააყენებს.

ჯერარდის თამაში კი იმიტომაც გახდა აქტუალური, რომ ტრავმირებულია **ოუენ ჰარგრივსიც**. ძალიან მცირეა იმის შანსი, რომ "მანჩესტერ იუნაიტედის" ნახევარმცველი დღეს "უემბლიზე" ვიხილოთ. ამას გარდა, მაკლარენს პრობლემები აქვს თავდასხმაშიც. **პიტერ კრაუჩს** ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს და ისრაელთან ვერ ითამაშებს. ალბიონელთა მწვრთნელი იძულებულია, წინა ხაზზე გაამწესოს **მაიკლ ოუენი**, რომელიც ფორმაში არ არის.

"თუ ჩვენ მოვიგებთ, ამაზე მერე მთელი 100 წლის განმავლობაში ილაპარაკებენ. ინგლისელები წნეხის ქვეშ არიან და ეს უნდა გამოვიყენოთ. ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება", - მაკლარენის ჭრილობებს მარილი მოაყარა ისრაელის ნაკრების კაპიტანმა **იოსი ბენაიუნმაც**.

დომენეკის ნაცვლად, ფრანგების თამაშს მისი ასისტენტი მანკოვსკი გაუძღვება

ᲨᲕᲐᲘᲜᲨᲢᲐᲘᲒᲔᲠᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲠᲝᲚᲨᲘ, ᲚᲐᲛᲘ ᲡᲐᲑᲚᲨᲘ

გერმანიის ნაკრების მწვრთნელი **იოაჰიმ ლიოვი** საგონებელშია ჩავარდნილი. გუშინ გაირკვა, რომ უელსთან მატჩში ვერ ითამაშებს "ბაიერნის" მცველი **ფილიპ ლამიც**, რომელმაც ვარჯიშზე მუხლი იტკინა. ლამი სახლში გაუშვეს. ლიოვი გამოსავალს ეძებს. ტრავმირებულები არიან "მანშაფტის" სხვა ცენტრალური ფიგურებიც: **მიხაელ ბალაკი, ბერნდ შნაიდერი, ტორსტენ ფრინგსი** და **ტიმ ბოროვსკი**. როგორც ხედავთ, ლიოვს ნახევარდაცვა, ფაქტობრივად, თავიდან აქვს ასაწყობი. მან უკვე გადაწყვიტა, რომ შუა ხაზში მთავარი როლი **ბასტიან შვაინშტაიგერს** მისცეს. "ბაიერნის" 23 წლის ნახევარმცველისთვის მწვრთნელის ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო:

"რა თქმა უნდა, ამას არ ველოდი, - აცხადებს "შვაინი", - ძირითადად მარცხენა ფლანგზე მიწევს თამაში, მაგრამ რაკი მწვრთნელმა ასე გადაწყვიტა, მზად ვარ, მივიღო ახალი გამოწვევა. იმედია, პრობლემა არ მექნება და დავალებებს თავს გავართმევ".

ლიოვი: *"ის მოედნის ცენტრში ითამაშებს და იქნება გუნდის საკვანძო ფიგურა. ბასტიანი ჩვენ უფრო ფლანგებზე გვჭირდება, მაგრამ ტრავმების გამო იძულებით ნაბიჯს ვდგამთ. ის შეტევებს უხელმძღვანელებს და გააკონტროლებს მოედნის ცენტრალურ ნაწილს. ასაკის მიუხედავად, ის უკვე გამოცდილია. ჩვენ ვისაუბრეთ და მე ავუხსენი, რას ვითხოვ და რას ველი მისგან"*.

გუშინ, ლიოვმა ნაკრებს **დავიდ ოდონკორი** დაამატა. სევილიური "ბეტისის" განაპირა ნახევარმცველმა შტუტგარტელი **სერდარ ტასკი** უნდა შეცვალოს. ამ უკანასკნელმაც ტრავმა მიიღო და შეკრება დატოვა.

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ, ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ-ᲓᲐᲜᲘᲐ! ᲕᲐᲜ ᲑᲐᲡᲢᲔᲜᲘ ᲖᲔᲔᲓᲝᲠᲤᲘᲗ

ძალიან საინტერესო თამაში იქნება პორტუგალიასა და პოლონეთს შორის. გამარჯვების შემთხვევაში, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** გუნდი ერთ ქულამდე დაიყვანს სხვაობას მეტოქესთან, რომელიც A ჯგუფის ლიდერია, თანაც პირენეელებს ერთი მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული. ასე რომ, მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხეადგილისნისთვის დღევანდელ გამარჯვებას ოქროს ფასი ექნება. პოლონელებს პრობლემები აქვთ ნახევარდაცვასა და უკანა ხაზში. დაშავდა 34 წლის მცველი **იაცეკ ბაკი**, რომელსაც **იაკუბ ვავრინიაკი** ("ლეგია") შეცვლის. შესაცვლელი გახდა ნახევარმცველი **მიხალ გოლინსკიც**, რომელსაც კუნთი აქვს დაჭიმული და ბაკის არ იყოს, ვერც პორტუგალიასთან დაეხმარება გუნდს და ვერც ფინეთთან. **ლეო ბეენჰაკერმა** მის ნაცვლად "ლეხის" ნახევარმცველ **რაფალ მურავსკის** უხმო.

სკოლარის კი ცენტრალური მცველი **პეპე** დააკლდება. პეპე "რეალის" ერთ-ერთ ბოლო ვარჯიშზე დაშავდა. ეს მისთვის პირველი სანაკრებო მატჩი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჯერ სამკვირიანი შვებულება უნდა მოილიოს.

ჰოლანდია ბულგარეთს სტუმრობს. ამ გუნდებმა სოფიაში 1:1 ითამაშეს. ჰოლანდიის ნაკრების სატურნირო მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა და **მარკო ვან ბასტენისთვის** წაფორხილება შეიძლება კატასტროფის ტოლფასი აღმოჩნდეს. ცხადია, მას ეს კარგად ესმის და ამიტომაც უხმო საშველად **კლარენს ზეედორფს**, რომელსაც მთელი ორი წლის განმავლობაში ყურადღებას არ აქცევდა. უფრო ადრე, ვან ბასტენმა უკან დაიხია **რუუდ ვან ნისტელროისთან** მიმართებაშიც, რაც თავისთავად შეცდომების აღიარებაა. დღეს ვან ნისტელროის თავდასხმაში გვერდს **რობინ ვან პერსი** დაუმშვენებს.

ბულგარეთის ნაკრებს კი, რომელსაც ოფიციალურ მატჩში პირველად უხელმძღვანელებს ეროვნულ გუნდში დაბრუნებული **დიმიტარ პენევი**, არ ეყოლება მთავარი დამრტყმელი ძალა ფორვარდ **დიმიტარ ბერბატოვის** სახით.

F ჯგუფის მთავარი მატჩი გაიმართება სოლნაში, სადაც სკანდინავიურ დერბიში შვედეთი დანიას მიიღებს. ივნისში, ამ გუნდების კოპენჰაგენური დაპირისპირება სკანდალით დასრულდა. ერთ-ერთმა ადგილობრივმა ქომაგმა მოედანზე შეაღწია და არბიტრ **ჰერბერტ ფანდელთან** ანგარიშსწორება სცადა. გერმანელმა რეფერიმ თამაში შეწყვიტა. მატჩის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე ანგარიში 3:3 იყო. უეფამ დანიელებს წაგება (0:3) ჩაუთვალა. გამომდინარე ამ ინციდენტიდან, დღევანდელ მატჩს პოლიცია და სტადიონის უსაფრთხოების სამსახური მობილიზებულები ხვდებიან. თუმცა მთავარ ამბებს მაინც მოედანზე უნდა ველოდოთ. მოგების შემთხვევაში, შვედები, ფაქტობრივად, ინაღდებენ ფინალურ ეტაპზე გასვლას, დანიისთვის კი წაგება ამ იმედის დასამარება იქნება. შვედეთის ნაკრების მწვრთნელი **ლარს ლაგერბაკი** ვერ დაიხმარს **ფრედი ლიუნგბერგს**, რომელსაც ტრავმა ანუხებს. სამაგიეროდ, შვედეთი მიესალმება მეკარე **ანდრეას ისაკსონის** დაბრუნებას, მიუხედავადი იმისა, რომ მისი თამაში სერიოზული ეჭვის ქვეშ იყო.

A ჯგუფი

8 სექტემბერი, 2007

პორტუგალია-პოლონეთი
აზერბაიჯანი-სომხეთი
სერბეთი-ფინეთი

12 სექტემბერი, 2007

პორტუგალია-სერბეთი
ფინეთი-პოლონეთი
სომხეთი-აზერბაიჯანი
ყაზახეთი-ბელგია

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. პოლონეთი	9	6	1	2	15-7	19
2. ფინეთი	9	5	2	2	11-6	17
3. პორტუგალია	8	4	3	1	16-6	15
4. სერბეთი	8	4	2	2	12-7	14
5. ბელგია	9	3	1	5	8-12	10
6. სომხეთი	8	2	2	4	4-8	8
7. ყაზახეთი	9	1	3	5	6-13	6
8. აზერბაიჯანი	8	1	2	5	4-17	5

ჩატარებული მატჩები

ბელგია-ყაზახეთი 0:0
სერბეთი-აზერბაიჯანი 1:0
პოლონეთი-ფინეთი 1:3
აზერბაიჯანი-ყაზახეთი 1:1
ფინეთი-პორტუგალია 1:1
პოლონეთი-სერბეთი 1:1
სომხეთი-ბელგია 0:1
სერბეთი-ბელგია 1:0
პორტუგალია-აზერბაიჯანი 3:0
სომხეთი-ფინეთი 0:0
ყაზახეთი-პოლონეთი 0:1
სერბეთი-სომხეთი 3:0
პოლონეთი-პორტუგალია 2:1
ბელგია-აზერბაიჯანი 3:0
ყაზახეთი-ფინეთი 0:2
პორტუგალია-ყაზახეთი 3:0
ბელგია-პოლონეთი 0:1
ფინეთი-სომხეთი 1:0
პორტუგალია-ბელგია 4:0
პოლონეთი-აზერბაიჯანი 5:0
ყაზახეთი-სერბეთი 2:1
სერბეთი-პორტუგალია 1:1
პოლონეთი-სომხეთი 1:0
აზერბაიჯანი-ფინეთი 1:0
ბელგია-პორტუგალია 1:2
აზერბაიჯანი-პოლონეთი 1:3
ფინეთი-სერბეთი 0:2
ყაზახეთი-სომხეთი 1:2
სომხეთი-პოლონეთი 1:0
ფინეთი-ბელგია 2:0
ყაზახეთი-აზერბაიჯანი 1:1
სომხეთი-პორტუგალია 1:1
ფინეთი-ყაზახეთი 2:1
ბელგია-სერბეთი 3:2

დარჩენილი მატჩები

13 ოქტომბერი, 2007

აზერბაიჯანი-პორტუგალია
პოლონეთი-ყაზახეთი
სომხეთი-სერბეთი
ბელგია-ფინეთი

17 ოქტომბერი, 2007

ყაზახეთი-პორტუგალია
აზერბაიჯანი-სერბეთი
ბელგია-სომხეთი

17 ნოემბერი, 2007

პორტუგალია-სომხეთი
პოლონეთი-ბელგია
სერბეთი-ყაზახეთი
ფინეთი-აზერბაიჯანი

21 ნოემბერი, 2007

პორტუგალია-ფინეთი
სერბეთი-პოლონეთი
სომხეთი-ყაზახეთი
აზერბაიჯანი-ბელგია

B ჯგუფი

8 სექტემბერი, 2007

საქართველო-უკრაინა
შოტლანდია-ლიტვა
იტალია-საფრანგეთი

12 სექტემბერი, 2007

უკრაინა-იტალია
საფრანგეთი-შოტლანდია
ლიტვა-ფარერები

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. საფრანგეთი	7	6	0	1	15-2	18
2. იტალია	7	5	1	1	13-6	16
3. შოტლანდია	7	5	0	2	13-6	15
4. უკრაინა	6	4	0	2	8-6	12
5. ლიტვა	7	2	1	4	4-7	7
6. საქართველო	8	2	0	6	13-14	6
7. ფარერები	8	0	0	8	2-27	0

ჩატარებული მატჩები

ფარერები-საქართველო 0:6
შოტლანდია-ფარერები 6:0
საქართველო-საფრანგეთი 0:3
იტალია-ლიტვა 1:1
უკრაინა-საქართველო 3:2
ლიტვა-შოტლანდია 1:2
საფრანგეთი-იტალია 3:1
ფარერები-ლიტვა 0:1
შოტლანდია-საფრანგეთი 1:0
იტალია-უკრაინა 2:0
საქართველო-იტალია 1:3
უკრაინა-შოტლანდია 2:0
საფრანგეთი-ფარერები 5:0
შოტლანდია-საქართველო 2:1
ლიტვა-საფრანგეთი 0:1
ფარერები-უკრაინა 0:2
უკრაინა-ლიტვა 1:0
საქართველო-ფარერები 3:1
იტალია-შოტლანდია 2:0
ფარერები-იტალია 1:2
ლიტვა-საქართველო 1:0
საფრანგეთი-უკრაინა 2:0
საფრანგეთი-საქართველო 1:0
ლიტვა-იტალია 0:2
ფარერები-შოტლანდია 0:2

დარჩენილი მატჩები

13 ოქტომბერი, 2007

შოტლანდია-უკრაინა
იტალია-საქართველო
ფარერები-საფრანგეთი

17 ოქტომბერი, 2007

უკრაინა-ფარერები
საქართველო-შოტლანდია
საფრანგეთი-ლიტვა

17 ნოემბერი, 2007

ლიტვა-უკრაინა
შოტლანდია-იტალია

21 ნოემბერი, 2007

უკრაინა-საფრანგეთი
საქართველო-ლიტვა
იტალია-ფარერები

C ჯგუფი

8 სექტემბერი, 2007

მალტა-თურქეთი
მოლდოვა-ნორვეგია
უნგრეთი-ბოსნია

12 სექტემბერი, 2007

ნორვეგია-საბერძნეთი
თურქეთი-უნგრეთი
ბოსნია-მოლდოვა

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. საბერძნეთი	7	6	0	1	12-5	18
2. ნორვეგია	7	4	1	2	17-6	13
3. თურქეთი	6	4	1	1	16-6	13
4. ბოსნია	7	4	1	2	14-14	13
5. უნგრეთი	7	2	0	5	7-14	6
6. მალტა	7	1	1	5	5-15	4
7. მოლდოვა	7	0	2	5	4-15	2

ჩატარებული მატჩები

მალტა-ბოსნია 2:5
უნგრეთი-ნორვეგია 1:4
მოლდოვა-საბერძნეთი 0:1
ნორვეგია-მოლდოვა 2:0
თურქეთი-მალტა 2:0
ბოსნია-უნგრეთი 1:3
მოლდოვა-ბოსნია 2:2
უნგრეთი-თურქეთი 0:1
საბერძნეთი-ნორვეგია 1:0
თურქეთი-მოლდოვა 5:0
მალტა-უნგრეთი 2:1
ბოსნია-საბერძნეთი 0:4
საბერძნეთი-თურქეთი 1:4
მოლდოვა-მალტა 1:1
ნორვეგია-ბოსნია 1:2
თურქეთი-ნორვეგია 2:2
მალტა-საბერძნეთი 0:1
უნგრეთი-მოლდოვა 2:0
ბოსნია-თურქეთი 3:2
ნორვეგია-მალტა 4:0
საბერძნეთი-უნგრეთი 2:0
ბოსნია-მალტა 1:0
საბერძნეთი-მოლდოვა 2:1
ნორვეგია-უნგრეთი 4:0

დარჩენილი მატჩები

13 ოქტომბერი, 2007

მოლდოვა-თურქეთი
უნგრეთი-მალტა
საბერძნეთი-ბოსნია

17 ოქტომბერი, 2007

თურქეთი-საბერძნეთი
ბოსნია-ნორვეგია
მალტა-მოლდოვა

17 ნოემბერი, 2007

ნორვეგია-თურქეთი
საბერძნეთი-მალტა
მოლდოვა-უნგრეთი

21 ნოემბერი, 2007

თურქეთი-ბოსნია
მალტა-ნორვეგია
უნგრეთი-საბერძნეთი

D ჯგუფი

8 სექტემბერი, 2007

სან მარინო-ჩეხეთი
უელსი-გერმანია
სლოვაკეთი-ირლანდია

12 სექტემბერი, 2007

ჩეხეთი-ირლანდია
სლოვაკეთი-უელსი
კვიპროსი-სან მარინო

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. გერმანია	7	6	1	0	29-4	19
2. ჩეხეთი	7	4	2	1	15-4	14
3. ირლანდია	7	4	1	2	12-8	13
4. სლოვაკეთი	7	3	0	4	16-13	9
5. უელსი	6	2	1	3	8-9	7
6. კვიპროსი	7	2	1	4	10-16	7
7. სან მარინო	7	0	0	7	1-37	0

ჩატარებული მატჩები

სლოვაკეთი-კვიპროსი 6:1
ჩეხეთი-უელსი 2:1
გერმანია-ირლანდია 1:0
სლოვაკეთი-ჩეხეთი 0:3
სან მარინო-გერმანია 0:13
ჩეხეთი-სან მარინო 7:0
კვიპროსი-ირლანდია 5:2
უელსი-სლოვაკეთი 1:5
ირლანდია-ჩეხეთი 1:1
სლოვაკეთი-გერმანია 1:4
უელსი-კვიპროსი 3:1
კვიპროსი-გერმანია 1:1
ირლანდია-სან მარინო 5:0
სან მარინო-ირლანდია 1:2
ჩეხეთი-გერმანია 1:2
კვიპროსი-სლოვაკეთი 1:3
ირლანდია-უელსი 1:0
უელსი-სან მარინო 3:0
ირლანდია-სლოვაკეთი 1:0
ჩეხეთი-კვიპროსი 1:0
გერმანია-სან მარინო 6:0
უელსი-ჩეხეთი 0:0
გერმანია-სლოვაკეთი 2:1
სან მარინო-კვიპროსი 0:1

დარჩენილი მატჩები

13 ოქტომბერი, 2007

ირლანდია-გერმანია
კვიპროსი-უელსი
სლოვაკეთი-სან მარინო

17 ოქტომბერი, 2007

გერმანია-ჩეხეთი
ირლანდია-კვიპროსი
სან მარინო-უელსი

17 ნოემბერი, 2007

ჩეხეთი-სლოვაკეთი
გერმანია-კვიპროსი
უელსი-ირლანდია

21 ნოემბერი, 2007

კვიპროსი-ჩეხეთი
გერმანია-უელსი
სან მარინო-სლოვაკეთი

E ჯგუფი

8 სექტემბერი, 2007

ინგლისი-ისრაელი
რუსეთი-მაკედონია
ხორვატია-ესტონეთი

12 სექტემბერი, 2007

ინგლისი-რუსეთი
ანდორა-ხორვატია
მაკედონია-ესტონეთი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ხორვატია	7	5	2	0	16-4	17
2. ისრაელი	8	5	2	1	17-7	17
3. რუსეთი	7	4	3	0	11-1	15
4. ინგლისი	7	4	2	1	12-2	14
5. მაკედონია	7	2	1	4	6-7	7
6. ესტონეთი	8	1	0	7	2-15	3
7. ანდორა	8	0	0	8	2-30	0

ჩატარებული მატჩები

ესტონეთი-მაკედონია 0:1
ინგლისი-ანდორა 5:0
ესტონეთი-ისრაელი 0:1
რუსეთი-ხორვატია 0:0
ისრაელი-ანდორა 4:1
მაკედონია-ინგლისი 0:1
ინგლისი-მაკედონია 0:0
ხორვატია-ანდორა 7:0
რუსეთი-ისრაელი 1:1
ხორვატია-ინგლისი 2:0
რუსეთი-ესტონეთი 2:0
ანდორა-მაკედონია 0:3
ისრაელი-ხორვატია 3:4
მაკედონია-რუსეთი 0:2
ისრაელი-ინგლისი 0:0
ესტონეთი-რუსეთი 0:2
ხორვატია-მაკედონია 2:1
ანდორა-ინგლისი 0:3
ისრაელი-ესტონეთი 4:0
ესტონეთი-ხორვატია 0:1
რუსეთი-ანდორა 4:0
მაკედონია-ისრაელი 1:2
ესტონეთი-ინგლისი 0:3
ანდორა-ისრაელი 0:2
ხორვატია-რუსეთი 0:0
ესტონეთი-ანდორა 2:1

დარჩენილი მატჩები

13 ოქტომბერი, 2007

ინგლისი-ესტონეთი

17 ოქტომბერი, 2007

რუსეთი-ინგლისი
ხორვატია-ისრაელი
მაკედონია-ანდორა

17 ნოემბერი, 2007

მაკედონია-ხორვატია
ისრაელი-რუსეთი
ანდორა-ესტონეთი

21 ნოემბერი, 2007

ინგლისი-ხორვატია
ისრაელი-მაკედონია
ანდორა-რუსეთი

F ჯგუფი

8 სექტემბერი, 2007

შვედეთი-დანია
ლატვია-ჩრ.ირლანდია
ისლანდია-ესპანეთი

12 სექტემბერი, 2007

ისლანდია-ჩრ.ირლანდია
ესპანეთი-ლატვია
დანია-ლიხტენშტაინი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. შვედეთი	7	6	0	1	17-4	18
2. ჩრ.ირლანდია	7	5	1	1	13-8	16
3. ესპანეთი	7	5	0	2	13-6	15
4. დანია	6	3	1	2	9-5	10
5. ისლანდია	7	1	1	5	5-15	4
6. ლიხტენშტაინი	8	1	1	6	5-21	4
7. ლატვია	6	1	0	5	4-7	3

ჩატარებული მატჩები

ჩრ.ირლანდია-ისლანდია 0:3
ლატვია-შვედეთი 0:1
ესპანეთი-ლიხტენშტაინი 4:0
შვედეთი-ლიხტენშტაინი 3:1
ისლანდია-დანია 0:2
ჩრ.ირლანდია-ესპანეთი 3:2
შვედეთი-ესპანეთი 2:0
დანია-ჩრ.ირლანდია 0:0
ლატვია-ისლანდია 4:0
ისლანდია-შვედეთი 1:2
ლიხტენშტაინი-დანია 0:4
ჩრ.ირლანდია-ლატვია 1:0
ესპანეთი-დანია 2:1
ლიხტენშტაინი-ჩრ.ირლანდია 1:4
ჩრ.ირლანდია-შვედეთი 2:1
ლიხტენშტაინი-ლატვია 1:0
ესპანეთი-ისლანდია 1:0
დანია-შვედეთი 0:3
ლატვია-ესპანეთი 0:2
ისლანდია-ლიხტენშტაინი 1:1
ლიხტენშტაინი-ესპანეთი 0:2
შვედეთი-ისლანდია 5:0
ლატვია-დანია 0:2
ჩრ.ირლანდია-ლიხტენშტაინი 3:1

დარჩენილი მატჩები

13 ოქტომბერი, 2007

დანია-ესპანეთი
ლიხტენშტაინი-შვედეთი
ისლანდია-ლატვია

17 ოქტომბერი, 2007

შვედეთი-ჩრ.ირლანდია
ლიხტენშტაინი-ისლანდია
დანია-ლატვია

17 ნოემბერი, 2007

ესპანეთი-შვედეთი
ჩრ.ირლანდია-დანია
ლატვია-ლიხტენშტაინი

21 ნოემბერი, 2007

ესპანეთი-ჩრ.ირლანდია
დანია-ისლანდია
შვედეთი-ლატვია

G ჯგუფი

8 სექტემბერი, 2007

ბელარუსი-რუმინეთი
პოლონეთი-ბულგარეთი
ლუქსემბურგი-სლოვენია

12 სექტემბერი, 2007

სლოვენია-ბელარუსი
ბულგარეთი-ლუქსემბურგი
ალბანეთი-პოლონეთი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. რუმინეთი	7	5	2	0	14-4	17
2. ბულგარეთი	7	4	3	0	11-4	15
3. პოლონეთი	6	4	2	0	8-2	14
4. ალბანეთი	7	2	3	2	8-6	9
5. ბელარუსი	7	2	1	4	10-15	7
6. სლოვენია	7	1	1	5	5-12	4
7. ლუქსემბურგი	7	0	0	7	1-14	0

ჩატარებული მატჩები

ბელარუსი-ალბანეთი 2:2
რუმინეთი-ბულგარეთი 2:2
ლუქსემბურგი-პოლონეთი 0:1
ბულგარეთი-სლოვენია 3:0
ალბანეთი-რუმინეთი 0:2
პოლონეთი-ბელარუსი 3:0
რუმინეთი-ბელარუსი 3:1
ბულგარეთი-პოლონეთი 1:1
სლოვენია-ლუქსემბურგი 2:0
ბელარუსი-სლოვენია 4:2
ლუქსემბურგი-ბულგარეთი 0:1
პოლონეთი-ალბანეთი 2:1
პოლონეთი-რუმინეთი 0:0
ლუქსემბურგი-ბელარუსი 1:2
ალბანეთი-სლოვენია 0:0
რუმინეთი-ლუქსემბურგი 3:0
სლოვენია-პოლონეთი 0:1
ბულგარეთი-ალბანეთი 0:0
სლოვენია-რუმინეთი 1:2
ალბანეთი-ლუქსემბურგი 2:0
ბელარუსი-ბულგარეთი 0:2
რუმინეთი-სლოვენია 2:0
ლუქსემბურგი-ალბანეთი 0:3
ბულგარეთი-ბელარუსი 2:1

დარჩენილი მატჩები

13 ოქტომბერი, 2007

რუმინეთი-პოლონეთი
ბელარუსი-ლუქსემბურგი
სლოვენია-ალბანეთი

17 ოქტომბერი, 2007

ლუქსემბურგი-რუმინეთი
პოლონეთი-სლოვენია
ალბანეთი-ბულგარეთი

17 ნოემბერი, 2007

ბულგარეთი-რუმინეთი
პოლონეთი-ლუქსემბურგი
ალბანეთი-ბელარუსი

21 ნოემბერი, 2007

რუმინეთი-ალბანეთი
ბელარუსი-პოლონეთი
სლოვენია-ბულგარეთი

ფეხბურთის ისტორია

20 საუკეთესო მატჩი

ინგლისურ ჟურნალ World Soccer-ის მიერ გამოკითხულმა ჟურნალისტებმა, ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა, ამჯერად ყველა დროის 20 საუკეთესო მატჩი გამოავლინეს. შეგახსენებთ, წინა პუბლიკაციაში 20 საუკეთესო გოლი გაგაცანით. რა თქმა უნდა, ასეთი გამოკითხვებისას ობიექტურობა, რბილად რომ ვთქვათ, მოიკოჭლებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქვემომდებარე სია მართლაც ორ ათეულ დაუვიწყარ სპექტაკლს აერთიანებს. თუ დააკვირდებით, თითქმის ყველა მატჩი გადამწყვეტი იყო. იმის შიშით, რომ ხელმოცარულნი არ დარჩენილიყვნენ და ყველაფერი მიეღოთ, ვარსკვლავები მთელი ძალით იბრძოდნენ. ასეთ შემთხვევებში კი, ფეხბურთი მხოლოდ მოგებული რჩება.

1. იტალია-გფრ 4:3

17 ივნისი, 1970 წელი
მეხიკო. აცტეკა
მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი

იტალია: ალბერტოზი, ბურგნიჩი, ჩერა, ბერტინი, როზატო (94. პოლეტი), მაცოლა (46. რივერა), ფაკეტი, დე სისტი, დომენგინი, ბონინსენია, რივა.

გფრ: მაიერი, შნელინგერი, ფოგთსი, პატეკე (66. ჰელდი), შულცი, ბეკენბაუერი, ოვერატი, ზეელერი, გრაბოვსკი, მიულერი, ლორი (52. ლიბუდა).

გოლები: 1:0 ბონინსენია (7), 1:1 შნელინგერი (90), 1:2 მიულერი (95), 2:2 ბურგნიჩი (98), 3:2 რივა (104), 3:3 მიულერი (110), 4:3 რივერა (111)

მსაჯი: იამასაკი (მექსიკა). 102 444 მაყურებელი

"არ გამკვირვებია, როცა გავიგე, რომ სწორედ ეს მატჩი აღიარეს ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესოდ", - განაცხადა ცოტა ხნის წინათ **ფრანც ბეკენბაუერმა**. *- საოცარია, რამდენად ღარიბი და არასაინტერესო იყო პირველი 90 წუთი. სამაგიეროდ, დამატებითი 30 წუთი იყო ფენომენალური".*

კაიზერმა იცის, რასაც ლაპარაკობს. დამატებით დროში მან მხარის საშინელი ტრავმა მიიღო, მაგრამ მუცელზე მიკრული ხელით თამაში ბოლომდე ჩაამთავრა, რადგან გერმანელებს ორივე შეცვლა გამოყენებული ჰქონდათ. ალბათ, ეს იყო ყველაზე დასამახსოვრებელი კადრი იმ ცნობილი ოვერტაიმიდან.

იტალიელებმა დაცვაში დაიხიეს და მთელი ძირითადი დროის განმავლობაში, აშკარად"კლავდნენ" თამაშს. მაგრამ **შნელინგერმა** ბოლო წუთზე ანგარიში გაათანაბრა - ზუსტად ისე, როგორც ეს ოთხი წლით ადრე, ინგლისელებთან ფინალში **ვებერმა** გააკეთა.

და ამის მერე დაიწყო... 16 წუთის განმავლობაში 5 გოლი გავიდა. ჟურნალისტებმა ამას "კალათბურთი ბალახზე" უწოდეს. თავიდან **მიულერმა** გერმანელები დააწინაურა, შემდეგ იტალიელები გამოცოცხლდნენ და 9 წუთში წინ გავიდნენ. გერმანიას სულ 120 წამი დასჭირდა იმისთვის, რომ ანგარიში გაეთანაბრებინა. მაგრამ იტალიელები კვლავ წინ გადიან - **ჯანი რივერამ** მარცხენა ფლანგიდან **ბონინსენიას** პასს შეუცვალა მიმართულება. როგორც ჩანს, სწორედ ეს გოლი აყენებს იტალიისა და გფრ-ის მატჩს, სხვა თრილერებზე მაღლა: რაც არ უნდა იყოს, გამარჯვების გოლი პენალტების სერიის შემდეგ არ გასულა.

2. ლივერპული-მილანი 3:3 პენ. 3:2

25 მაისი, 2005 წელი
სტამბოლი. ოლიმპიური სტადიონი
ჩემპიონთა ლიგა. ფინალი

ლივერპული: დუდეკი, ფინენი (46. ჰამანი), ჰიიპია, კარაგერი, ტრაორე, ლუის გარსია, ჯერარდი, ჩაბი ალონსო, რიისე, კიუელი (22. შმიცერი), ბაროში (83. ჯ. სისე).

მილანი: დიდა, კაფუ, სტამი, ნესტა, მალდინი, ზეედორფი (83. სერუინიო), გატუზო (111. რუი კოშტა), პირლო, კაკა, კრესპო (83. ტომასონი), შევჩენკო.

გოლები: 0:1 მალდინი (1), 0:2 კრესპო (38), 0:3 კრესპო (43), 1:3 ჯერარდი (53), 2:3 შმიცერი (54), 3:3 ჩაბი ალონსო (59)

59-ე წუთზე ჩაბი ალონსომ ვერ გაიტანა პენალტი

მსაჯი: მეხუტო გონსალესი (ესპანეთი). 69 000 მაყურებელი

"სტამბოლის სასწაულიდან" ორ წელიწადზე ცოტა მეტი გავიდა, მაგრამ ეს მატჩი ღირსეულად შედის საუკეთესოთა შორის. საკუთარ ძალებში დარწმუნებულმა მძლავრმა "მილანმა", პირველ ტაიმში გადათელა მეტოქე და პრაქტიკულად, უშანსოდ დატოვა.

მაგრამ აქ, ინგლისელებს დასახმარებლად მე-12 მოთამაშე გამოეცხადათ. მან ისე დასცხო You'll Never Walk Alone, რომ ორმილიარდიან ტელეაუდიტორიას ტანში ჟრუანტელმა დაუარა. **ჯერარდმა** პირველი საპასუხო გოლის გატანის შემდეგ, აიძულა ფანები კიდევ უფრო მეტად ეყვირათ. **შმიცერი** - 3:2, **ჩაბი ალონსო** - 3:3! და ეს ყველაფერი 350 წამის განმავლობაში! მანამდე ასეთი რამ ჩემპიონთა თასის ფინალებში არასოდეს მომხდარა...

"მილანი" გონს დამატებით დროში მოეგო და ვალდებული იყო გაემარჯვა. მაგრამ აქ **ერჟი დუდეკის** დრო დადგა: პოლონელი მეკარე სასწაულებს ახდენდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა **ანდრეი შევჩენკოს** ზედიზედ ორი "მკვდარი" ბურთი აუღო. უკრაინელი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. შესაძლოა, სწორედ ამ მომენტმა გამოიყვანა ფორვარდი წყობიდან - შევჩენკომ ვერც მატჩისშემდგომი პენალტი გაიტანა, რის შემდეგაც, დუდეკი სიხარულისგან გადარეული პარტნიორების მკლავებში აღმოჩნდა. მართალს ამბობენ: ფეხბურთში, ისევე, როგორც ცხოვრებაში, იმარჯვებს არა ის, ვინც ძლიერია, არამედ ის, ვისაც ამის უფრო მეტი სურვილი აქვს.

3. რეალი-აინტრახტი 7:3

18 მაისი, 1960 წელი
გლაზგო. ჰემდენ პარკი
ჩემპიონთა თასი. ფინალი

რეალი: დომინგესი, მარკიტოსი, სანტამარია, პაკინი, ვიდალი, სარაგა, კანარიო, დელ სოლი, დი სტეფანო, პუშკაში, ჰენტო.

აინტრახტი: ლოი, ლუტცი, აიგენბროდტი, ჰოფერი, ვაილბახერი, შტინკა, კრესი, ლინდნერი, შტაინი, პფაფი, მაიერი.

გოლები: 0:1 კრესი (18), 1:1 დი სტეფანო (27), 2:1 დი სტეფანო (30), 3:1 პუშკაში (45), 4:1 პუშკაში (56), 5:1 პუშკაში (60), 6:1 პუშკაში (71), 6:2 შტაინი (72), 7:2 დი სტეფანო (75), 7:3 შტაინი (76)

მსაჯი: მოუეტი (შოტლანდია). 134 000 მაყურებელი

ჩემპიონთა თასის ფინალების ისტორიაში დღემდე სარეკორდო აუდიტორიის წინაშე (ტრიბუნაზე იჯდა კლუბ "ქუინზ პარკის" 18 წლის ფორვარდი **ალექს ფერგიუსონიც**), მადრიდის "რეალმა" ზედიზედ მეხუთედ მოიგო ევროპის საკლუბო ფეხბურთის ყველაზე პრესტიჟული ტიტული.

ეს იყო ორი სუპერფორვარდის - **ალფრედო დი სტეფანოსა** და **ფერენც პუშკაშის** საუკეთესო მატჩი. მაგრამ ანგარიში გერმანელებმა გახსნეს. მათ საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავდათ, რაზეც მეტყველებს ის 12 გოლი, რომელიც მათ ორ მატჩში შოტლანდიის "რეინჯერსის" კარში გაიტანეს.

მიუხედავად ამისა, დი სტეფანომ და პუშკაშმა მაინც დადგეს თავიანთი წარმოდგენა. შვიდი გოლი სულ რაღაც 44 წუთში ჩაეტია. საინტერესოა, რომ სამი საგოლე პასი **ხოსე სანტამარიამ** გააკეთა, ოთხი - **ფრანსისკო ჰენტომ**. პუშკაშმა მისთვის ნაკლებად ტიპიური მანერით - თავითაც კი გაიტანა ბურთი, რითაც საკუთარი პარტნიორებიც კი გააკვირვა. მოკლედ, "სამეფო კლუბს" იმ დღეს ყველაფერი გამოსდიოდა: მეტოქემ გაიტანა იმდენი, რამდენიც შეძლო, "რეალმა" - რამდენიც მოინდომა.

4. გფრ-საფრანგეთი 3:3 პენ. 5:4

8 ივლისი, 1982 წელი
სევილია. სანჩეს პისხუანი
მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი

გფრ: შუმახერი, კალცი, შტილიკე, კ-ჰ. ფიორსტერი, ბრიგელი (95. რუმენიგე), დრემლერი, ბრაიტნერი, ბ. ფიორსტერი, მაგათი (72. ჰრუბეში), ლიტბარსკი, ფიშერი.

საფრანგეთი: ეტორი, ამორო, ჟანვიონი, ტრეზორი, ბოსი, ჟენგინი (50. ბატისტონი/59. ლოპესი), ტიგანა, ჟირესი, პლატინი, როშტო, სიქსი.

გოლები: 1:0 ლიტბარსკი (17), 1:1 პლატინი (27-პენ), 1:2 ტრეზორი (92), 1:3 ჟირესი (98), 2:3 რუმენიგე (102), 3:3 ფიშერი (108)

მსაჯი: კორვერი (ჰოლანდია). 60 000 მაყურებელი

ვინც არ უნდა ადგენდეს ყველა დროის საუკეთესო მატჩების სიას, ეს თამაში პირველ ხუთეულში აუცილებლად მოხვდება. ფრანგული რომანტიკა გერმანული ხასიათის წინააღმდეგ - რა შეიძლება იყოს ამაზე საინტერესო!

შესვენებამდე გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს, შემდეგ კი, საშინელი რამ მოხდა: **ჰარალდ შუმახერმა** კინაღამ თავი მოაძრო **პატრიკ ბატისტონს**. მსაჯმა მეკარე არც კი დააჯარიმა, თუმცა ეს მომენტი, მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე უხეშ დარღვევად ითვლება.

მაგრამ ყველაზე საინტერესო დამატებით დროში დაიწყო. ფრანგებმა სწრაფად გაიტანეს ორი ლამაზი გოლი და თავი უკვე ფინალში ეგონათ. თუმცა იმ მომენტისთვის უკვე მოედანზე იყო გასული **კარლ-ჰაინც რუმენიგე** - ყველაზე დიადი გერმანელი იმათგან, ვისაც მსოფლიო ჩემპიონატი არ მოუგია. გავიდა მიუხედავად ავადმყოფობისა და 39-გრადუსიანი სიცხისა და ყველას დაანახა, რას ნიშნავს გერმანული ხასიათი. მან ერთი გოლი გაქვითა, შემდეგ კი, **ფიშერმა** "მაკრატელათი" გაათანაბრა ანგარიში.

ჩანდა, რომ ფეხბურთელებს ძალები აღარ ჰქონდათ. პენალტების სერიის ცქერა შეუძლებელი იყო - იმდენად დრამატული და მღელვარე გამოდგა ეს სანახაობა. რა თქმა უნდა, გაიმარჯვეს უფრო მედგრებმა - ამ კომპონენტში გერმანელებს ბადალი არასოდეს ჰყოლიათ.

5. უნგრეთი-ურუგვაი 4:2

30 ივნისი, 1954 წელი
ლოზანა. ლა პონტესი
მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი

უნგრეთი: გროშიჩი, ბუზანსკი, ლანტოში, ბოჟიკი, ლორანტი, ზაკარიაში, ბუდაი, კოჩიში, ჰიდეგკუტი, ციბორი, პალოტაში.

ურუგვაი: მასპოლი, მარტინესი, სანტამარია, ანდრადე, კარბალინო, კრუსი, სოუტო, ამბროისი, ჰობერგი, სკიაფინო, ბორხესი.

გოლები: 1:0 ციბორი (12), 2:0 ჰიდეგკუტი (47), 2:1 ჰობერგი (76), 2:2 ჰობერგი (87), 3:2 კოჩიში (109), 4:2 კოჩიში (117)

მსაჯი: გრიფიტსი (უელსი). 37 000 მაყურებელი

ბევრისთვის ამ ტურნირის ფინალური მატჩი უფრო ცნობილია, მაგრამ ურუგვაისა და უნგრეთის ნახევარფინალი არანაკლებ დაძაბული იყო. მსოფლიო ჩემპიონები იმ ეპოქის საუკეთესო გუნდის წინააღმდეგ თამაშობდნენ, თანაც ორივე გუნდს თავიანთი ლიდერები აკლდათ: ურუგვაის **ობდულიო ვარელა**, უნგრეთს - ფერენც პუშკაში.

თითქოს უნგრელებმა იოლად დაამტკიცეს თავიანთი ძალა: ძირითადი დროის დასრულებამდე 15 წუთით ადრე, ისინი 2:0-ს იგებდნენ. მაგრამ გერმანული ფესვების მქონე ნატურალიზირებულმა არგენტინელმა **ხუან ჰობერგმა** ორი გოლის გატანა შეძლო, თანაც მეორე ბურთის შემდეგ, რამდენიმე წუთით გონება დაკარგა - ძალიან აქტიურად მიულოცეს წარმატება პარტნიორებმა.

დამატებით დროში ურუგვაი უკეთესად გამოიყურებოდა: **სკიაფინომ** ძელსაც კი გაარტყა ბურთი. მაგრამ სამხრეთამერიკელთა მცველმა **ანდრადემ** ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა, მოედანი დაეტოვებინა. მეურვის გარეშე დარჩენილმა **შანდორ კოჩიშმა** თავით ორი გოლი გაიტანა და თავისი გუნდი ფინალში გაიყვანა.

6. საფრანგეთი-ბრაზილია 1:1 პენ. 4:3

21 ივნისი, 1986 წელი
გვადალახარა. ხალისკო
მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი

საფრანგეთი: ბატსი, ბატისტონი, ამორო, ბოსი, ტიუსო, ჟირესი (84. ფერერი), ტიგანა, პლატინი, ფერნანდესი, სტოპირა, როშტო (101. ბელონი).

ბრაზილია: კარლოსი, ჟოსიმარი, ჟულიო სეზარი, ედინიო, ბრანკო, ალემაო, სოკრატესი, ჟუნიორი (91. სილასი), ელზო, მიულერი (72. ზიკო), კარეკა.

1970 წელი, ბრაზილია-იტალია

გოლები: 0:1 კარეკა (18), 1:1 პლატინი (42)

74-ე წუთზე ზიკომ ვერ გაიტანა პენალტი

მსაჯი: ინია (რუმინეთი). 65 000 მაყურებელი

მუხთალმა წილისყრამ ადრეულ ეტაპზე შეახვედრა ერთმანეთს ორი სიმპათიური და ძლიერი გუნდი. **სოკრატესის, ჟუნიორისა** და **ზიკოს** ბრაზილია ევროპის ჩემპიონის, ბრწყინვალე ნახევარდაცვის მქონე საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ.

წესით, ასეთი თამაშის ბედი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაწყვეტილიყო პენალტების სერიით. გუნდები მუდმივად უტევდნენ, არც საკუთარ თავს და არც მოწინააღმდეგეს არ ინდობდნენ. მოთამაშეთა მინიმუმ ნახევარზე შეიძლება ითქვას, რომ ეს მათი კარიერის საუკეთესო მატჩი იყო. ბრაზილიელები დაწინაურდნენ - კარგად იმუშავა **მიულერი-კარეკას** დუეტმა, მაგრამ შესვენებამდე **მიშელ პლატინიმ** გოლით აღნიშნა თავისი 31-ე დაბადების დღე. მან **დომინიკ როშტოს** პასი გამოიყენა.

მაგრამ ეს მატჩი გამოუყენებელი პენალტითა და უიღბლოთა გვარებით უფრო დაგვამახსოვრდა: ჯერ ზიკოს მოეცარა ხელი, როცა შესვლაზე შესულმა პენალტის დარტყმა ითავა. შემდეგ, პენალტების სერიაში ზედმეტად მოინდომა სოკრატესმა. პოლონელებთან მატჩში მისმა "კლოუნურად" შესრულებულმა პენალტმა, საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია, მაგრამ ფეხბურთი ცირკი არ არის: **ჟოელ ბატსმა** აიღო ბრაზილიელთა კაპიტნის 11-მეტრიანი. პენალტი გააფუჭა პლატინიმაც, მაგრამ მისი გუნდი ნახევარფინალში მაინც გავიდა.

7. ინგლისი-გფრ 4:2

30 ივლისი, 1966 წელი
ლონდონი. უემბლი
მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი

ინგლისი: ბენქსი, კოენი, ჯ. ჩარლტონი, მური, უილსონი, სტაილზი, ბ. ჩარლტონი, ბოლი, პიტერსი, ჰანტი, ჰერსტი.

გფრ: ტილკოვსკი, ჰოტგეესი, შულცი, ვებერი, შნელინგერი, ბეკენბაუერი, ოვერატი, ჰალერი, ზეელერი, ჰელდი, ემერიხი.

გოლები: 0:1 ჰალერი (12), 1:1 ჰერსტი (18), 2:1 პიტერსი (77), 2:2 ვებერი (90), 3:2 ჰერსტი (101), 4:2 ჰერსტი (120)

მსაჯი: დინსტი (შვეიცარია). 94 000 მაყურებელი

"უემბლიზე" გამართული ფინალის გახსენებისას, როგორც წესი, მაშინვე ამოტივტივდება ორი გვარი: გერმანელებისთვის ეს არის საბჭოელი მსაჯი **ტოფიკ ბახრამოვი**, ინგლისელებისთვის - ფორვარდი **ჯეფრი ჰერსტი**.

ინგლისს შეეძლო და უნდა მოეგო ძირითად დროში, მაგრამ მეორე გოლი ბოლო წამებზე გაუშვა. დამატებით დროში ფინალის გმირები ჩაერთვნენ საქმეში. ჰერსტის გოლი დღემდე ნებისმიერი გერმანელის ნებისმიერ ინგლისელთან კამათის მთავარი თემაა. ბაქოელმა ლაინსმენმა თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა და კარის აღება დააფიქსირა, რისთვისაც მას გერმანიაში მეტსახელი მოუგონეს: "ჰერ ცვაი-დრაი".

ჰერსტმა კი, სრულად დაიმსახურა თანამემამულეთა მუდმივი მადლიერება და რაინდის ტიტული. 120-ე წუთზე გატანილი ულამაზესი გოლით, ის დღემდე ერთადერთ ფეხბურთელად რჩება, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ჰეთ-თრიკის შესრულება შეძლო.

8. ბრაზილია-იტალია 4:1

21 ივნისი, 1970 წელი
მეხიკო. აცტეკა
მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი

ბრაზილია: ფელიქსი, კარლოს ალბერტო, ბრიტო, პიაცა, ევერალდო, კლოდოალდო, ჟერსონი, რიველინო, ჟაირზინიო, ტოსტაო, პელე.

იტალია: ალბერტოზი, ბურგნიჩი, ჩერა, როზატო, ფაკეტი, ბერტინი (75. ჯულიანო), მაცოლა, დე სისტი, დომენგინი, ბონინსენია (84. რივერა), რივა.

გოლები: 1:0 პელე (18), 1:1 ბონინსენია (37), 2:1 ჟერსონი (66), 3:1 ჟაირზინიო (71), 4:1 კარლოს ალბერტო (87)

მსაჯი: გლოკნერი (გდრ). 108 000 მაყურებელი

გადამწყვეტ მატჩში ორი ორგზის მსოფლიო ჩემპიონი დაუპირისპირდა ერთმანეთს. ეს იყო ბრძოლა ჟიულ რიმეს თასის სამუდამო მფლობელობისთვის და ეს გახლდათ შემტევი ფეხბურთის ზეიმი. აი, რას წერდა მაშინ ჟურნალი World Soccer: *"როგორც იქნა, სამყარომ მიიღო თვალნათელი და ურყევი დამტკიცება იმისა, რომ თანამედროვე ფეხბურთში წარმატება არტისტიზმსა და მაღალ საშემსრულებლო ოსტატობას მოაქვს".* ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ თურმე იმ დროში ხალხი თამაშის სანახაობრივ მხარეზე წუწუნებდა. მაშინ რაღა უნდა თქვან თანამედროვე ჟურნალისტებმა?!

რა თქმა უნდა, ფავორიტები ბრაზილიელები იყვნენ და **პელემ**, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატების რანგში უკანასკნელ შეხვედრას ატარებდა, თავით შესანიშნავი დარტყმით გახსნა ანგარიში. თუმცა გერმანელებთან ნახევარფინალში გადაღლილი იტალია, 66-ე წუთამდე ინარჩუნებდა **ბონინსენიას** მიერ აღდგენილ თანაფარდობას. პელემ კიდევ ორი გოლი შექმნა თავისი პარტნიორებისთვის, **ჟაირზინიო** გახდა პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის ყველა მატჩში შეძლო გოლის გატანა, ხოლო ფეხბურთის მეფის პასის შემდეგ **კარლოს ალბერტოს** გასროლა, დღემდე ასოცირდება პელესა და 50-60-იანი წლების ბრაზილიის დიადი ნაკრების ეპოქის დასასრულთან.

9. ბენფიკა-რეალი 5:3

2 მაისი, 1962 წელი
ამსტერდამი. ოლიმპიური სტადიონი
ჩემპიონთა თასი. ფინალი

ბენფიკა: კოშტა პერეირა, ჟოაო, ჰერმანო, ანხელუ, კავემი, კრუსი, აუგუშტუ, ეუსებიო, აგუაში, კოლუნა, სიმოეში.

რეალი: არაკისტაინი, კასადო, სანტამარია, მიერა, ფელო, პაკინი, ტეხადა, დელ სოლი, დი სტეფანო, პუშკაში, ჰენტო.

გოლები: 0:1 პუშკაში (17), 0:2 პუშკაში (23), 1:2 აგუაში (25), 2:2 კავემი (34), 2:3 პუშკაში (38), 3:3 კოლუნა (51), 4:3 ეუსებიო (65-პენ), 5:3 ეუსებიო (68)

მსაჯი: ჰორნი (ჰოლანდია). 65 000 მაყურებელი

"ბენფიკა" გახდა პირველი გუნდი, რომელმაც ჩემპიონთა თასზე "რეალის" ჰეგემონიის დარღვევა შეძლო. ერთი წლით ადრე, პორტუგალიელებს უკვე მოგებული ჰქონდათ ეს პრესტიჟული ტიტული, როცა ფინალში "ბარსელონა" დაამარცხეს, მაგრამ სამეფო ტახტზე უფრო მყარად დასამკვიდრებლად, საჭირო იყო ჰენტოს, დი სტეფანოსა და პუშკაშის "რეალის" დამარცხება.

ეს იყო "ბენფიკას" შემადგენლობაში 19 წლის ეუსებიოს პირველი სრულფასოვანი სეზონი. "შავი მარგალიტი" თავიდან დაბნეული ჩანდა. "რეალი" 2:0 დანინაურდა, შემდეგ 3:2 იგებდა. და მაინც, პორტუგალიელებმა გამონახეს ძალები იმისთვის, რომ ჯერ ანგარიში გაეთანაბრებინათ და შემდეგ გამარჯვებისთვის მიეღწიათ. გადამწყვეტი გახდა შესვენებაზე მომხდარი გადაადგილება: ნახევარმცველი **კავემი** დი სტეფანოს უვნებელსაყოფად უკან დახიეს და "ბენფიკას" უნგრელი მწვრთნელის **რუტმანის** გეგმამ 100 პროცენტით გაამართლა: 21 წუთში ჰეთ-თრიკის გამტანი პუშკაში, ასისტენტის გარეშე დარჩა. ბოლო ორი ბურთი ეუსებიომ გაიტანა, მათ შორის გამარჯვების გოლი პენალტით, რომელიც მისივე წაქცევისთვის დაინიშნა.

10. ინგლისი-უნგრეთი 3:6

25 ნოემბერი, 1953 წელი
ლონდონი. უემბლი
ამხანაგური მატჩი

ინგლისი: მერიკი, რამსეი, ეკერსლი, რაიტი, ჯონსტონი, დიკინსონი, მეტიუზი, ტეილორი, მორტენსენი, სიუელი, რობი.

უნგრეთი: გროშიჩი (76. გელერი), ლორანტი, ბუზანსკი, ზაკარიაში, ლანტოში, ბოჟიკი, ჰიდეგკუტი, ბუდაი, კოჩიში, პუშკაში, ციბორი.

გოლები: 0:1 ჰიდეგკუტი (2), 1:1 სიუელი (13), 1:2 ჰიდეგკუტი (20), 1:3 პუშკაში (24), 1:4 პუშკაში (27), 2:4 მორტენსენი (38), 2:5 ბოჟიკი (50), 2:6 ჰიდეგკუტი (53), 3:6 რამსეი (57-პენ).

მსაჯი: ჰორნი (ჰოლანდია). 100 000 მაყურებელი

ინგლისურმა პრესამ ეს თამაში ერთხმად მონათლა "საუკუნის მატჩად". მიზეზიც ჰქონდა - პირველად ფეხბურთის ისტორიაში, ინგლისის ნაკრებმა საკუთარ მოედანზე წააგო კონტინენტის წარმომადგენელთან. და არა მარტო წააგო - ისე უმოწყალოდ გაითელა, რომ აქედან მოყოლებული, ინგლისელები აღარ ამტკიცებდნენ - ნებისმიერ შემთხვევაში ყველაზე უკეთესად ვთამაშობთ ფეხბურთსო.

უნგრელები ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ და სულაც არ ეშინოდათ მასპინძლების 80-წლიანი წაუგებელი სერიისა. მათ ინგლისელები თავიანთი მსუბუქი ბუცებით გააკვირვეს (ერთი შეხედვით, ისინი ბალეტისთვის უფრო გამოდგებოდა, ვიდრე ფეხბურთის სათამაშოდ), მაშინვე გახსნეს ანგარიში, შესვენებისთვის 4:2 იგებდნენ და მთელი მატჩი ისეთ მაღალ ტემპში ჩაატარეს, რომ ინგლისელები ვერ ხვდებოდნენ, საით ერბინათ. **ჰიდეგკუტის** ჰეთ-თრიკმა და პუშკაშის დუბლმა სტუმრებს გაამარჯვებინა მატჩში, რომელმაც ინგლისელებს ფეხბურთზე წარმოდგენა შეუცვალა.

11. გფრ-უნგრეთი 3:2

4 ივლისი, 1954 წელი. ბერნი
მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი

12. იტალია-ბრაზილია 3:2

5 ივლისი, 1982 წელი. ბარსელონა
მსოფლიო ჩემპიონატი. II ჯგუფური ეტაპი

13. ბრაზილია-ურუგვაი 1:2

16 ივლისი, 1950 წელი. რიო დე ჟანეირო
მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი

14. მანჩესტერ იუნაიერნი 2:1

26 მაისი, 1999 წელი. ბარსელონა
ჩემპიონთა ლიგა. ფინალი

15. ბლეკპული-ბოლტონი 4:3

2 მაისი, 1953 წელი. ლონდონი
ინგლისის თასი. ფინალი

16. ლივერპული-ალავესი 5:4

16 მაისი, 2001 წელი. დორტმუნდი
უეფას თასი. ფინალი

17. საფრანგეთი-პორტუგალია 3:2

23 ივნისი, 1984 წელი. მარსელი
ევროპის ჩემპიონატი. 1/2 ფინალი

18. ბარსელონა-ფორტუნა 4:3

16 მაისი, 1979 წელი. ბაზელი
თასების თასი. ფინალი

19. გერმანია-იტალია 0:2

4 ივლისი, 2006 წელი. დორტმუნდი
მსოფლიო ჩემპიონატი. 1/2 ფინალი

20. გფრ-ჰოლანდია 2:1

24 ივნისი, 1990 წელი. მილანი
მსოფლიო ჩემპიონატი. 1/8 ფინალი

1954 წელი, უნგრეთი-ურუგვაი



არსენ ვენგერი

არსენალი

ვენგერი 2011 წლამდე

იენს ლემანს მეთოფეების შესახებ დასმული კითხვები აღიზიანებს

არსენ ვენგერმა "არსენალთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა. ის "ემირატს სთედიუმზე" 2011 წლამდე დარჩება. 57 წლის სპეციალისტს ძველი შეთანხმება გაისად ეწურებოდა. აპრილში, ვიცე-თავმჯდომარე **დევიდ დინის** აბარგების შემდეგ, გავრცელდა სპეკულაციები, რომ მოსიე არსენიც მის გზას გაუყვებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ვენგერი ამბობს, რომ "არსენალთან" განსაკუთრებული ემოციები აკავშირებს. ამიტომ კონტრაქტის გაფორმება იმთავითვე გადაწყვეტილი ჰქონდა. "მეთოფეების" თავმჯდომარე **პიტერ ჰილ-ვუდი** კმაყოფილებას ვერ მალავს. ის იმედოვნებს, რომ კლუბის მოსალოდნელი გაყიდვის გამო, დირექტორატში არსებული დაძაბულობა ახლა მაინც განიმუხტება. ვენგერი "არსენალში" 1996 წლიდან მოღვაწეობს. 11 წლის წინათ ის იაპონური "ნაგოია გრამპუს ეითიდან" ზემოთხსენებული დევიდ დინის ინიციატივით გადაიყვანეს. 1998 და 2002 წლებში ლონდონელებმა ინგლისის ჩემპიონობაც მოიპოვეს და ასოციაციის თასიც. საერთო ჯამში ვენგერის აქტივში ინგლისის სამგზის ჩემპიონობა და ასოციაციის ოთხი თასია. "მეთოფეებს" ევროპაში დიდი წარმატებებისთვის არ მიუღწევიათ. 2000 წელს მათ უეფას თასის ფინალში ითამაშეს და "გალათასარაისთან" წააგეს. 2006 წელს ისინი ჩემპიონთა თასის ფინალშიც გავიდნენ, მაგრამ "ბარსელონამ" მოუგო.

"მეთოფეების" თემას იენს ლემანით გავაგრძელებთ. გერმანიის ნაკრების გუშინწინდელ პრესკონფერენციაზე მეკარეს განუწყვეტლივ "არსენალზე" ეკითხებოდნენ. თითქოს უელსთან მატჩი კარს მომდგარი არ ყოფილიყოს. 37 წლის მეკარემ სეზონი სუსტად დაიწყო. მან ორ მატჩში ორი უხეში შეცდომა დაუშვა, რის გამოც მეთოფეებმა ორი ქულა დაკარგეს. შემდეგ იყო ტრავმა (ინგლისთან ამხანაგური შეხვედრისას მან იდაყვი იტკინა). ძირითად შემადგენლობაში ლემანის ადგილი ესპანელმა **მანუელ ალმუნიამ** დაიკავა. იენსი გამოჯანმრთელდა და დღეს გერმანელთა სასტარტოში ითამაშებს. აი, "არსენალის" ძირითადში დაბრუნება კი გაუჭირდებაო, წერენ ბრიტანელი მიმომხილველები. მათი სკეპტიციზმი გერმანელ ჟურნალისტებსაც გადაედოთ. ერთ-ერთმა მათგანმა ლემანს ვენგერის სიტყვებზე კომენტარის გაკეთება სთხოვა. ჟურნალისტმა მეთოფეების თავკაცის კომენტარი ძალიან დაამახინჯა. მოსიე არსენს არ უთქვამს, რომ გუნდში გერმანელი მეკარის ადგილს ვეღარ ხედავს. მიმომხილველმა კი მისი სიტყვები სწორედ ასეთი ფორმით გადმოსცა. ლემანს მოთმინების ფიალა აევსო და მიაძახა: *"იმ განცხადების თქვენეული ინტერპრეტაცია ნერვებს მიშლის. ამიტომ ნუ მთხოვთ, კომენტარი გავუკეთო თქვენს მიერ გამოგონილ განცხადებას."* სპეკულაციების თანახმად, იენსი "არსენალს" იანვრის ტრანსფერებისას დატოვებს. თუ მას ლონდონში სათამაშო პრაქტიკა არ ექნება, გაისად, ევროპის ჩემპიონატზე არ ათამაშებენ და შეიძლება, არცკი წაიყვანონ. ინგლისური სააგენტოების მტკიცებით, ჯერ კიდევ აგვისტოს სატრანსფერო ფანჯრის მიწურულს, როცა ლემანი გერმანიაში სამკურნალოდ იმყოფებოდა, მისმა აგენტებმა ბუნდესლიგის რამდენიმე კლუბს ჩამოურეკეს.

ჩელსი

ბალაკი არ იყიდება

"ჩელსი" კატეგორიულად უარყოფს ინფორმაციას, თითქოს იანვრის ტრანსფერებისას **მიხაელ ბალაკის** გაყიდვას აპირებდეს. სპეკულაციები მას მერე აგორდა, რაც ლონდონელებმა, ყველასთვის მოულოდნელად, გერმანელი ვარსკვლავი ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ შეიყვანეს. ოფიციალური მოტივი ასეთია: მიხაელი კიდევ სამი თვე ვერ ითამაშებს. ტრავმის გამო, მას ლიგის ჯგუფური ტურნირი ისედაც გაუცდებოდა. "ჩელსის" ამ არგუმენტს არავინ იზიარებს.

გერმანიის ნაკრების თავკაცი **იოგი ლიოვი** ამბობს, რომ ბალაკის ნაკრებში გამოძახებას ოქტომბრის შესარჩევი მატჩებისთვის გეგმავს. ლიოვს ისიც არ დაუმალავს, რომ ლონდონელთა გადაწყვეტილებამ მიხაელიც ძალიან გააკვირვა. თუმცა ბალაკი დიპლომატიურად იქცევა და კლუბის შესახებ საჯაროდ არაფერს ამბობს. ბრიტანულმა გამოცემებმა კი ამასობაში მიხაელის "იუვენტუსში" ტრანსფერი ინინასწარმეტყველეს. მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით ტურინელებს არაფერი უთქვამთ. "არისტოკრატების" პოზიცია კი თავშივე გაგაცანით.

ბალაკის თემას **ფრანც ბეკენბაუერი** ეხმაურება. მისი აზრით, 30 წლის ნახევარმცველმა შეცდომა დაუშვა, როცა "ჩელსის" მიაშურა და არა "მანჩესტერ იუნაიტედს". კაიზერი ამბობს, რომ "იუნაიტედში" მიხაელის პოზიცია თავისუფალი იყო. ის უპრობლემოდ მოახერხებდა ძირითადში დამკვიდრებას. ბალაკს "რეალში" ფეხის მოკიდებაც არ გაუჭირდებოდა, "ჩელსიში" კი მის ადგილზე ლონდონელთა საუკეთესო ფეხბურთელი **ფრენკ ლემპარდი** თამაშობდა. იმთავითვე ნათელი იყო, რომ გერმანელს იოლი ცხოვრების იმედი არ უნდა ჰქონოდა.

ბარსელონა, დიდი სკანდალიც მოლოდინში

ოლეგერს პატიმრობა ემუქრება

კატალონიური გრანდის მცველს პოლიციელის ხელყოფაში ადანაშაულებენ

გუშინ ესპანურ პრესაში სენსაციური ინფორმაცია გაჩნდა. გაირკვა, რომ "ბარსელონის" ცენტრალურ მცველს, **ოლეგერ პრესასს** სამწლიანი პატიმრობა ემუქრება. ცოტა არ იყოს, გასაკვირია, რომ 2003 წლის 27 სექტემბერს მომხდარი ფაქტის განხილვა სასამართლომ ახლა მოისურვა, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არ არის მთავარი. ოთხი წლის წინათ ოლეგერი მეგობრებთან ერთად ბარში იმყოფებოდა. ისინი ერთ-ერთი მეგობრის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. ზეიმმა ძალიან დიდ ხანს გასტანა. ბარი უნდა დაკეტილიყო და მისმა მეპატრონეებმა სტუმრებს წასვლა მოსთხოვეს. ისინი კი ძალიან გაღიზიანდნენ და შენობის დატოვებაზე უარი განაცხადეს. ბარის მესვეურებს ისღა დარჩენოდათ, პოლიციაში დაერეკათ.

სამართალდამცველები ადგილზე მცირე დროში გამოცხადდნენ. პოლიციელებმა შეკრებილ საზოგადოებას თავიდანვე კატეგორიულად მოთხოვეს, ბარიდან სასწრაფოდ გასულიყვნენ. მათ კატეგორიულობას ოლეგერმა და მისმა მეგობრებმა აგრესია დაუპირისპირეს. უკმეხ პასუხს კი პოლიციელთა განრისხება მოჰყვა. შედეგად ბარში ხელჩართული ჩხუბი დაიწყო. პოლიციელები რიცხობრივ უმცირესობაში იყვნენ და უკან დაიხიეს. დაპირისპირებამ ქუჩაში კიდევ უფრო დაუნდობელი ხასიათი შეიძინა. რეგიონული მოსამართლე აცხადებს, რომ საქმის მასალების მიხედვით, "ბარსელონის" მცველმა ერთ-ერთ სამართალდამცველს ქვა ესროლა და სერიოზული ტრავმა მიაყენა. მისი თქმით, ეს დანაშაული სამ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გამომდინარე იქიდან, რომ ოლეგერი მანამდე კანონდარღვევაში არასოდეს ყოფილა შემჩნეული, შესაძლოა, ვადა ერთი წლით შემცირდეს, თუმცა თუ სასამართლო მას დამნაშავედ ცნობს, ციხეში ჩაჯდომა ალბათ, არ ასცდება. ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, პოლიციელზე თავდასხმაში ბრალდებული პირობით სასჯელს არ ექვემდებარება.

ორი ცვლილება ბრაზილიის ნაკრებში

კარლოს დუნგამ ბრაზილიის ნაკრებში ორი ახალბედა ფეხბურთელი გამოიძახა. დაწავებულ მცველებს **ალექსსა** ("ჩელსი") და **ალექს სილვას** ("სან პაულუ") ფენერბაჰჩელი **ედუ დრასენა** და ლისაბონის სპორტინგელი **გლადსტონი** შეცვლიან. პენტა-კამპეონები ამერიკისა და მექსიკის ნაკრებებთან ამხანაგურ მატჩებს ჩაატარებენ. ამერიკელებთან შეხვედრას კვირას, ჩიკაგოს "სოლჯერ ფილდი" უმასპინძლებს, ხოლო ოთხშაბათს ბრაზილია-მექსიკა ბოსტონის "ფოქსბოროზე" გაიმართება.

არგენტინა კრესპოსა და მაქსის გარეშე

11 სექტემბერს მელბურნში ავსტრალიის ნაკრები არგენტინას შეხვდება. "ალბისელესტეს" **ერნან კრესპო** და **მაქსი როდრიგესი** ვერ დაეხმარებიან. კრესპო კოპა ამერიკის შემდეგ მკურნალობს. მოგეხსენებათ, მან ბარძაყის კუნთი დაიზიანა. ერნანმა ეროვნულ გუნდში 64 მატჩში 35 გოლი შეაგდო. მაქსი ნაკრებს ნორვეგიასთან 22 აგვისტოს შეხვედრაში დაუბრუნდა. იქამდე მასაც ბარძაყის კუნთი ჰქონდა გაწყვეტილი და ექვსი თვის განმავლობაში მკურნალობდა. ოჯახური მიზეზის გამო, ავსტრალიაში არ გაემგზავრება ცენტრალური მცველი **დანიელ დიასი**. ეს მატჩი ბოლო რეპეტიცია იქნება მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის დაწყების წინ. პირველ ორ შეხვედრაში არგენტინა ჩილეს და სტუმრად ვენესუელას შეხვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ფაბიო კაპელოსთან

მთავარია, როგორმე ანრი, რიბერი და ნასრი მოვთოკოთ



ფაბიო კაპელოს ტელეკომენტატორობა ძალიან მოსწონს

იტალია-საფრანგეთის მატჩს "რაიუნოზე" ფაბიო კაპელო გაუკეთებს კომენტარს. სხვათა შორის, ამ საქმეში ის დებიუტანტი არ არის. "გაძეტა დელო სპორტთან" ინტერვიუში დონ ფაბიო სწორედ თავის პირველ ტელეტრანსლაციას იხსენებს. თუმცა ინტერვიუში მარტო ეს არ არის. კაპელო უშუალოდ დღევანდელ თამაშზეც საუბრობს და რობერტო დონადონის რჩევასაც აძლევს. მოკლედ, საინტერესო უნდა იყოს...

- კაპელო, რეპორტაჟების საქმეში გამოუცდელი არ ხართ. გაიხსენეთ, პირველი როდის იყო?

- ძალიან კარგად მახსოვს, 1983 წელს იყო, როცა "მილანის" ახალგაზრდული გუნდი მებარა, ლუიჯი კოლომბოსთან ერთად კი "ტელემონტე-კარლოსთან" ვთანამშრომლობდი. პირველად, სწორედ კოლომბოს მოუვიდა თავში აზრად რეპორტაჟები დუეტში. მის გარდა, კიდევ სამნი ვიყავით: ჟოზე ალტაფინი, ჯაკომო ბულგარელი და მე. როგორია? ბრწყინვალე თავდამსხმელი ჟოზე და მის უკან, მოდით გულახდილად ვთქვათ, ორი საშუალო დონის ფორვარდი. პირველი გამოცდა იყო "ასტონ ვილა"-"იუვენტუსის" მატჩი, ჩემპიონთა თასზე. კოლომბო და ალტაფინი ბირმინგემიდან გადმოსცემდნენ რეპორტაჟს, მე კი მონტე-კარლოს სტუდიაში ვიჯექი. მოულოდნელად, ინგლისიდან სიგნალი გაწყდა, ლუიჯისა და ჟოზეს ხმა ეთერში აღარ ისმოდა. და დავრჩი ასე მარტო. თავიდან ცოტა კი დავიბენი, მაგრამ მერე ფრთები გავშალე და თამაში გამოცდილი კომენტატორივით მიმყავდა... ეჰ, ჩინებული დრო იყო... მას შემდეგ ჩვენი ცხოვრება ძალიან შეიცვალა...

- ...და აი, თქვენ დაბრუნდით. დიდხანს აპირებთ ტელევიზიასთან თანამშრომლობას?

- "რაისთან" ერთწლიანი კონტრაქტი მაქვს. ვუყურებ მატჩებს, ვუკეთებ კომენტარებს... მომწონს ეს სამუშაო. შაბათს კი იტალია-საფრანგეთია. ძალიან საინტერესო თამაში იქნება.

- თუმცა ამბობენ, რომ უნგრეთი-იტალიის რეპორტაჟისას შებოჭილი იყავით. ქომაგები კაპელოსგან უფრო მძაფრ შეფასებებს ელოდნენ?

- სულაც არ ვიყავი შებოჭილი. ბუდაპეშტის მატჩი, რომელიც ამხანაგური იყო, წინასასეზონო მზადების პერიოდს დაემთხვა. ამას გარდა, იტალია მსოფლიო ჩემპიონია და შეფასებებში ცოტა მეტი თავშეკავებაა საჭირო. და ამასაც რომ თავი დავანებოთ, მე მხოლოდ თამაშის ტექნიკურ მხარეს ვუკეთებ კომენტარს.

- და კაპელო-მწვრთნელი?

- მადრიდი დავტოვე და ეს თემა კარგა ხანია დახურულია. ახლა თავისუფალი ვარ და ვაკეთებ იმ საქმეს, რაც მინდა და რაც მომწონს.

- მერე რა იქნება?

- არ ვიცი, შორეულ გეგმებს ჯერჯერობით, არ ვაწყობ. დღეს სამუშაო მაქვს. მერე ვნახოთ...

- ...და რომ მიიღოთ წინადადება სამწვრთნელო სკამზე დასაბრუნებლად?

- არ იცით? უკვე შემომთავაზეს რამდენიმე ვარიანტი. იტალიური არა, უცხოური კლუბები მეპატიჟებიან. სხვათა შორის, საინტერესო წინადადებებია, მაგრამ ყველას უარი შევუთვალე.

- რომელი წინადადებისთვის ხართ მზად?

- სადმე, ეროვნულ ნაკრებში ვიმუშავებდი.

- მაგალითად, იტალიის ნაკრებში...

- არა, არა. "სკუადრა აძურას" ჰყავს ახალგაზრდა, ამბიციური მწვრთნელი და მოდით, ვაცალოთ ამ ადამიანს მშვიდად მუშაობა.

- მაშინ, რომელ ნაკრებზე შეიძლება იყოს ლაპარაკი?

- კარგი გუნდი უნდა იყოს, ამბიციური, გარკვეულ დონეზე...

- ინგლისი? ესპანეთი?

- ვინ იცის... ისე, ორივე მართლა კარგი გუნდია... მაგრამ ჩვენ ხომ ტელევიზიასა და საფრანგეთთან მატჩზე უნდა გვესაუბრა...

- როგორ უნდა ითამაშოს იტალიამ შაბათს?

- დიდი ყურადღება გვმართებს ანრის, რიბერისა და ნასრის მიმართ. ისინი ძალიან სახიფათონი არიან. მთავარია, თავისუფალი სივრცე არ მივცეთ.

- თამაშს მოედანზე უყურებთ თუ მონიტორზე?

- ორივეს ერთად. თან ხომ მომენტის გამეორებაც უნდა ვნახო.

- როდის გამოგდით თამაშის უკეთ შეფასება: როცა ცოცხლად უყურებთ თუ ტელეეკრანიდან?

- ტელევიზიით მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები ჩანს, ტრიბუნიდან კი თამაში თითქოს ხელისგულზე გაქვს, ყველაფერს ხედავ და შეფასებაც უფრო სრულყოფილი გამოდის.

- დომენეკმაც ტრიბუნიდან უნდა უყუროს თამაშს. ეს სერიოზული მინუსია საფრანგეთისთვის?

- სხვათა შორის, ამ ადგილიდან მას შეუძლია უფრო ზუსტი ინსტრუქციები მისცეს გუნდს. მეორე მხრივ, როცა მწვრთნელი თავის სკამზე ზის, ფეხბურთელებთან ფსიქოლოგიურ კონტაქტს ინარჩუნებს, რაც გარკვეული გადაწყვეტილებების მისაღებად ასევე მნიშვნელოვანი მომენტია.

- და როგორ ფიქრობთ, დომენეკის დისკვალიფიკაცია სამართლიანია?

- აბსოლუტურად. მან სერიოზული ბრალდებები წამოაყენა, მაგრამ ვერ დაამტკიცა. ერთხელ მას მადრიდში შევხვდი, მაგრამ ვერ გავიგე მისი პოზიცია... მაგრამ იტალიის ნაკრებმა ახლა უშუალოდ მეტოქეზე უნდა იფიქროს და არა მის მწვრთნელზე.

- სწორად მოიქცა დონადონი, როცა პანუჩი მიინვია?

- მთავარი მწვრთნელი ყოველთვის საუკეთესო მოთამაშეებს ეძებს. დიახ, მისი არჩევანი სწორია. მეც დარწმუნებული ვარ, რომ პანუჩი გაამართლებს. ერთ დროს ჩემი შეგირდი იყო და მისი ყველა თვისება ზედმიწევნით ზუსტად ვიცი, ერთადაც მოგვიგია რაღაც ტიტულები...

- ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ტელევიზიაში მუშაობით უფრო მეტი ანტიპათია შეიძლება გამოინვიოთ?

- ის, ვინც მიცნობს, იცის ჩემი ხასიათი და ნატურა. იკითხეთ ჩემზე მილანში, რომში, ტურინში, მადრიდში... ძალიან ბევრი იქ დღესაც პატივს მცემს. ახლა ტელევიზიაში ექსპერტად ვმუშაობ და, რა თქმა უნდა, ბევრისთვის ჩემი ზოგიერთი მოსაზრება შეიძლება მიუღებელი იყოს. სხვათა შორის, მეც ბევრი რამ არ მომწონს, რაც ეთერიდან მესმის.

- მაინც რომელი?

- ჩვენ ხომ იტალიელები ვართ. ისევ ბევრს ვიცინით, ნაკლებად ვფიქრობთ. თითქოს, ისევ ძველ სახლში დავრჩით და თავს მყუდროდ ვგრძნობთ. მაგრამ დრო იცვლება, იცვლება ყველაფერი ჩვენს გარშემო... და მე მინდა, აქ კონტრასტი შევქმნა...

- იცვლებიან მწვრთნელებიც. ჯერ სკამზე, მერე ტელესტუდიებში. მაგალითად, საკი და ლიპი. აგრძელებენ ისინი თავიანთ გადაცემებს?

- არ ვიცი, ვერ ვხვდებით ერთმანეთს. მე საერთოდ არ მაქვს დრო, ან ვმოგზაურობ, ან გადაცემისთვის ვემზადები.

- საკი მუგინისთან ერთად "კონტროკამპოში", კაპელო და ტომბოლინი კი "დომენიკა სპორტივაში". რომელი გადაცემა ჯობია?

- ჩვენ ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს. ის ორიც კარგია ერთად...



ვესლი სნეიდერი, მადრიდელთა ახალი ბექჰემი

ექსპერტის მოსაზრება

მადრიდში ახალი მეგავარსკვლავი დაიბადა?

მას "რეალის" 23-ნომრიანი მაისურა აცვია, გააქვს გოლები ჯარიმებიდან, მშვენივრად გამოსდის 40-მეტრიანი პასები და გულშემატკივრებს უკვე ძალიან უყვართ. ის სრულყოფილად ფლობს ინგლისურს. ეს ბიჭი მეორე დევიდ ბექჰემია. "გარდიანის" მიმომხილველი სიდ ლოუ დითირამბებს უძღვნის 23 წლის ვესლი სნეიდერს და ამტკიცებს, რომ ის 32 წლის კოლეგას, განთქმულ სფაისბოის არაფრით ჩამოუვარდება.

მიუხედავად პრესის დადებითი განწყობისა, "რეალის" გულშემატკივრთა უმრავლესობა სნეიდერისა და მისი კიდევ უფრო ახალგაზრდა თანამემამულის **როისტონ დრენტეს** მადრიდში გადაბარგებას აღფრთოვანებითა და დიდი იმედებით არ შეხვედრია. პესიმისტურ განწყობას ისიც აძლიერებდა, რომ სნეიდერი მადრიდელთა სასურველი ფეხბურთელების სიაში მხოლოდ მეოთხე იყო. მისი ტრანსფერი მხოლოდ მას შემდეგ გადაწყდა, რაც მადრიდელებმა კაკას, სესკ ფაბრეგასისა და ბალაკის გადაბირებას თავი ვერ მოაბეს. სნეიდერის შემთხვევაშიც საქმე ულტიმატუმამდე მივიდა. კალდერონმა "აიაქსს" განუცხადა, რომ ის ფეხბურთელში 27 მილიონს იხდიდა და მოსაფიქრებლად სულ რაღაც "3 საათი და არცერთი წამით მეტი" მისცა. ინჩასებმა ტრანსფერი დამამცირებელ ფიასკოდ მონათლეს. მოკლედ რომ ვთქვათ, ჰოლანდიელში ვერავინ ხედავდა ბექჰემის სრულყოფილ შემცვლელს.

გამონაკლისი ყველა წესიდან არსებობს. ამის მხოლოდ მას სწამდა, ვინც სნეიდერის საფეხბურთო ოსტატობას ხეირიანად იცნობდა. კითხვაზე, რამდენად შეესაბამებიან დრენტე და სნეიდერი მათში გადახდილ თანხებს, ჰოლანდიის ნაკრების მავანმა ფეხბურთელმა უპასუხა, რომ პირველი არარეალურად მაღალ ფასში გაიყიდა, მეორე კი სრულად გაამართლებდა ინვესტიციას: *"ვესლი ჰოლანდიის საუკეთესო ფეხბურთელია, იმდენად გამორჩეული, რომ მასთან ახლოსაც კი ვერავინ მივა."*

სარაგოსელი **ხუანფრანი**, რომელიც რამდენიმე წლის წინათ "აიაქსში" თამაშობდა, ამაზე შორს წავიდა და სნეიდერი, ზიდანის შემდეგ, "რეალის" საუკეთესო შენაძენად გამოაცხადა. ამის თქმა იმ დროს, როცა სამეფო კლუბმა 2002 და 2003 წლებში რონალდო და ბექჰემის მეგატრანსფერები გაჩარხა, ფეხბურთელისგან დიდ სითამამეს მოითხოვდა. როგორც ჩანს, ესპანელი სრულად აცნობიერებს მისი განცხადების არსს. მას მეგობრისა ბოლომდე სჯერა. ვნახოთ, ყველაფერს დრო გამოაჩენს.

ხუანფრანი შეიძლება მართალი იყოს. არ დავივიწყოთ, რომ "რეალმა" ბოლო ოთხ წელიწადში ნახევარმილიარდზე მეტი დახარჯა, მაგრამ შესაბამისი შედეგი არ მოუმკია. **სამუელი, გრავესენი, კასანო, ემერსონი** - აი, არასრული ჩამონათვალი ქარს გატანებული მილიონებისა. მშვენივრად ვიცით, რომ ამ ქვეყანაზე ყველა პროგნოზი არ მართლდება. თუკი ბექჰემის ამერიკული თავგადასავალი წინასწარ შეირაცხა მკვდრადშობილად, სნეიდერმა უმალ შეძლო მრავლის მნახველი პუბლიკის მოხიბვლა. მადრიდში ვესლის მშობელ დედას უკვე ყოველ კუთხეში ახსენებენ - "დე პუტა მადრე", მაგრამ ეს სიტყვები სულაც არაა გინება. ესპანურად ის "ძალიან მაგარს" ნიშნავს. დალახვროს ეშმაკმა, ეს ასეცაა, პირველ ტურში მან "ატლეტიკოს" გამარჯვების გოლი გაუტანა, "ვილიარეალთან" კი ფეიერიული მატჩი ჩაატარა. ის მართალ ღირს 27 მილიონი. "ელ მადრიგალს" ქარიშხალმა გადაუარაო, აკი დაწერა კიდეც მეორე დღეს ესპანურმა "ასმა". როისტონ დრენტე კი იმ დღეს მოედანზეც მცირედ არეული იყო და როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, მის მიღმაც: ჰოლანდიელმა თავი ერთი ღამით **მიხაელ შუმახერად** წარმოიდგინა, მადრიდის ქუჩებში, დილის 4:30-ზე, მანქანა სწრაფად გააქროლა და პოლიციის მანქანა სერიოზულად დააზიანა.

სხვა მხრივ, გალაქტიკოების კლუბში ამ ეტაპზე ყველაფერი იდეალურადაა - ძალიან მაღალი სისწრაფეები, აბსოლუტური ურთიერთშეთანხმება და მეტოქეთათვის შემაშფოთებლად ცოტა სათამაშო წუნი, აი, დღევანდელი "რეალის" სახე. ამ კოლექტივში კი საუკეთესოდ სწორედ სნეიდერი მოჩანს. *"ის გიგანტია"*, - აღმოხდა საშხაპიდან გამომავალ **რუუდ ვან ნისტელროის**. ემოციები შუსტერმაც ვერ მოთოკა: *"ის ძალიან მაგონებს ერთ ქერა გერმანელს, რომელიც ოდესღაც თამაშობდა "რეალში" და ძალიან კარგადაც გამოიყურებოდა"*. მისთვის ჩვეული სრულიად არათავმდაბლური განცხადებით ქება უძღვნა შეგირდს მასწავლებელმა.

არავინ იცის, რა იქნება ხვალ, მაგრამ ამ ჯერზე ვესლი დევიდზე ძლიერია. ჩახუჭუჭებული ჯარიმები? იხილეთ! უზუსტესი პასები ნახევარ მოედანზე? კი ბატონო! შავი სამუშაო? რამდენიც გინდათ. ამას დავამატოთ სისწრაფე, მოკლე პასი, დაყენებული დარტყმა, მოედნის ხედვა, სათამაშო ინტელექტი და, რა თქმა უნდა, გოლები - ის ხომ ამ ეტაპზე პრიმერის საუკეთესო ბომბარდირია ორ თამაშში გატანილი სამი გოლით.

სიდ ლოუ
გარდიანი

კალაშნიკოვამ იბრძოლა და გააღწია



ქართული ჩოგბურთის ამომავალი ვარსკვლავი **ოქსანა კალაშნიკოვა** ამერიკის ღია პირველობის ახალგაზრდული ტურნირის ნახევარფინალშია. ამისთვის მას ძალიან დიდი ბრძოლა მოუწია ზელანდიელ **საშა ჯოუნსთან**. "ფლეშინგ მედოუს" მე-11 კორტზე ოქსანამ ძალიან ცუდად დაიწყო, 1:1-ზე ზელანდიელმა ბრეიქი გაახერხა და სეტიც მას დარჩა - 6:1. დაიწყო მეორე სეტი და ჯოუნსმა ეგრევე მოიგო კალაშნიკოვას მოწოდება, თითქოს მარცხი მოახლოვდა, მაგრამ ჩვენებურმა შეუპოვარი ხასიათი კიდევ ერთხელ გამოავლინა ნიუ იორკში. მეორე სეტში 1:2-ზე მან დაიბრუნა მოწოდება და ზედიზედ ხუთი გეიმის მოგებით სეტებში ანგარიში გაათანაბრა - 1:1. მესამე სეტი საგანგაშოდ დაიწყო, ოქსანამ კიდევ ერთხელ დათმო თავისი მოწოდება, მაგრამ მან ისევ დაიბრუნა დაკარგული. 4:3-ზე ქართველმა ბრეიქი გაახერხა, შემდეგ კი ორი მატჩპოინტის განიავების და ბრეიქისგან ხსნის შემდეგ, ოქსანამ მესამე ცდაზე იმარჯვა - 1:6, 6:2, 6:3.

ნახევარფინალში ოქსანა კალაშნიკოვას მეტოქე სლოვაკი **კრისტინა კუცოვა** იქნება, რომელმაც სენსაციურად დაამარცხა ტურნირის პირველი ჩოგანი რუსი **ანასტასია პავლიუჩენკოვა** - 7:5, 6:1. 17 წლის კუცოვაც ძლიერი ჩოგბურთელია, ის ახლა ახალგაზრდებში მსოფლიოს 22-ე ჩოგანია (მარტში მე-13 იყო). კუცოვა და კალაშნიკოვა ერთმანეთს მარტში ეგვიპტეში ქალთა ტურნირში შეხვდნენ, მაშინ ქართველმა სამ სეტში, დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა - 6:7, 7:6, 6:4.

წუხელ ოქსანამ რუს **ქსენია ლიკინასთან** წყვილში ნახევარფინალური მატჩი მოუგო იაპონური დუეტს (**მასაკი დოი, კურუმი ნარა**) - 6:2, 6:4.

სერგო დათუკიშვილი

ამჯერად შვიდი იკმარა

ოთხშაბათს, ბუნდესლიგის მესამე ტურის მატჩში **სერგო დათუკიშვილის** "ლიუბეკმა" ჩემპიონატში პირველი ქულა მოიპოვა, ქართველის გუნდი შინ "ვილჰელმსჰავენერს" დაუზავდა - 28:28. სერგო ისლანდიელ ლეგიონერ **ტორარ ოლაფსონთან** ერთად საუკეთესო იყო, ორივემ 7-7 გოლი გაიტანა. გადამწყვეტი ოლაფსონის გოლი გამოდგა მატჩის დასრულებამდე სამი წამით ადრე, რომელმაც "ლიუბეკს" პირველი ქულა მოუტანა ჩემპიონატში. დათუკიშვილმა ერთხელ სცადა 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის შესრულება, მაგრამ უშედეგოდ, შვიდივე გოლი მან თამაშიდან გაიტანა. სამ მატჩში სერგოს ანგარიშზე 28 გოლია, ის ბუნდესლიგის ბომბარდირთა სიას უდგას სათავეში. მასპინძელთა მწვრთნელი **ვლადიმერ კლიაიჩი** მატჩის შემდეგ მსაჯობით უკმაყოფილო იყო, მისი აზრით მარტო დათუკიშვილის წინააღმდეგ უხეშობისთვის ხუთჯერ არ დანიშნეს აშკარა შვიდმეტრიანი.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ყავლაშვილი ბიგულისთვის

ბაქოს ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი დოლარი) ფინალში 20 წლის **თინათინ ყავლაშვილი** უკრაინელ **ლესია ცურენკოს** შეხვდება. ნახევარფინალში ყავლაშვილმა მე-7 ნომრად განთესილი **სოფიო ქვაცაბაია** დაამარცხა - 4:6, 6:2, 6:1. მეორე ნახევარფინალურ მატჩში 18 წლის უკრაინელმა ლესია ცურენკომ **თათია მიქაძეს** მოუგო - 6:1, 6:0. 19 წლის მიქაძე ორწელიწადნახევრიანი იძულებითი შესვენების შემდეგ თამაშობდა, ასე რომ, ნახევარფინალში გასვლა (თანაც საკვალიფიკაციო ტურნირიდან) მისთვის დიდი წარმატებაა. ყავლაშვილი ამჟამად მსოფლიოს 1032-ე ჩოგანია, არადა სამი წლის წინათ ის კლასიფიკაციაში 570-ე იყო. მას 2005 წლის მაისის შემდეგ არსად უთამაშია, ყავლაშვილი წლეულს მაისში თურქეთში დაბრუნდა, სადაც ანთალიაში ორ ტურნირში გააღწია ძირითად ბადეში, სტამბოლის 10-ათასიანში კი ნახევრფინალში დამარცხდა. ბაქოში თინათინმა ზედიზედ სამი თანამემამულე დაამარცხა: **ეკა გორგოძე, სოფიო შაფათავა** და სოფიო ქვაცაბაია. თინათინ ყავლაშვილს ერთი ტიტული 2004 წელს აქვს მოპოვებული, 17 წლის ასაკში მან სტამბოლის 10-ათასიანი ტურნირი მოიგო.

მაამუნთან გაარკვევს

19 წლის **ნოდარ ითონიშვილი** ეგვიპტის დედაქალაქ ქაიროში წარმატებით ასპარეზობს საერთაშორისო ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია. ითონიშვილი (1331) საკვალიფიკაციო ბრძოლების შემდეგ გავიდა ძირითად ბადეში, სადაც მან ჯერ ფრანგი **მაქსიმ ბონამი** დაამარცხა - 6:1, 6:4. მეორე წრეში იტალიელი **ვიტორიო რუბინო** - 6:1, 6:2. მეოთხედფინალში ქართველი ჩოგბურთელის მეტოქე მე-3 ნომრად განთესილი ეგვიპტელი **ქარიმ მაამუნია** (487). ითონიშვილი წყვილთა თანრიგის მეოთხედფინალშიცაა, სადაც ეგვიპტელ **იასერ ადელ საიდთან** თამაშობს დუეტში.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ჯავახიშვილის კიდევ ერთი მოგება

მსოფლიოს 2004 წლის ჩემპიონთან, ბულგარელ **ანტუანეტა სტეფანოვასთან** შავებით ნათამაშები ყაიმის შემდეგ **ლელა ჯავახიშვილმა** 2005 წლის ევროპის ჩემპიონი, უკრაინელი კატარინა ლაჰნო დაამარცხა. ქართველმა 4 ტურის შემდეგ 3.5 ქულა მოაგროვა, რაც შესანიშნავი შედეგია, თუმცა ჯერაც ვერ ყოფნის ერთპიროვნულად გასალიდერებლად, - ამდენივე პოლონელმა **მონიკა სოცკომაც** დააგროვა, თუმცა პოლონელს შედარებით სუსტი მეტოქეები ჰყავდა - მხოლოდ **პია კრამლინგის** გამორჩევა თუ შეიძლება, რომელიც ამ ტურნირზე ჯერ მთლად კარგად ვერ თამაშობს. მონიკამ მასთან ყაიმით დაასრულა შეხვედრა. მოგებები კი აუტსაიდერებთან ჩაიწერა - აჯობა აზერბიჯანელებს: **ნარგიზ უმუდოვასა** და **ილაჰა კადიმოვას**, ასევე ფრანგ **სოფი მიიეს**, რომელსაც ნახევარი ქულაც კი ვერ მოუპოვებია.

მეხუთე ტურში ლელა შავებით მონიკა სოცკოს ხვდება.

სატურნირო მდგომარეობა: 1-2. ლელა ჯავახიშვილი, მონიკა სოცკო-3.5; 3-4. **პია კრამლინგი, ანტუანეტა სტეფანოვა**-3; 5. **კატერინა ლაჰნო**-2.5; 6. **ვიქტორია ჩმილიტე**-2; 7. **ფირუზა ვილიხანლი**-1.5; 8-9. **ნარგიზ უმუდოვა, ილაჰა კადიმოვა**-0.5; 10. **სოფი მიიე**-0.

ზვიად შათირიშვილი

კადეტთა მსოფლიო ჩემპიონატი

რომან თავაძე ფინალშია

ბაქოში დასასრულს უახლოვდება კადეტ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატი. თანაგუნდელთა საწყის ეტაპზევე დამარცხების შემდეგ, შეჯიბრებას შერჩენილი ერთადერთი ქართველი **რომან თავაძე** (70 კგ) ჩემპიონობისკენ მიიწევს.

გუშინ, თავაძე ნახევარფინალში ხვდებოდა ყაზახ **ერლან სეიდალიევს**. ყაზახეთი, რუსეთსა და კუბასთან ერთად, სამოყვარულო კრივში გრანდია და ყველა ასაკში უძლიერესი გუნდები ჰყავს. ასე, რომ, თავაძეს ურთულესი მისია ჰქონდა შესასრულებელი. ქართველისა და ყაზახის ბრძოლა მართლაც უაღრესად დაძაბული აღმოჩნდა. ჩვენდა გასახარად, მინიმალური სხვაობით თავაძემ იმარჯვა (15:14) და დღეს ფინალში იჩხუბებს. მეორე ნახევარფინალში კუბელმა **პლატ რეიმ** იოლად დაჯაბნა ავსტრალიელი **დენ ზაკი**. შესაბამისად, რომან თავაძეს კუბელთან მოუწევს ოქროს მედლისთვის ბრძოლა.

კობა ხატისაშვილი

მსოფლიო ტური

ზედიზედ სამი მოგება

სტარი იაბლონკიში მიმდინარე ტურის მეორე დღეს **გეორ-გიამ** ზედიზედ სამი მატჩი მოიგო და მინიმუმ მეშვიდე ადგილს დაიკავებს. დღის პირველ შეხვედრაში ჩვენმა ფრენბურთელებმა 28-ე ნომრად განთესილი გერმანელები **ჰუტი** და **შნაიდერი** დაამარცხეს - 21:15, 21:11. შემდეგი შხვედრაში გეორ-გიას დაძაბული ბრძოლა გადახდა მე-14 ნომრად განთესილ ჰოლანდიელებთან **ბორესმასთან** და **რონესთან**. პირველი სეტი ჩვენმა ფრენბურთელებმა 21:18 მოიგეს. მეორე კი საკმაოდ გაუგრძელდათ და ჰოლანდიელების სასარგებლოდ დასრულდა 26:24. ბოლო სეტში კი ისევ გეორ-გიამ იყოჩაღა 15:13.

მესამე შეხვედრა მე-8 ნომრად განთესილ ავსტრიელებთან **გოშთან** და **ჰორსტთან** ჩვენმა ფრენბურთელებმა ორი სეტში მოიგეს - 21:17, 21:16.

მორიგ შეხვედრას გეორ-გია დღეს მე-4 ნომრად განთესილ გერმანელებთან **ბრინკთან** და **დიკერმანთან** გამართავს. გამარჯვების შემთხვევაში ჩვენი ფრენბურთელები მე-5 ადგილისთვის ითამაშებენ. იქ წარმატების შემთხვევაში კი ტურნირის ნახევარფინალში გააღწევენ.

ბესიკ ჯანგავაძე

ევროთასები

დღეს დაიწყებენ და ხვალ დაამთავრებენ

დღეს, საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის ორი საუკეთესო კლუბი ევროთასებში ჩაერთვება. ქვეყნის ჩემპიონი სტუ-"თელავი" და ვერცხლის პრიზიორი "თბილისი" იასპარეზებენ ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე.

რაკილა ქართული ხელბურთი ევროპულისაგან საკმაოდ შორს დგას, შესაბამისად, ჩვენი კლუბები სისტემატურად პირველსავე ეტაპზე ეთხოვებიან ევროთასებს. ასე რომ, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ წლეულსაც ვერ ავცდებით წყვილ-წყვილ ნაგებას - მითუმეტეს, რომ სტუ-"თელავიც" და "თბილისიც", ტრადიციულად, ორივე მატჩს სტუმრად ატარებენ, ამასთან, სეზონის წინ, წამყვანი ხელბურთელები გაუშვეს. ერთადერთი, იმით თუ დავრჩებით კმაყოფილები, თუკი დიდი ანგარიშებით არ წავაგებთ.

შეგახსენებთ, რომ სტუ-"თელავი" ხვდება ლიტვურ "ვილნიუსს", ხოლო "თბილისი" გაეჯიბრება სლოვაკურ "პოვაჟსკა ბისტრიცას'. დღეს და ხვალ გამართული ორ-ორი მატჩის ჯამში გამარჯვებულები მეორე ეტაპის საგზურს მიიღებენ.

დასასრულ, ევროთასებზე მონაწილე ქართველ ლეგიონერთა კლუბებზეც ვთქვათ. იმავე ევროპის ხელბურთის ფედერაციის თასზე, ოღონდ მეორე ეტაპიდან ჩაერთვებიან **რეზო ჭანტურიას** "მეტალურგი" (მაკედონია) და **ვლადიმერ რუსიას** "დინამო" (რუმინეთი).

დღეს და ხვალ კი, თასების მფლობელთა თასის პირველ ეტაპზე ითამაშებს ყველაზე "ქართული" კლუბი - ისლანდიის "ტიარნანი". **რატი მსხვილიძის, ტიტე კალანდაძისა** და **როლანდ ერაძის** კლუბი დაუპირისპირდება ლატვიის "ტენაქსს". ლატვიელების ორი მატჩის ჯამში დამარცხების შემთხვევაში, ისლანდიური კლუბი გავა მეორე წრეში, სადაც უკრაინული "ბროვარი" ელის.

კობა ხატისაშვილი

მილოცვა

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს ბატუტზე ხტომაში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს და მეორე პრიზიორს, მსოფლიოს თასის ორგზის მფლობელს, ევროპის ოთხგზის ჩემპიონს და ხუთგზის მეორე პრიზიორს, სსრკ კავშირის მრავალგზის ჩემპიონს და პრიზიორს, თასის მფლობელს, დობროვოლსკის ტურნირის ოთხგზის გამარჯვებულს, სიდნეის (2000 წ.) და ათენის (2004 წ.) ოლიმპიური თამაშების მონაწილეს, ვარჯიშის სირთულეში მსოფლიო რეკორდსმენს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს, ღირსების ორდენოსანს **რუსუდან ხოფერიას**.

პეტრე ჩევარდოვი. დაიბადა 08.09.1958, თბილისი. ველოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1979, გამოდევნებით გუნდური რბოლა), სსრკ ხუთგზის ჩემპიონი (1978, 79 - გამოდევნებით ინდივიდუალური, ჯგუფური, წყვილთა და ჯგუფური წყვილთა რბოლა), მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1977). საერთაშორისო კლასისსპორტის ოსტატი.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა

ინტერვიუ ლუკა კურტანიძესთან

რომ ვერ მოვეგო, ბოლო ჭურნირი იქნებოდა...



თანამედროვე ქართული სპორტის ყველაზე ტიტულოვანმა წარმომადგენელმა, თავისუფალ ჭიდაობაში ევროპის ხუთგზის და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, აგრეთვე ორგზის ოლიმპიურმა პრიზიორმა ლუკა კურტანიძემ პეკინის ოლიმპიადამდე სპორტიდან წასვლა რომ გადაიფიქრა, უკვე იცით. ახლახან, კურტანიძემ ტრიუმფით იჭიდავა ხასავიურტში, შამილ უმახანოვის მემორიალში, სადაც, როგორც მწვრთნელები ამბობენ, ახალგაზრდობა გაიხსენა და ჩემპიონობა არავის დაუთმო. ცხადია, მისი უმთავრესი მიზანი ოლიმპიადაზე მოხვედრაა - მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფალავანის კარიერას მხოლოდ ოლიმპიური ოქრო აკლია, თუმცა თავადაც ესმის, რაოდენ ძნელი მისაღწევია იქამდე. მაგრამ იგი მიჩვეულია ბრძოლას და არც ახლა აპირებს უკან დახევას, რაც ჩვენთან ინტერვიუშიც დაადასტურა.

- ლუკა, ამ ტურნირზე საკუთარ გამოსვლას როგორ შეაფასებთ, რამდენად ძლიერი მეტოქეები გყავდათ?

- ეს ძალიან ძლიერი ტურნირია, რომლის მსგავსიც მსოფლიოში სულ ხუთია. ამდენად გამორჩეული შეჯიბრებაა, რომელიც საჭიდაო სამყაროში ძალზე პოპულარულია.

იქიდან გამომდინარე, რომ ამ ტურნირზე ჩემპიონი გავხდი, ცხადია, ჩემი გამოსვლით კმაყოფილი ვარ. არადა, იქ წასვლამდე გავცივდი და ასე ავადმყოფმა ვიჭიდავე. მერე გზაშიც რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე მთელი 6 საათი გვაყურყუტეს, რამაც, ბუნებრივია, გუნდზე ცუდად იმოქმედა. მაინც კარგად ვიჭიდავეთ და ოთხი მედალი მოვიპოვეთ, ხოლო გუნდურში მეორეზე გავედით.

პირადად მე მეტოქეებისგან სერიოზული წინააღმდეგობა არ შემხვედრია. ავადმყოფობის მიუხედავად, ძალები სწორად გადავანაწილე და ქულაც არ დამითმია მათთვის.

- იყვნენ იქ ისეთი მოჭიდავეები, რომლებიც შეიძლება პირველხარისხოვან ტურნირებზე მომავალ მეტოქეებად მიიჩნიოთ?

- წონის უპირველესი ლიდერები არ ყოფილან, მაგრამ საკმაოდ ძლიერი და საინტერესო ხალხი დავინახე. უკრაინელებს ჰყავდათ ერთი ძალიან კარგი ახალგაზრდა სპორტსმენი, გამოდიოდა რუსეთის ნაკრების მესამე ნომერი არსლანბეკ ალიევი, რომელსაც ფინალში მოვუგე. სხვებიც იყვნენ კარგი სპორტსმენები, იოლად ვერავის მოუგებდი და უბრძოლველად არავინ არაფერს დაგითმობდა. ხასავიურტში ჩამოვიდა, მაგრამ არ იჭიდავა ბელარუსმა შეიხომ. როგორც თვითონ თქვა, მსოფლიო ჩემპიონატის წინ დატვირთვა არ უნდოდა და იქ, უბრალოდ, მომავალ მეტოქეებზე დასაკვირვებლად იყო. დაღესტანში რუსთა მეორე ნომერი, ევროპის წლევანდელი ჩემპიონი შირვანი მურადოვიც ჩამოვიდა, აიწონა კიდეც და ოქმებშიც შეიტანეს ორგანიზატორებმა, მაგრამ ჩემი ჩასვლის შემდეგ ჭიდაობა გადაუფიქრებია. ალბათ მომერიდა, როგორც სრატეგიულ მეტოქეს.

- ანუ, სპორტიდან წასვლა რომ გადაიფიქრეთ, არ ნანობთ და მიგაჩნიათ, რომ დიდი მიღწევებისთვის ბრძოლა ისევ შეგიძლიათ?

- უნდა ვთქვა, რომ წასვლის გადაწყვეტილება არ ყოფილა ნაჩქარევი. ამაზე მთელი წელიწადი ვფიქრობდი. ბოლო წლებში ოქროს მედალი ვერსად მოვიგე, რაც ჩემი დონის სპორტსმენისთვის დიდი სტრესია. სწორედ ამან დამაფიქრა წასვლაზე, საბოლოოდ კი მაშინ გადავწყვიტე, როცა ივნისში მახაჩყალაში, ასევე ძალიან ძლიერ ტურნირში ვერ გაგვიშვეს. მაშინ მართლა მტკიცედ გადავწყვიტე წასვლა და განვაცხადე კიდეც, მაგრამ სპორტული სამყარო გვერდში დამიდგა და საბოლოოდ დამაბრუნეს. ოლიმპიურმა კომიტეტმა მაშინვე გამოთქვა ჩემი დაბრუნების სურვილი, ოლიმპიადის ბოლომდე გვერდში დაგიდგებითო. სპორტის დეპარტამენტმაც მაგრძნობინა, რომ საჭირო ვიყავი, ხოლო ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ პირდაპირ მითხრა, მჭირდებიო. ამან მაფიქრებინა დარჩენა და დავრჩი კიდეც. აქვე დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გურამ საღარაძეს, რომელიც გვერდში დამიდგა და ჩემს პირად მწვრთნელობას დათანხმდა. ხასავიურტში წასვლამდე ამ ძნელ გზაზე ერთად ვიარეთ, ბევრი ვიშრომეთ და ჩვენი ტანდემი სწორედ იქ შედგა. მიხარია, რომ ასე წარმატებით.

- დაღესტანიდან დაბრუნებულმა პრესკონფერენციაზე აღნიშნეთ, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი მედალია, რადგან ბოლო წელიწადნახევარში ამ რანგის ტურნირი არ მოგიგიათ...

- პირველობა რომ არა, ეს ჩემთვის ბოლო ტურნირი იქნებოდა. ამ მედალმა იმედები გამიათკეცა - ვრჩები სპორტში და ვიბრძოლებ ოლიმპიადაზე წასასვლელად.

- როგორ ფიქრობთ, ამ ბრძოლის ძირითადი ნაწილი წლეულსვე იქნება თუ გაისად?

- წლეულს ამ ბრძოლის დასაწყისია, რომელიც გაისად უფრო გამძაფრდება.

- კონკურენცია რომ უჩვეულოდ გაიზარდა როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში, არც ეს გაფიქრებთ?

- კონკურენცია კი გაიზარდა, მაგრამ ახალი წესები ტაქტიკური ბრძოლის საშუალებას, ძალების გადანაწილების შანსს გაძლევს. ხასავიურტშიც ასე გავაკეთე. იქ ძირითადად ახალგაზრდებთან მიწევდა ჭიდაობა, მაგრამ ყველას იოლად მოვუგე. როგორც გითხარით, ქულაც არ დამიკარგავს. ეს წესები ჩემთვის ტაქტიკურად მისაღებია, რაც კიდევ უფრო მიძლიერებს ოლიმპადაზე მოსახვედრად ბრძოლის სურვილს.

ირაკლი თავაძე

ინტერვიუ ნუგზარ სხირელთან

რუსულ-ირანული შიში ბელგრადსა და პეკინში

ნუგზარ სხირელი

საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ამ ზაფხულს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე იასპარეზა. ჩვენმა ფალავნებმა ორივე ტურნირზე ხუთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ამ ორი მნიშვნელოვანი ტურნირის შესახებ ვესაუბრეთ ნაკრების მთავარ მწვრთნელს ნუგზარ სხირელს.

- ბატონი ნუგზარ, რამდენად ხართ კმაყოფილი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე თქვენი გუნდის ასპარეზობით?

- თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე IV ადგილზე გავიდა გუნდურ ჩათვლაში. დღევანდელ ვითარებაში IV ადგილი დამაკმაყოფილებელია. სხვათა შორის ჩინეთში სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური და ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი კახა გეწაძეც გვახლდნენ, საკუთარი თვალით იხილეს ყოველივე და შედეგით უკმაყოფილონი არც ისინი დარჩენილან. არაერთხელ მითქვამს, რომ ახალგაზრდული ნაკრებისთვის მთავარი მედალი კი არა, პირველი ნაკრებისთვის ღირსეული ცვლის მომზადებაა.

- რაც შეეხება ქართველ ფალავანთა ასპარეზობას, წონითი კატეგორიების მიხედვით...

- 50 კგ-ში ევროპის ჩემპიონატზე დავაყენეთ ლევან მეტრეველი, რომელმაც ლატვიისა და იზმირის ტურნირებზე ქვეყნის ჩემპიონ დავით ბერძნიშვილზე უკეთ წარმოაჩინა თავი, მაგრამ ბელგრადში მეტრეველი ვერ გამოვიდა კარგად და სასიხარულოა, რომ შეცვლამ გაამართლა. ჩინეთში ბერძნიშვილმა კარგად იჭიდავა და ბრინჯაოს მოპოვება შეძლო. საერთოდ კი ბოლო ხანს მან შეკრებებზე იმდენად მოუმატა, რომ 55 კგ-საც უწევდა კონკურენციას.

- ბერძნიშვილს ოქროს მოპოვება თუ შეეძლო?

- რეალურად უნდა ვიმსჯელოთ, იგი ჯერ არაა მზად ოქროსთვის საბრძოლველად. III ადგილი მისთვის ძალიან დიდი წარმატებაა.

- 55 კგ-ში ვერ გაამართლეს ვერც კვესაძემ და ვერც ედიშერაშვილმა...

- ევროპაზე კვესაძე ვაჭიდავეთ, რომელმაც იქ არადამკმაყოფილებლად იასპარეზა. გავითვალისწინეთ იზმირის ტურნირზე ედიშერაშვილის კარგი გამოსვლა და მსოფლიოზე უკვე ის დავაყენეთ, თუმცა, სამწუხაროდ, მანაც ისეთივე შეცდომები დაუშვა, რაც კვესაძემ ბელგრადში.

60 კილოში წონის ლიდერს, გასული წლის მსოფლიოს მეორე პრიზიორს გიორგი მაყიშვილს ორივე ტურნირზე ხელი მოეცარა. ნიკოლოზ რეხვიაშვილმა (66 კგ) ევროპაზე V ადგილი დაიკავა. მართალია აქ ალტერნატივა გვყავდა - აბრამიშვილი, მაგრამ მე არ მქონდა მორალური უფლება, ამ მოჭიდავისთვის მსოფლიოზე აღარ მიმეცა შანსი. სამწუხაროდ, ნიკოლოზმა ირანელ მოჭიდავესთან დათმო შეხვედრა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა ასაკობრივ ნაკრებს დასაძლევი აქვს რუსი და ირანელი მოჭიდავეების ერთგვარი კომპლექსი. მათთან თითქოს შებოჭილად გამოდიან ხალიჩაზე.

74 კგ გოჩა ლომთათიძემ, როგორც ევროპის, ისე მსოფლიოს ჩემპიონატებზე ბრინჯაოს მედლების მოპოვება შეძლო. ჩინეთში რომ იგი პირველივე წრეში რუს ფალავანს არ შეხვედროდა (მცირე უპირატესობით დამარცხდა) და სხვა ჯგუფში აღმოჩენილიყო, ვფიქრობ, ფინალში აუცილებლად იასპარეზებდა. სხვათა შორის, მესამე და მეორე პრიზიორთა შორის მე დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. ორივე მათგანი თითო ბრძოლას აგებს. ვერცხლის მედლის მფლობელი მარცხდება ტურნირის ბოლოს, ბრინჯაოს მედალოსანი კი დასაწყისში და ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, სწორედ ამ უკანასკნელის გარჯა უფრო აღსანიშნავია.

კარგად ასპარეზობდა ორივე შეჯიბრებაზე ბექა ჭელიძე (84 კგ), ვინაც ევროპაზე ტრავმის გამო ფაქტიურად ჩემპიონობის შანსი დაკარგა, მისი მომგები ლატვიელ არმანდას ზვირბულისი კი ჩემპიონი გახდა. ხოლო ბექამ ნატკენი ფეხით შემდეგ უკვე ბრინჯაოსთვის ბრძოლა მოიგო. ამ ორ ტურნირს შორის ერთ თვეზე ცოტა მეტი იყო შუალედი და ამიტომ მეშინოდა მას ტრავმა არ გართულებოდა. საბედნიეროდ ასე არ მოხდა და ჭელიძემ ჩინეთშიც ბრინჯაოს მედალიც აიღო. ამ მოჭიდავემ უკანასკნელ ხანს ძალიან მოუმატა. შარშან მსოფლოს ჩემპიონატზე იგი ბოლო წამებზე მარცხდებოდა. ამჯერად ეს ხარვეზიც გამოასწორა.

96 კგ-ში უფერული იყო გიორგი ჩიქოვანის გამოსვლა ბელგრადის ხალიჩაზე. მსოფლიოსთვის დავაყენეთ ზაალ მარტიაშვილი. იგი საკმაოდ იმედისმომცემი ფალავანია, კარგად გამოვიდა იზმირის ტურნირზეც, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯანმრთელობის მხრივ შეექმნა პრობლემები, არ ვიცი იქაური კლიმატი ვერ აიტანა, მოიწამლა თუ სხვა რამ იყო მიზეზი, ფაქტია ჩინეთში ეს ბიჭი ძალიან ცუდად იყო, ტურნირის დაწყების წინ ხუთი კილო ჰქონდა დაკლებული - 91 კგ იწონიდა. ბუნებრივია, ამან იმოქმედა მის გამოსვლაზე.

დიდი იმედი გვქონდა გიორგი ნიკურაძისა. სამწუხაროდ, მას როგორც ევროპის ისე მსოფლიოს ჩემპიონატებზე ხელი მოეცარა. არადა, ჩინეთში ბრინჯაოსთან იყო ახლოს, თუმცა ადგილობრივ მოჭიდავესთან ჟიავი დენგთან ტაქტიკური შეცდომის გამო მესამე პერიოდში დათმო უპირატესობა და დამარცხდა.

- ამ შედეგების მიხედვით სამომავლოდ ახალგაზრდული ნაკრები როგორ სახეს მიიღებს?

- მძიმე წონის პრობლემა ყველა ქვეყანაშია. სამწუხაროდ, ამ მხრივ მწვავე კრიზისია ჩვენთანაც. ნიკურაძე გაისად ასაკის გამო უკვე ვეღარ იასპარეზებს ახალგაზრდულ ნაკრებში და ამ გუნდს მისი სრულფასოვანი შემცვლელი არ დარჩა.

ერთგვარი ვაკუუმია 96 კგ-შიც. იმედი გვაქვს მარტიაშვილი დაკარგულს მალე აინაზღაურებს, იგი რუსეთში იყო საცხოვრებლად ოჯახთან ერთად გადასული და დაბრუნებულს წლები გაუცდა. დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს 84 და 74 კგ წონით კატეგორიებში. 66 კგ-ში, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება რეხვიაშვილის შემცვლელის მოძებნა. მაყიშვილი, წარუმატებლობის მიუხედავად, 60 კგ-ში ჯერჯერობით ყველაზე უკეთესია, მას, ძალუძს თავისი სიტყვა თქვას მომავალში და თუ ეს ვერ მოახერხა მხოლოდ თავის თავს თუ დაუბრალებს. ედიშერაშვილს მოუწევს იმ ხარვეზებზე მუშაობა, რაც ჩინეთში გამოიკვეთა. სიურპრიზი იყო ბერძნიშვილის მიღწევა, თუმცა იგი მზარდია და არაა გამორიცხული მომავალში ზედა წონაში აინაცვლოს.

ვასილ ბალახაძე
გორიდან

ᲞᲠᲝᲤ. Ა. ᲪᲘᲑᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ 2007 ᲬᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

1. ძირითადი ცნობები

1.1. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის, საქართველოს ოლიმპიური ფონდის და საქართველოს ოლიმპიური აკადემიის მიერ გამოცხადებული პროფ. ა. ციბაძის სახ. 2007 წლის კონკურსი ეძღვნება ოლიმპიური მოძრაობის, ოლიმპიური განათლებისა და სპორტის საკითხებში საუკეთესო სამეცნიერო, სამეცნიერო-მეთოდური, პუბლიცისტური ნაწარმოებების, აგრეთვე სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემის საკითხებს, რომლებიც გამოქვეყნებულია 2007 წელს.

1.2. კონკურსი ეწყობა 2007 წლის 1 დეკემბრამდე, ჟიური შედეგებს შეაჯამებს 15 დეკემბრისთვის.

1.3. საკონკურსო მასალები წარმოდგენილ უნდა იქნას ავტორის ან ავტორთა კოლექტივის მიერ, შესაბამისი ორგანიზაციის რეკომენდაციით, სეოკ-ში (თბილისის 0102, დ. აღმაშენებლის გამზ. 65) 1 დეკემბრამდე (საფოსტო გზავნილით ან პირადი ჩაბარებით).

2. მონაწილენი

2.1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს. საკონკურსო მასალა წარმოდგენილ უნად იქნას ერთ ეგზემპლარად, შესრულებული ქართულ ენაზე ბეჭდური წესით.

3. საკონკურსო ნომინაციები და ჩატარების პირობები

I ნომინაცია - "ოლიმპიზმი, ოლიმპიური მოძრაობა და ოლიმპიური იდეალები", ისტორია, აწმყო და მომავალი.

ერთი პრემია 600 ლარის ოდენობით

II ნომინაცია - "ოლიმპიური მოძრაობა და საქართველო" (წარსული, აწმყო და მომავალი).

ერთი პრემია 500 ლარის ოდენობით

III ნომინაცია - "ოლიმპიზმი და "სპორტი ყველასათვის" ურთიერთობის პერსპექტივები" (თანამედროვე მეთოდები და განათლების პერსპექტივები საქართველოში).

ერთი პრემია 400 ლარის ოდენობით

IV ნომინაცია - "სახელმძღვანელოები სპორტსმენთათვის სპორტის ოლიმპიურ სახეობებში".

სამი პრემია თითოეული 500 ლარის ოდენობით

V ნომინაცია - სამეცნიერო, სამეცნიერო მეთოდური და პუბლიცისტური ნაშრომები ოლიმპიური მოძრაობის განვითარებისთვის, სპორტის ცალკეული სახეობების სწავლებისა და დანერგვისთვის, სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფისთვის და სხვა საკითხებზე.

სამი პრემია თითოეული 300 ლარის ოდენობით

4. კონკურსში გამარჯვებულებს ფულად პრემიასთან ერთად გადაეცემათ სეოკ-ის სიგელები, ხოლო მონაწილეებს - სერტიფიკატები.

სეოკ-ი, საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲡ 2008 ᲬᲚᲘᲡ XXIX ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ-ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ ᲓᲔᲕᲘᲖᲘᲗ "ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲖᲛᲘ"

1. საერთო დებულება

1. ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა-კონკურსის დევიზით "სპორტი და ოლიმპიზმი" ტარდება საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მიერ და ეძღვნება პეკინში 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს.

2. გამოფენა-კონკურსი ეწყობა ორ ეტაპად: პირველი ეტაპი - რეგიონალური - ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დონეზე - 2008 წლის მარტამდე და მეორე ეტაპი - საერთაშორისო - 2008 წელს.

გამოფენა-კონკურსი ეწყობა ორ ნომინაციაში (გრაფიკა, ქანდაკება) და თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულთათვის დაწესებულია პრიზების სახით 30, 20 და 10 ათასი დოლარი.

3. საერთაშორისო გამოფენა-კონკურსში გამარჯვებული ნამუშევრები გამოიფინება ქ. პეკინში, შემდეგ კი განთავსდება საერთაშორისო ოლიმპიურ მუზეუმში (ქ. ლოზნა, შვეიცარია).

2. მიზნები და ამოცანები

1. გამოფენა-კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში ხელოვნებით დაინტერესებულ პირთა შორის სპორტისა და ოლიმპიზმის პროპაგანდას, მათ შემოქმედებაში 2008 წლის ოლიმპიური თამაშების ასახვას.

2. ქვეყანაში სპორტითა და ოლიმპიზმით დაინტერესებულ ხელოვანთა წარმოჩენა, მათი დაინტერესების სტიმულირება, ნამუშევართა პოპულარიზაცია და ჩაყენება საქართველოს სპორტის სამსახურში.

3. გრაფიკასა და ქანდაკებაში სპორტისა და ოლიმპიზმის კუთხით საუკეთესო ნამუშევრების შერჩევა და წარდგენა საერთაშორისო არენაზე.

3. ჩატარების დრო, ადგილი და მონაწილეები

1. საქართველოს რეგიონალური გამოფენა-კუნკურსი მოეწყობა 2008 წლის მარტამდე. რეგიონალური გამოფენა კონკურსი გაიხსნება 2008 წლის 1 თებერვალს.

2. გამოფენა-კონკურსში მონაწილეთა ასაკი შეუზღუდავია.

4. ჩატარების პირობები

1. რეგიონალური გამოფენა-კუნკურსი ეწყობა ორ ნომინაციაში - გრაფიკა და ქანდაკება.

2. თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს გამოფენა-კუნკურსზე წარმოადგინოს 2-2 ნამუშევარი.

3. მონაწილეობის პირობები:

- გრაფიკა - ნამუშევრის ზომა 1.5X1.0 მ (ჩარჩოთი).
- ქანდაკება - შესრულება მყარ მასალაში, ზომა 1.5X1X1 მ, იმის გათვალისწინებით, რომ ქანდაკება და მრავალჯერადი ყუთი შეიძლება შეიფუთოს გასაგზავნად და მისი წონა არ უნდა აღემატებოდეს 30 კგ-ს.

4. გამოფენა კუნკურსში მონაწილეობის მსურველი გამოფენაში მონაწილეობის სურვილს აცნობებს საორგანიზაციო კომიტეტს. გამოფენის კატალოგის საჭიროებისთვის ნამუშევრის, სურათს შესაბამისი განმარტებით, წარმოადგენს 2007 წლის 1 დეკემბრისთვის.

5. გამარჯვებულთა დაჯილდოება

1. ეროვნული გამოფენა-კონკურსის თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი პრიზები:

- პირველი პრემია - 1000 ლარი
- მეორე პრემია - 700 ლარი
- მესამე პრემია - 500 ლარი

გამარჯვებულებს გადაეცემათ შესაბამისი ხარისხის დიპლომები.

გამოფენა-კონკურსის ყველა მონაწილე მიიღებს შესაბამისი სერტიფიკატს.

2. რეგიონალურ-გამოფენა კონკურსში პირველ ადგილზა გამოვლენილი ნამუშევრები გაიგზავნება საერთაშორისო გამოფენა-კუონკურსზე, ხოლო მეორე და მესამე ადგილზე ნომინირებული ნამუშევრები გადადის სეოკ-ის საკუთრებაში და განთავსდება საქართველოს ოლიმპიურ მუზეუმში.

3. რეგიონალური გამოფენა-კუნკურსის შედეგებს შეაჯამებს სეოკ-ისა და საქართველოს მხატვართა კავშირის ერთობლივი ჟიური.

სეოკ-ი, საქართველოს მხატვართა კავშირი

ᲑᲔᲡᲘᲙ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘ

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ ᲑᲔᲡᲘᲙ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲗᲐᲜ

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲘᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲗ: ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ, ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ, ᲛᲝᲗᲐᲛᲐᲨᲔᲔᲑᲘ

ᲘᲡᲚᲐᲜᲓᲘᲐᲨᲘ, ᲕᲘᲜᲛᲔ ᲡᲘᲒᲣᲠᲓᲐᲠᲡᲝᲜᲡ ᲑᲝᲚᲝ ᲡᲐᲛᲥᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲩᲐᲔᲒᲓᲝ, ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲑᲔᲡᲘᲙ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲒᲕᲔᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲤᲚᲔᲘ ᲝᲤᲖᲔ, A ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲛᲡᲒᲐᲕᲡ ᲡᲐᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲝ ᲗᲔᲛᲔᲑᲖᲔ. �გᲣᲨᲘᲜ ᲙᲘ, ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘᲡ B ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲨᲘ ᲩᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲖᲔ ᲕᲘᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲗ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲖᲝᲒᲐᲓ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐᲡ ᲔᲮᲔᲑᲝᲓᲐ.

- ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲐ, რომ ფლეი ოფში გასვლა ვერ მოვახერხეთ, არადა, წლეულს მიზნის მიღწევის ისეთი შანსი გვქონდა, რომელიც მომავალში შეიძლება აღარც გაგვიჩნდეს. ისლანდიაში რომ მოგვეგო და ჯგუფიდან გაგველწია, ნახევარფინალში რუმინეთს დავუპირისპირდებოდით და ორი მატჩის ჯამში ამ გუნდის დამარცხება არ უნდა გაგვჭირვებოდა. ისლანდიური წაგების გამო პასუხისმგებლობა კალათბურთის ფედერაციამ, მწვრთნელმა და მოთამაშეებმა უნდა გადავინაწილოთ. ამასთან მატჩები ახლახან დასრულდა და ცხელი გონებით გუნდის გამოსვლის ზოგადი ანალიზი არც ისე იოლია. საინტერესოა ისიც, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ვერც ერთხელ ვერ მოხერხდა შეკრებაზე ყველა მოთამაშის დროულად ჩამოსვლა, რაც გუნდის შეკვრას ყოველთვის ხელს უშლის. თავის დროზე იგივე პრობლემები გვქონდა ვლადიმერ სტეფანიასთან დაკავშირებით, იგი ან არ ჩამოდიოდა, ან დიდი ძალისხმევა გვჭირდებოდა მის დასათანხმებლად. ვფიქრობ, იგი სამაგალითოდ რომ დასჯილიყო, მეორე ჯერზე იგივე არ მოხდებოდა.

- სტეფანიამ განაცხადა - კალათბურთის ფედერაციას დახმარება შევთავაზეო.

- მართალია, მან ივლისში დამირეკა, მაგრამ, როცა ფორმაში იყო, მაშინ არ ჩამოდიოდა, ახლა კარიერა დასრულებული აქვს და რა დახმარებაზეა საუბარი?

- ბევრი კითხულობს ნაკრებში ნიკა ცქიტიშვილმა რატომ არ ითამაშაო?

- შეკრების დაწყებამდე ცქიტომ მითხრა, 27 ივლისს ჩამოვალო. შევთანხმდით, რომ ბულგარეთის ტურნირს გამოტოვებდა და გუნდს მერე შეუერთდებოდა. მას გუნდთან ერთად სამგზავრო ბილეთი ავუღეთ და შენგენის ვიზის ასაღებად საქართველოში უნდა ჩამოსულიყო. როდესაც ოფიციალური მატჩების ჩატარების დრო მოვიდა, საფრანგეთის საელჩოში, მთავრობის დახმარებით, ნიკას საქმე მოვაგვარეთ - უნდა მისულიყო, თითის ანაბეჭდი დაეტოვებინა და იმავე დღეს ვიზას მისცემდნენ. მაგრამ მან 24 აგვისტოს დამირეკა (ისლანდიის ვიზის აღება ველარ ესწრებოდა) და მკითხა, გუნდს ვჭირდებიო? მეორე დღეს ავსტრიასთან თამაში იყო და ვურჩიე, მთავარ მწვრთნელს დალაპარაკებოდა.

კენ შილდსმა უთხრა - მოდი, ივარჯიშე, კომბინაციებს გაეცანი და ისლანდიასთან მატჩის მერე თუ არა, პლეიოფში ნამდვილად დაგვჭირდებიო. ნიკა ნაკრების ვარჯიშზე არ გამოჩენილა.

- ისლანდიაში წაგების მიზეზებზე რას იტყვით?

- მოწინააღმდეგე ჯეროვნად ვერ შეფასდა. წინა დღეს, ვარჯიშისას ჩვენმა მოთამაშეებმა რომ შეიტყვეს - მეტოქეს სამი წამყვანი კალათბურთელი აკლიაო, კარგად მახსოვს ჩვენების ცინიკური სახეები. სჯეროდათ, რომ ისლანდას აუცილებლად დაამარცხებდნენ. ვეცადეთ მეტოქისადმი მიდგომა შეგვეცვალა, მაგრამ...

- ზაზა ფაჩულიამ ისლანდიასთან მატჩის შემედგ პირობების არქონაზე ისაუბრა...

- საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ვერ მიიღებს იმ ბრალდებებს, რაზეც ზაზამ ილაპარაკა. თუკი რამე არ მოსწონდათ, თავის დროზე უნდა თქმულიყო და არა ისე, როგორც რეალურად მოხდა - პირობებსა და მწვრთნელზე ფინეთთან მატჩის შემდეგ გამოთქვა უკმაყოფილება. კალათბურთის ფედერაციამ ყველაფერი გააკეთა ნაკრების სათანადოდ მოსამზადებლად.

- კენ შილდსი მთავარ მწვრთნელად დარჩება თუ არა?

- დღეს ამ თემაზე საუბრისგან თავს შევიკავებ. მწვრთნელის მუშაობას კარგად გავაანალიზებთ და გადაწყვეტილებას ათიოდე დღეში მივიღებთ. ისე კი, შილდსს კონტრაქტის ვადა უკვე ამოეწურა.

- ტაირონ ელისი თუ აპირებს საქართველოში დაბრუნებას?

- მას ჩვენთან 4-წლიანი ხელშეკრულება ჰქონდა. ასე რომ, 2 წელი კიდევ დაგვეხმარება. არ შეიძლება მის პროფესიონალიზმს ხაზი არ გაესვას - ცოლი ერთი კვირის მოყვანილი ჰყავდა, როცა საქართველოს ნაკრებს შეუერთდა. ვარჯიშებზეც და თამაშებზეც ბოლომდე იხარჯებოდა. წასვლის წინ კი დაგვპირდა - გაისადაც თქვენს გვერდით მიგულეთ, აუცილებლად ვითამაშებო.

ᲕᲐᲟᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ თასის გათამაშებაში მეოთხე ეტაპი დაიწყო. აქ გუნდები ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. მოწინავეები "ლელო", "ლოკომოტივი" და "ყოჩები" A ჯგუფში გაარკვევენ ურთიერთობას. "დინამო", "უნივერსიტეტი" და "ხარები" კი დამამშვიდებელ ტურნირში იმ ერთ გუნდს გამოავლენენ, რომელიც A ჯგუფში პირველ ადგილზე გასულს დაუპირისპირდება ნახევარფინალში. შესაბამისად ამავე ჯგუფის მეორე და მესამე ადგილზე გასული გუნდები მეორე ნახევარფინალურ წყვილს შექმნიან.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ-ᲓᲘᲜᲐᲛᲝ 5:11

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ (15-9) კავთიძე, ტუჩაშვილი, ნუცუბიძე, ლუკა კილასონია (ფერაძე 46), ჯაში (ქორიძე 57), ნიკლაური, ნადარეიშვილი. (1-8) დონაძე, კაკოვინი, ალადაშვილი (მახარაშვილი 59), სურგულაძე, დარასელია, ლადო კილასონია, ტუჩაშვილი, გუნიავა (დათუნაშვილი) - ლ *(ნუცუბიძე)*

ᲓᲘᲜᲐᲛᲝ: (15-9) ოდიშარია, შოშიაშვილი, მაისურაძე, ღირსიაშვილი, აგიაშვილი, ავლოხაშვილი, რამიშვილი; (1-8) გაგნიძე, სვანიძე, მირცხულავა, ხორბალაძე, ცხდაძე, ხონელიძე, ხვიჩია, აზალაძე - ლ, *2ს (ავლოხაშვილი)*

ᲧᲝᲩᲔᲑᲘ-ᲚᲔᲚᲝ 16:13

ᲧᲝᲩᲔᲑᲘ: (15-9) დადაშიანი, გეგენავა, გრძელიშვილი (მჟავანაძე 67), ადანაია (ჯოხაძე 57), ელოშვილი, კიკნაძე, ხელაძე. (1-8) ასეიშვილი, კიკნაველიძე, შეყლაშვილი, ბელაშვილი, არჩუაშვილი, ბრეგვაძე, ახვლედიანი, კობახიძე - ლ *(ჯოხაძე): გ,ა,2ს (კიკნაძე)*

ᲚᲔᲚᲝ: (15-9) ყიასაშვილი, ზაალიშვილი, ქიზიყურაშვილი, მანჯავიძე, ცერცვაძე, ხმალაძე, თოფურია (ჭინჭარაული 52); (1-8) სანიკიძე, ცხოვრებაშვილი, ჩანკვეტაძე, იორდანიშვილი, ჯალაღონია (სხილაძე69), მძინარიშვილი, ქობელაშვილი, ახალაია - ლ *(ცხოვრებაშვილი), გ,2ს (ყიასაშვილი)*

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲗᲘᲙᲐᲜᲐᲫᲘᲡ 75 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ხალხმა მთამსვლელობა იმთავითვე სპორტის ეროვნულ სახეობად აღიარა. პასუხად, ჩვენმა მთამსვლელებმაც ბევრი სიხარული მოგვანიჭეს თანამემამულეებს, მაგრამ, სამწუხაროდ, სიხარულს ხშირად დიდი სევდაც ახლდა ხოლმე.

თუ გავიხსენებთ მთაში დაღუპულ მთამსვლელების სახელებს, ყველა მათგანში ამოვიცნობთ ქართველი კაცის გამორჩეულ თვისებებს - დაუდეგარ სულს, ვაჟკაცობას, კაცთმოყვარეობას, უზადო ნიჭს და თავმდაბლობას.

გურამ თიკანაძე ერთ-ერთი მათგანია. მან წარუშლელი კვალი დატოვა მთამსვლელებს შორის - თავისი ასვლებით, ფოტოხელოვანთა შორის - გაუხუნარი სურათებით, მეგობრებს შორის - უჩვეულო სითბოთი. მაგრამ სრულად გამოუცნობი და საიდუმლო დარჩა მისი განსაკუთრებული ხიბლი, რომლითაც ამ ოცდაათი წლის თბილისელმა ახალგაზრდა კაცმა მოაჯადოვა მთელი სვანეთი.

2007 წლის 12 სექტემბერს, სვანეთში სოფელ ლატალში აღინიშნება გურამ თიკანაძის დაბადებიდან 75 წლისთავი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲗᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ

სენსაცია არ მომხდარა!

პირველი გვერდიდან

და თუ ვინმეს ჰგონია, რომ გუშინ სენსაცია მოხდა, ცდება. ამას ადასტურებს თუნდაც ამ ორი გუნდის ბოლო ხუთი მატჩის ბალანსი - 4-1 არგენტინის სასარგებლოდ. არგენტინას წინა ორი მსოფლიო თასის საწყისი მატჩი შეჯიბრების მასპინელთან ჰქონდა წაგებული (1999 - უელსთან, 2003 - ავსტრალიასთან, ორივე მძიმე ბრძოლაში) და მესამე ცდიდან ნავსი გატეხა.

თამაშმა დაადასტურა, მსოფლიო რაგბიში სანახაობრივი კრიზისი ძალიან გაგრძელდა. თითქმის შეუძლებელია სტატიკური ვითარებიდან მეტოქის ხაზის გაჭრა. თანაბარი გუნდების თამაშში ელო, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მხოლოდ არეულ თამაშს, შეტევაში შეცდომას და კონტრშეტევას მოჰყვება ხოლმე. ამის დასტურად - გუშინდელი ერთადერთი ლელოც ტერნოვერის შემდეგ გავიდა და მატჩისშემდგომი ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, ხაზის სუფთად გაჭრა მთელ თამაშში სულ ორჯერ მოხერხდა. ეს ორივეჯერ ფრანგმა **ორელიან რუჟრიმ** მოახერხა, ისიც საკუთარი ნახევრიდან, სადაც შესატევი სივრცე გაცილებით მეტია.

პირველი ტაიმი ზურგქარში მოთამაშე არგენტინამ პირწმინდად მოიგო. საფრანგეთი არცერთხელ არ შესულა მეტოქის 22-ში, მაშინ როცა, არგენტინელები სამჯერ იყვნენ მასპინძელთა ელოს უშუალო სიახლოვეს, ხუთმეტრიან ზონაში.

სტუმართა პირველი სამი შეტევა დასრულდა ორი აცილებული არეკნით და **ფელიპე კონტეპომის** საჯარიმოთი მე-5 წუთზე, რომელიც ორ წუთში **დავიდ სკრელამ** გაქვითა - 3:3. სტუმრები თამაშობდნენ თავისთვის ჩვეულ, ათკაცა რაგბს, მორკინალთა მიძალებითა და ძალიან სახიფათო აბრაგანებით. 24-წუთამდე **ფელიპე კონტეპომიმ** და მისმა ტყუპისცალმა **მანუელმა** თითოჯერ სახიფათოდ შეუტიეს, ფელიპემ კიდევ ორი საჯარიმოს გატანა და ერთი არეკნის აცილება - 9:3, არგენტინის სასარგებლოდ.

ამ დროში ფრანგებმა ერთხელ სცადეს კონტრშეტევა, მაგრამ ბურთი მეტოქის ნახევარზე გაეჭედათ, ერთადერთი ელო კი 28-ე წუთზე ასე გავიდა: არგენტინელთა მაღალ აბრაგანი მოედნის ცენტრში **დამიენ ტრაიმ** დაიჭირა და **რემი მარტენს** მიაწოდა. კონტრშეტევის კარგი შანსი გაჩნდა, მაგრამ მარტენმა ბურთი პირდაპირ მეტოქეს ჩაუგდო ხელში - ორი პასის შემდეგ **იგნასიო კორლეტომ** 40-მეტრიანი გარბენი მოაწყო. ფრანგების მთელი ხაზი შესატევად იყო გადაწყობილი და კორლეტოს ვერავინ დაეწია. კონტეპომიმ გარდასახვა ძელს გაარტყა - 14:3.

31-ეზე სკრელამ 25 მეტრიდან სხვაობა შეამცირა, მაგრამ სამ წუთში კონტეპომიმ 52 მეტრიდან გაიტანა - 17:6. ცოტა ხანში **ქრისტოფ დომინისი** შეიბოჭა საკუთარი ლელოდან ათიოდ მეტრში, მაგრამ მსაჯმა აშკარად დაინდო და არ დააჯარიმა.

ბოლო წუთზე ფრანგებმა 25 მეტრში დერეფანი ააგდეს, კარიდან 22 მეტრში გამართულ რაკში კი მსაჯმა არგენტინელები ოფსაიდიდან თამაშისთვის დაჯარიმა. **სკრელამ** გაიტანა - 9:17 შესვენებაზე.

მეორე ტაიმში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ბოლო 5 წუთს თუ არ ჩავთვლით, არგენტინა თითქმის არ გადასულა მეტოქის ნახევარზე, რაც ჯამში ასეთ სტატისტიკაში აისახა - მთელი თამაშის განმავლობაში ფრანგებმა 60 ბოჭვა შეასრულეს (66 ცდიდან), ხოლო არგენტინელებმა - 110 (17 გაცუდებული)! და რა მიიღეს ამხელა უპირატესობიდან? - ერთი გატანილი საჯარიმო, მეტი არაფერი.

მეორე ტაიმი დაიწყო მასპინძლების 30-მეტრიანი და ლამის 5 წუთიანი მოლით! ბურთი არცერთხელ არ გასულა ხაზზე - მოლი-მოლი-მოლი კიდევ მოლით და ასე შემდეგ, გეგონებოდათ მოედანზე საქართველოს ნაკრები იყო! არადა, დღევანდელ რაგბში ყველა ასე თამაშობს, რადგან ნებისმიერი სტატიკური მდგომარეობიდან ბურთის გაშლა და დაცვაში ღრიჭოს პოვნა თითქმის შეუძლებელია. ამ ხუთწუთიანი მოლის დროს არბიტრს ფრანგების სასარგებლოდ დამახსოვრებული ჯარიმაც დააგიწყდა და ბოლოს მასპინძლები იქით დააჯარიმა.

არგენტინელები ორჯერ 35-40 მეტრიდან სცადეს არეკნი და დანარჩენ დროში საკუთარ ნახევარზე თავს იცავდნენ. 55-ე წუთზე სკრელამ ჯარიმა ააცილა 25 მეტრიდან! ხუთ წუთში ფრანგების დიდ მოლს კიდევ ერთი საჯარიმო მოჰყვა - 12:17 და მთელი 20 წუთია სათამაშო!

ფრანგთა თითქმის უწყვეტ შეტევებს არგენტინამ ერთი კონტრშეტევა გამოურია - **ერნანდესმა** ფეხით შეაგორმა ბურთი მეტოქის ნახევარზე და ფელიპე კონტეპომის კორლეტოს პასი რომ დაეჭირა, თამაში იქვე დასრულდებოდა. 71-ე წუთზე ბოლო ავისმომასწავებელი სიგნალი მასპინძლებისთვის - ჯარიმა უკვე **ფრედერიკ მიშალაკმა** ააცილა!

და ბოლო ხუთი წუთი არგენტინამ მოახერხა და თამაში მეტოქის ნახევარზე გადაიტანა. ამ დროში კონტეპომიმ მოასწრო არეკნის და საჯარიმოს აცილება და ერთხელ **სედრიკ ემონსმა** მოახერხა საკუთარი 22-დან სახიფათოდ გამოქცევა, თუმცა, მალევე შეიბოჭა.

და კულმინაცია მე-80 წუთზე! კონტეპომი შორიდან საჯარიმოს ურტყამს. სანამ დაარტყამდეს, დროც იწურება. ფრანგებს რჩებათ ერთადერთი შანსი - ფელიპემ ააცილოს და თან ბურთი მოედანში დარჩეს! ასეც ხდება და მასპინძლები სასონარკვეთილ შეტევას იწყებენ საკუთარი ლელოდან, პირველ უქმ ბურთამდე! სასწაული არ მოხდა - ფრანგებმა მხოლოდ საკუთარი 22-დან მოახერხეს გამოღწევა და ბურთი წინ გაუვარდათ - 17:12!

ძალიან მოკლედ ამ უქმეების თამაშებზე. ჩემპიონატის მთავარ ფავორიტს, ზელანდიის ნაკრებს პრაქტიკულად უძლიერესი შემადგენლობა გაჰყავდა იტალიის წინააღმდეგ, მაგრამ ტრავმებმა ხელი შეუშალა. შუამარბი **კონრად სმითი** ვარჯიშზე დაშავდა და მის ადგილზე **მალილი მულიაინა** გადმოიწევა, ფულბეკად კი სათადარიგო **ლიონ მაკდონალდი** დადგება. სკამზე **რიბენ სორნს ქრის მასოი** შეცვლის.

ისევ დაიმტვრა წინა მსოფლიო თასის გმირი **ჯონი ვილკინსონი**, რომელსაც ბოლო 4 წლის განმავლობაში თითქმის არ უთამაშია. ჯონი სულ ცოტა ერთ, აშშ-სთან თამაშს გამოტოვებს.

ჩვენს ჯგუფში ხვალ ირლანდია ძირითადი თხუთმეტეულით ეთამაშება ნამიბიას, რაც თითქმის გარანტირებულად ნიშნავს იმას, რომ 15 სექტემბერს **ედი ოსალივანი** მეორე გუნდს გამოგვიყვანს. სხვა გზა არ ექნება, რადგან ექვს დღეში ირლანდიას სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ექნება ფრანგებთან. ჯგუფის ბოლო ბატალია, ირლანდია-არგენტინა 30 სექტემბერსაა.

და ბოლოს, სამოას ნაკრებში ხვალ მარქაფში იჯდება ვეტერანი **ბრაიან ლიმა** - ის პირველი კაცი ხდება, ვინც მეხუთე მსოფლიო თასზე ითამაშებს!

ნიკოლოზ აბაშიძე

ბოჟოლეში რთველია

საქართველოს ნაკრებს გუშინ ქალაქ ლიონის მუნიციპალიტეტში მოუწყვეს მიღება. ადგილობრივ ჩინოსნებთან ერთად თბილი სიტყვები არც იქ დამსწრე IRB-ის მაღალჩინოსნებმა დაიშურეს. გუშინ დავუკავშირდით მსოფლიო თასზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს, რაგბის კავშირის ვიცე პრეზიდენტს გია ნიჟარაძეს.

- გუნდში საბრძოლო განწყობაა. საფრანგეთში ახლახან ჩამოვედი და სრულიად გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ გაცილებით უკეთესი მდგომარეობა დამხვდა, ვიდრე ველოდი.

ნაკრები ისევ ინტენსიურად განაგრძობს ვარჯიშს. დილით ძირითადად ფიზიკურ დატვირთვას იღებენ. საღამოს კი ბურთით, სისწრაფეებზე ვარჯიშობენ. ყველაფერი ეს ფიზმომზადების მწვრთნელის, **ნიკოლა ფულკიეს** მოთხოვნების შესაბამისად ხდება. ხვალიდან გუნდს კონსულტანტი **ანრი ბრონკანიც** შემოუერთდება.

მსოფლიო სარაგბო ზეიმი უკვე დაიწყო, მაგრამ ჩვენთან, ბოჟოლეში მსგავსი არაფერი იგრძნობა. ნაკრები საუკეთესო პირობებშია. შესანიშნავია შატო, რომელსაც ოთხივე მხრიდან ვაზის ზვრები არტყავს. სხვათა შორის, აქ რთველი რატომღაც ნაადრევად დაეწყოთ. ბიჭებს საფიქრალი მხოლოდ ვარჯიში აქვთ, საამისოდ კი აქ იდეალური პირობებია. ვნახოთ, პირველი თამაში 11 სექტემბერს გვაქვს არგენტინასთან და იქ ბევრი რამ გამოჩნდება.

ბესიკ ჯანგავაძე

8 სექტემბერი, 15:45, C ჯგუფი

ზელანდია-იტალია

მარსელი. ველოდრომი

ზელ: 15. ლიონ მაკდონალდი 14. დაგ ჰაულიტი 13. მალილი მულიაინა 12. ლუკ მაკალისტერი 11. სიტივენი სივივატუ 10. დანიელ კარტერი 9. ბაირონ კელეჰერი; 1. ტონი ვუდკოკი 2. კევენ მეალამუ 3. კარლ ჰეიმენი 4. ქრის ჯეკი 5. ალი ვილიამსი 6. ჯერი კოლინზი 7. რიჩი მაკქოუ (კაპ) 8. როდნი სოოიალო / 16. ანტონ ოლივერი 17. ნეემია ტიალატა 18. ქრის მასოი 19. სიონე ლაუაკი; 20. ბრენდონ ლენარდი 21. აარონ მეიჯერი 22. ისაია ტოეავა

იტა: 15. დავიდ ბორტოლუსი 14. კეინ რობერტსონი 13. ანდრეა მაზი 12. მირკო ბერგამასკო 11. მარკო სტანოევიჩი 10. როლანდ დემარინი 9. ალესანდრო ტრონკონი; 1. სალვატორე პერუჯინი 2. ფაბიო ონგარო 3. მარტინ კასტროჯოვანი 4. სანტიაგო დელაპე 5. მარკო ბორტოლამი (კაპ) 6. ალესანდრო ძანი 7. მაურო ბერგამასკო 8. სერჯო პარისე / 16. კარლო ფესტუჩა 17. ანდრეა ლოჩიჩერო 18. ვალერიო ბერნაბო 19. მანოა ვოსავაი; 20. პოლ გრიფენი 21. გონსალო კანალე 22. ეძიო გალონი

8 სექტემბერი, 17:45, B ჯგუფი

აუსტრალია-იაპონია

ლიონი. სტად ჟერლანი

აუს: 15. ქრის ლეითენი 14. ადამ ეშლიკუპერი 13. სტირლინგ მორტლოკი (კაპ) 12. მეტ გიტო 11. ლოტე ტუკირი 10. სტივენ ლარქემი 9. ჯორჯ გრეგანი; 1. მეტ დანინგი 2. სტივენ მური 3. აალ ბაქსტერი 4. ნეითან შარპი 5. დანიელ ვიკერმანნი 6. როკი ელსომი 7. ჯორჯ სმითი (კაპ) 8. ვაიკლიფ პალუ / 16. ადამ ფრეიერი 17. გაი შეპერდსონი 18. ჰიუ მაკმენიმენი 19. სტივენ ჰოილზი; 20. ბერიკ ბარნსი 21. დრიუ მიჩელი 22. მარკ ჯერარდი

იაპ: 15. ტაცუია კუსუმი 14. ტომოკი კიტაგავა 13. კოძი ტაირა 12. ნათანიელა ოტო 11. ჰირტოკი ონოზავა 10. კოსეი ონო 9. იუკი იატომი; 1. მასაჰიტო იამამოტო 2. ტაკუ ინოკუჩი 3. რიო იამამურა 4. ტაკანორი კუმაგაე 5. ლუტანგი სამურაი ვატუვეი 6. იასუნორი ვატანაბე 7. ტაკამიში სასაკი (კაპ) 8. ჰაჯიმე კისო / 16. იუძი მაცუბარა 17. ტომოკაზუ სომა 18. ჰიტოში ონო 19. ჰარე მაკირი; 20. ტომოკი იოშიდა 21. ბრის რობინსი 22. კოსუკე ენდო

8 სექტემბერი, 20:00, A ჯგუფი

ინგლისი-აშშ

ლასნი. ფელიძს ბოლაერი

ინგ: 15. მარკ კუეტო 14. ჯოშ ლუსი 13. ჯეიმი ნუნი 12. მაიკ ქეთი 11. ჯეისონ რობინსონი 10. ოლი ბარკლი 9. შოუნ პერი; 1. ენდი შერიდანი 2. მარკ რიგანი 3. ფილ ვიკერი (კაპ) 4. საიმონ შოუ 5. ბენ ქეი 6. ჯო ვორსლი 7. ტომ რისი 8. ლოურენს დალალიო / 16. ჯორჯ ჩატერი 17. მეტ სტივენსი 18. მარტინ ქორი 19. ლუის მუდი; 20. პიტერ რიჩარდსი 21. ენდი ფარელი 22. მეთიუ ტეიტი

აშშ: 15. ქრის ვაილსი 14. სალესი სიკა 13. პოლ ემერიკი 12. ვაჰაფოლაუ ესიკია 11. ტაკუძვა ნგვენია 10. მაიკ ჰერკასი (კაპ) 9. ჩად ერსკინი; 1. მაიკ მაკდონალდი 2. ოუენ ლენეი 3. ქრის ოსენტოვსკი 4. ლიუკ გროსი 5. მაიკ მანგანი 6. ლუის სტენფილი 7. ტოდ ქლევერი 8. ჰენრი ბლუმფილდი / 16. ბლეიქ ბარდეტი 17. მატეკიტონგა მოეაკოილა 18. ალეკ პარკერი 19. ინაკი ბასაური; 20. მაიკ პეტრი 21. ვალენესე მალიფა 22. ალბერტ ტუიპოლოტუ

9 სექტემბერი, 16:00, B ჯგუფი

უელსი-კანადა

ნანტი. სტად დე ლა ბოუჟარი

უელ: 15. კევინ მორგანი 14. მარკ ჯოუნზი 13. ტომ შენკლინი 12. სონი პარკერი 11. შეინ ვილიამსი 10. ჯეიმზ ჰუკი 9. დვეინ პილი (კაპ); 1. გეზინ ჯენკინსი 2. მეთიუ რისი 3. ადამ ჯოუნზი 4. იან გაფი 5. ალუნ-ვაინ ჯოუნზი 6. ჯონათან თომასი 7. მარტინ ვილიამსი 8. ალიქს პოპემი / 16. თომას რისთომასი 17. დანკან ჯოუნზი 18. მაიკლ ოუენი 19. კოლინ ჩარვისი; 20. მაიკლ ფილიპსი 21. სტივენ ჯოუნზი 22. გარეს თომასი

კან: 15. მაიკ პაიკი 14. DTH ფანდერმერვე 13. კრეიგ კალპენი 12. დეივ სპაისერი 11. ჯეიმზ პრიჩარდი 10. ანდერ მონრო 9. მორგან ვილიამსი (კაპ); 1. როდ სნოუ 2. პეტ რიორდანი 3. ჯონ თიელი 4. ლიუკ ტეიტი 5. მაიკ ჯეიმზი 6. ჯეიმი ქედმორი 7. დეივ ბიდლი 8. შონ-მაიკლ სტივენი / 16. აარონ კარპენტერი 17. დენ ფლეჩი 18. მაიკ ფლეჩი 19. მაიკ ბურაკი; 20. კოლინ იუქსი 21. ედ ფერჰერსტი 22. რაიან სმითი

9 სექტემბერი, 18:00, A ჯგუფი

სამხ. აფრიკა-სამოა

პარიზი. პარკ დე პრენსი

აფრ: 15. პერსი მონტგომერი 14. ჯეიპი პიტერსენი 13. ჟაკ ფური 12. ჟან დევილიე 11. ბრაიან ჰაბანა 10. ბუჩ ჯეიმზი 9. ფური დიუპრე; 1. ოზ დიურანი 2. ჯონ სმითი (კაპ) 3. ცეხა ფანდერლინდე 4. ბაკის ბოთა 5. ვიქტორ მეტფილდი 6. სხალკ ბურხერი 7. ჟუან სმითი 8. დანი როსუ / 16. ბისმარკ დიუპლესი 17. ბრენდონ ბოთა 18. იოჰანეს მულერი 19. ვიკუს ფანჰირდენი ; 20. რიკი იანუარი 21. ანდრე პრეტორიუსი 22. ფრანსუა შტაინი

სამ: 15. დევიდ ლემი 14. ლომე ფაატაუ 13. გევინ ვილიამსი 12. ჯერი მეაფოუ 11. ალესანა ტუილაგი 10. ელიოტა ფუიმაონსაპოუ 9. ჯუნიორ პოლუუ; 1. ჯასტინ ვაა 2. მაპონრი შვალგერი 3. სენსუს ჯონსტონი 4. ჯო ტეკარი 5. კეინ თომპსონი 6. დანიელ ლეო 7. სემო სიტიტი (კაპ) 8. ჰენრი ტუილაგი / 16. ტანიელუ ფუკა 17. კას ლეალამანუა 18. ალფი ვაელუაგა 19. ჯასტინ პერდი; 20. ელვის სევეალი 21. ლოკი კრიჩტონი 22. ბრაიან ლიმა

9 სექტემბერი, 20:00, C ჯგუფი

შოტლანდია-პორტუგალია

სენტ ეტიენი. სტად ჟოფრე გიუარი

შოტ: 15. რორი ლემონი 14. შონ ლემონი 13. მარკუს დირონლი 12. რობ დიუი 11. საიმონ ვებსტერი 10. დან პარქსი 9. მაიკ ბლერი; 1. ალან ჯეკობსენი 2. სკოტ ლოუსონი 3. იუან მარი 4. ნეითან ჰაინსი 5. სკოტ მარი 6. ჯაისონ ვაინი (კაპ) 7. ალისტერ ჰოგი 8. სიიმონ ტეილორი / 16. როს ფორდი 17. გევინ ქერი 18. სკოტ მაკლიოდი 19. კელი ბრაუნი; 20. რორი ლოუსონი 21. ქრის პატერსონი 22. ჰუგო საუსველი

პრტ: 15. ჰედრო ლეალი 14. დავიდ მატეუში 13. ფედერიკო სოუსა 12. დიეგო მატეუში 11. პედრო კარვალიუ 10. დუარტე პინტუ 9. ჟოზე პინტუ; 1. რუი კორდეირუ 2. ჟოაკიმ ფერეირა 3. რუბენ შპაჩუკი 4. გონსალო უვა 5. დავიდ პენალვა 6. ჟუან სევერინო 7. ჟოაო უვა 8. ვასკუ უვა (კაპ) / 16. ხუან მანუელ მურე 17. ჟოაო კორეია 18. პაულო მურინელო 19. დიეგო კოუტინიო; 20. ლუის პისარა 21. პედრო კაბრალი 22. მიგელ პორტელა

9 სექტემბერი, 22:00, D ჯგუფი

ირლანდია-ნამიბია

ბორდო. სტად შაბან-დელმა

ირლ: 15. გირვან დემპსი 14. ენდრიუ ორმბლი 13. ბრაიან ოდრისკოლი (კაპ) 12. გორდონ დარსი 11. დენის პიკი 10. რონან ოგარა 9. პიტერ სტრინგერი; 1. მარკუს ჰორანი 2. რორი ბესტი 3. ჯონ ჰეიესი 4. დონჩა ოკალაჰანი 5. პოლ ოკონელი 6. საიმონ ისტერბი 7. დვიდ ვოლისი 8. დენის ლიმი / 16. ჯერი ფლენერი 17. საიმონ ბესტი 18. მალკოლმ ოკელი 19. ნილ ბესტი; 20. აიზეკ ბოსი 21. ჰედი ვოლისი 22. ჯორდან მერფი

ნამ: 15. ტერტიუს ლოსპერი 14. რაიან ვიტბუი 13. ბრედლი ლანხენპოვენი 12. პიტ ფანზილი 11. ჰეინი ბოკი 10. ემილ ვესელსი 9. იუჯინ იანჩისი; 1. კეეს ლენსინხი (კაპ) 2. ჰუგო ჰორნი 3. იანე დიუტუა 4. ვაკა კაზომბიაზე 5. ნიკო ესტერჰოიზე (კაპ) 6. ჟაკ ნიუვენპოისი 7. ჰეინო სენეკალი 8. ჟაკ ბურხერი / 16. იოჰანეს მაიერი 17. იონი რედელიხჰოისი 18. მაიკლ მაკკენზი 19. თინუს დიუპლესი; 20. იური ფანტონდერი 21. ლიუ-ვეინ ბოუთსი 22. მელრიკ აფრიკა



ნოვაკ ჯოკოვიჩი

აშშ-ის ღია პირველობა

პირველად ნახევარფინალში

სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და ესპანელი **დავიდ ფერერი** პირველად ითამაშებენ აშშ-ის ღიას ნახევარფინალში. ფინალის საგზურისთვის ბრძოლის უფლების მოსაპოვებლად, მათ შესაბამისად, ესპანელი **კარლოს მოია** და არგენტინელი **ხუან იგნასიო ჩელა** დაამარცხეს.

მესამე ნომრად განთესილი სერბი ჩოგბურთელისთვის, მიმდინარე სეზონში, ეს დიდი სლემის მესამე ტურნირის ნახევარფინალია. ფერერმა კი, ვინც მეოთხე წრეში გზიდან ჩამოიცილა მსოფლიოს მეორე ჩოგანი, თანამემამულე და მეგობარი **რაფაელ ნადალი**, პირველად გააღწია სასლემო ტურნირის ნახევარფინალში.

ფინალის საგზურისთვის ეს ორი ჩოგბურთელი ერთმანეთს დაუპირისპირდება, მეორე ნახევარფინალში კი მსოფლიოს პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯრ ფედერერი** რუს **ნიკოლაი დავიდენკოს** შეხვდება, ვისაც აქამდე სეტიც არ წაუგია.

ჯოკოვიჩი 11 წლის იყო, როცა მოიამდი სლემის ტურნირის (საფრანგეთის ღია) ჩემპიონის ტიტული (კარიერაში ერთადერთი სასლემო ტიტული) მოიპოვა. მაგრამ მათ გუშინდელ შეხვედრაში ასაკობრივი სხვაობა თითქმის არ იგრძნობოდა. სერბმა პირველი ხელი ერთადერთი ბრეიკის უპირატესობით მოიგო. მეორეში კი საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა. აქ თავიდან მოია დაწინაურდა, ვისაც სეტ პოინტიც კი ჰქონდა, მაგრამ ჯოკოვიჩმა ეს ქულაც მოიგერია და ტაიბრეიკიც 9:7 მოიგო. მესამე სეტში კი მისი უპირატესობა აშკარა იყო.

"კარლოსი რომ ძლიერი ჩოგბურთელი და მებრძოლია, ადრეც ვიცოდი. სხვა თუ არაფერი, ის მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანია. რაც მთავარია, უზარმაზარი გამოცდილება აქვს და დიდ კორტებზეც არაერთხელ უთამაშია. ის ამ ტურნირზეც შესანიშნავად გამოდიოდა. საბედნიეროდ, მეც ჩემი საუკეთესო თამაში ვაჩვენე, მეორე სეტში იღბალიც მეტად მიმართლებდა", - განაცხადა ჯოკოვიჩმა, ვინც მესამე სეტის პირველივე გეიმში შეძლო ბრეიკის აღება და ამით პრაქტიკულად გატეხა კიდეც მეტოქე.

"ეს თამაში ფსიქოლოგიურ ბრძოლაში წავაგე. ტაიბრეიკი რომ არ წამეგო, სულ სხვა მესამე სეტი იქნებოდა. მაგრამ, როცა ორი სეტით აგებ და შენს წინაშე მყოფი ჩოგბურთელი შესანიშნავად თამაშობს, ფსიქოლოგიურად ტყდები. შესაძლოა, მესამე სეტში მან ოდნავ უკეთ ითამაშა, მე კი უარესად. სულ ეს არის", - განაცხადა მოიამ, ვინც მესამე სეტის მეშვიდე გეიმში, მატჩ პოინტზე დაშვებული ორმაგი შეცდომის შემდეგ დათმო შეხვედრა.

რაც შეეხება ფერერს, ის სულ მეოთხე ესპანელი ჩოგბურთელია (ღიას ერაში), ვინც აშშ-ის ღიას ნახევარფინალს მიაღწია. ჩელასთან გამარჯვების შემდეგ, მან ტურნირზე ნათამაშებ თავის ბოლო სამ მატჩს კარიერაში საუკეთესო უწოდა. *"ტურნირამდე ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, ჰარდის სასლემო ტურნირზე ნახევარფინალში გავედიო, არ დავიჯერებდი. ახლა კი ეს რეალობაა. ვიცი, რომ თიხაზე ბევრი რამ შემიძლია, მაგრამ ჰარდზე? ახლაც არ მჯერა, რაც მოხდა. ამ ტურნირს მგონი სიზმარში ვუყურებ"*, - განაცხადა ფერერმა.

იგივეს თქმა შეუძლია ჩელასაც, ვინც ფერერივით პირველად ითამაშა აშშ-ის ღიას მეოთხედფინალში. წაგების მიუხედავად, ისიც კმაყოფილი იყო.

გუშინ, შერეული წყვილების ფინალში, ბელარუსი ჩოგბურთელების, **ვიქტორია აზარენკასა** და **მაქს მირნის** დუეტმა ორ სეტში დაამარცხა ამერიკელი **მეგან შონესის** და ისრაელის **ლეანდერ პაესის** წყვილი და ერთად პირველად მოიპოვეს დიდი სლემის ტურნირის ჩემპიონის წოდება.

აღსანიშნავია, რომ მეორე სეტში შონესის და პაესს ხუთი სეტ პოინტი ჰქონდათ, მაგრამ ვერცერთის გამოყენება ვერ შეძლეს. 18 წლის აზარენკასთვის ეს დიდი სლემის პირველი ტიტულია, მირნი კი შერეულებში მესამე, სულ კი წყვილებში მეშვიდე ტიტულს დაეუფლა. სხვათა შორის, აზარენკამ ერთეულებშიც კარგად ითამაშა - მესამე წრეში მან მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი** დაამარცხა.

ცნობისათვის, ბელარუსულმა წყვილმა ავსტრალიის ღიას ფინალშიც ითამაშა, მაგრამ მაშინ კორტი წაგებულმა დატოვა. მაშინვე, მირნიმ განაცხადა, რომ აზარენკას შესანიშნავი მომავალი ელის. ანალოგიური პროგნოზი მან 1998 წელსაც გააკეთა მას შემდეგ, რაც ამერიკელ **სერენა უილიამსთან** ერთად მოიგო შერეულთა სასლემო ტიტული. ვიმედოვნებ, ვიქტორიასაც არანაკლებ დიდი მომავალი ექნებაო, - ამბობს მირნი.

ნიუ იორკი (აშშ). პარდი

საპრიზო ფონდი: 19 653 000 დოლარი

ქალები

1/4 ფინალი

ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3)-კარლოს მოია (ესპ, 17) 6:4, 7:6(7), 6:1

დავიდ ფერერი (ესპ, 15)-ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 20) 6:2, 6:3, 7:5

შერეული წყვილები

ფინალი

ვიქტორია აზარენკა/მაქს მირნი (ბელ)-მეგან შონესი/ლეანდერ პაესი (აშშ, ისრ) 6:4, 7:6(6)

ველოსპორტი

ვუელტა

მე-7 ეტაპი. კალაორადან სარაგოსამდე (176.3 კმ)

1. ერიკ ცაბელი (გერმანია, მილრამი) 3:52.05 (45.578 კმ/სთ); 2. ალან დევისი (ავსტრალია, დისქავერი ჩენელი) იგივე დროში; 3. პაოლო ბეტინი (იტალია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი; 4. კოლდო ფერნადესი (ესპანეთი, ეუსკალტელ-ეუსკადი); 5. ანდრე კორფი)გერმანია, ტე-მობილი); 6. ფილიპ ძილბერი (ბელგია, ფრანსის დე ჟუ); 7. ანდრეა ტონტი (იტალია, ქვიკსტეპ-ინერგეტიკი); 8. სილვენ შავანელი (საფრანგეთი, კოფიდისი); 9. ლუის ლეონ სანჩესი (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი); 10. ალექსანდრე უსოვი (ბელარუსი, AG2r პრევოიანსი) იყველა იგივე დროში...

კლასიფიკაცია 7 ეტაპის შემდეგ

1. ვლადიმირ ეფიმკინი (რუსეთი, კაისე დ'ეპარნი) 28:26.56; 2. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 1.06; 3. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 1.06; 4. მაქსიმ მონფორტი (ბელგია, კოფიდისი) 1.06; 5. სტიინ დეფოლდერი (ბელგია, დისქავერი ჩენელი) 1.06; 6. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, სონიე დიუვალი) 1.06; 7. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, პრეფიქტორ-ლოტო) 1.28; 8. სილვენ შავანელი (საფრანგეთი, კოფიდისი) 1.33; 9. ეზეკილ მოსკრა (ესპანეთი, კარპინ გალისია) 1.36; 10. ლეონარდო ბერტანიოლი (იტალია, ლიკიგაზი) 1.49...

TV სპორტი

8 სექტემბერი. შაბათი

იმედი

19:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. საქართველო-უკრაინა (LIVE).

I არხი

15:40 რაგბი. მსოფლიო თასი. ახალი ზელანდია-იტალია (LIVE).

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 მინი-მოედანი.
07:16 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-აინტრახტი.
09:00 სპორტნფორმი. ახალი ამბები.
09:12 სპორტის ისტორია.
09:27 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:55 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
11:40 სპორტკლუები ქართულ ფეხბურთზე.
12:17 ფეხბურთი. Barca TV.
12:25 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. დი სი იუნაიტედი-ჩივასი.
14:13 ფეხბურთი. Barca TV.
14:23 სპორტის სამყარო.
14:51 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
15:20 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
15:33 სპორტდოსიე.
16:03 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-ფიორენტინა.
17:51 სპორტის ისტორია.
18:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. შოტლანდია-ლიტვა (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ინგლისი-ისრაელი (LIVE).
21:55 ფეხბურთი. Barca TV.
22:03 აფრისნონა.
22:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. შვედეთი-დანია (LIVE).
00:25 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-პოლონეთი (LIVE).
02:12 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი.
03:57 სპორტდოსიე.
04:31 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
04:48 ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. დი სი იუნაიტედი-ჩივასი.
06:31 სპორტკლუები ქართულ ფეხბურთზე.

EUROSPORT

10:30 ჩოგბურთი.
10:45 ფეხბურთი. ევრო 2008.
11:00 ტრამპლინიდან ხტომა. ზაფხულის გრან-პრი. ხაკუბა. იაპონია (LIVE).
13:00 ზაფხულის ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. გამოდგენებით რბოლა. მამაკაცები. ოტეპიაა. ესტონეთი (LIVE).
13:45 ზაფხულის ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. გამოდგენებით რბოლა. ქალები. ოტეპიაა. ესტონეთი.
14:15 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. 1/2 ფინალი.
15:15 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. მრავალჭიდი. ფინალი. შტუტგარტი. გერმანია.
16:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები, ქალები. ინდივიდუალური ფინალები. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ვუელტა. VIII ეტაპი (LIVE).
19:45 ფეხბურთი. ევრო 2008.
20:00 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/2 ფინალი (LIVE).
02:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მიმოხილვა.
02:15 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. 1/2 ფინალი. თურქეთი.
03:45 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. ფინალი (LIVE).

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
13:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. აზერბაიჯანი-ბულგარეთი. თურქეთი.
14:15 ახალი ამბები.
14:45 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. საბერძნეთი-ესპანეთი.
15:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. უნგრეთი-იტალია.
16:15 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. რუსეთი-პოლონეთი.
17:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. 1/2 ფინალი. პოლონეთი (LIVE).
18:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. I რბოლა. მონაკო. იტალია (LIVE).
19:15 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-გერმანია. თურქეთი (LIVE).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. იტალია-ბულგარეთი. თურქეთი (LIVE).
23:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია.
00:00 ხელბურთი. EHF-ის ჩემპიონთა ლიგა. ნინასწარი ეტაპი. საპასუხო მატჩები.
01:00 ახალი ამბები.
01:15 პრო-რესტლინგი.
02:15 ახალი ამბები.
03:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მიმოხილვა.
04:00 ახალი ამბები.

9 სექტემბერი. კვირა

I არხი

17:55 რაგბი. მსოფლიო თასი. სამხრეთ აფრიკა-სამოა (LIVE).

SPORT 1 (უკრაინა)

07:08 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. შვედეთი-დანია.
08:53 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. უნგრეთი-ბოსნია.
10:40 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. შოლანდია-ბულგარეთი.
12:27 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ვასკო და გამა-სან პაულუ.
14:14 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. უელსი-გერმანია.
16:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები, ქალები. ინდივიდუალური ფინალები. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
19:00 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. რიეტი. იტალია (LIVE).
21:01 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. სლოვაკეთი-ირლანდია.
22:46 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
23:00 ფეხბურთი. სუდამერიკანას თასი. მიმოხილვა.
23:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. შოტლანდია-ლიტვა.
01:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. უელსი-გერმანია.
03:01 სპორტკლუები.
03:21 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ვასკო და გამა-სან პაულუ.
05:04 ფეხბურთი. Barca TV.
05:13 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ჰოლანდია-ბულგარეთი.

EUROSPORT

10:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. ქალები. ფინალი.
12:00 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. მონაკო. იტალია (LIVE).
12:45 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია.
13:15 ავტოსპორტი. პორშეს სუპრეთასი. მონაკო. იტალია (LIVE).
14:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. I რბოლა. გერმანია (LIVE).
15:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია (LIVE).
16:00 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები, ქალები. ინდივიდუალური ფინალები. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ვუელტა. IX ეტაპი (LIVE).
19:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩების მიმოხილვა.
00:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). ფინალი. ესპანეთი-ნიგერია. ს. კორეა.
21:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. უელსი-გერმანია.
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. შვედეთი-დანია.
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-პოლონეთი.
23:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. ფინალი. პოლონეთი.
00:00 მოტორსპორტი. საკვირაო ტელეჟურნალი.
00:30 ჩოგბურთი. აშშ-ის ღია პირველობა. მამაკაცები. ფინალი (LIVE).

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
11:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). მე-3 ადგილისთვის. განა-გერმანია. ს. კორეა (LIVE).
13:00 ახალი ამბები.
13:30 სუპერსტოკი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია.
14:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). ფინალი. ესპანეთი-ნიგერია. ს. კორეა (LIVE).
16:00 მოტობოლა. GSXR R-ის თასი. გერმანია (LIVE).
16:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-პოლონეთი.
19:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-ბულგარეთი. თურქეთი (LIVE).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. კვალიფიკაცია. ჯგუფური ეტაპი. რუსეთი-იტალია. თურქეთი (LIVE).
23:30 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. II რბოლა. გერმანია.
00:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი (17-წლამდელები). ფინალი. ესპანეთი-ნიგერია. ს. კორეა.
02:15 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევრო 2008

Under 21

იტალია-ფარერეები	2:1
ირლანდია-პორტუგალია	0:2
ჩერნოგორია-ინგლისი	0:3
ნორვეგია-პოლონეთი	0:1
დანია-ლიტვა	4:0
სლოვაკეთი-ისლანდია	2:2
ბელგია-ავსტრია	0:1
სან მარინო-უნგრეთი	1:5
ისრაელი-ლუქსემბურგი	3:0
ჩრ. ირლანდია-გერმანია	0:3
საფრანგეთი-უელსი	1:0

ამხანაგური მატჩები

ბაჰრეინი-ირლანდია	1:3
შვეიცარია-ჩილე	2:1
ავსტრია-იაპონია	0:0, პენ. 4:3
ლატვია (U21)-შვედეთი (U21)	2:4

ინგლისი

I ლიგა

ბრაიტონი-მილუოლი	3:0
ნორთჰემპტონი-დონკასტერი	2:0

II ლიგა

ჩესტერფილდი-ბერი	3:1
ჩესტერი-მორეკამბი	0:1
ლინკოლნი-ბრედფორდი	1:2
მილტონი-ნოტსი	3:0

გერმანია

რეგიონალლიგა (სამ)

ზიგენი-რეგენსბურგი	1:3

პოლანდია

II დივიზიონი

აპელდორნი-ვაალვიკი	2:6
კამბური-ფოლენდამი	2:1
დენ ჰაააგი-ემენი	2:2
ომმენფორდი-ბოგ ოსი	4:0
ფეფოლ-დენ ბოში	4:1
ალმერეი-ჰაარლემი	1:1
მაასბრეიტი-ფორგენა	4:1
როსენდალი-იმლუი	0:2
ბელტბარ-ფოდერეაგი	1:4
ვენლოი-ვინდოვენი II	4:1

დანია

II დივიზიონი

სონდერბორგ-კოლდინგი	2:2

ირლანდია

დერი-სტ. პატრიკ	1:0
გალვეი-დროგედა	1:1
უოტერფორდ-ბრეი	0:0
ლონგფორდ-სლაგო	1:1

უკრაინა

რამპლა-რიფერ პლეიტი	3:1

ქალთა ჩემპიონატი

ევროპის ჩემპიონატი

მამაკაცები

რუსეთი-პორტუგალია	78:65
ხორვატია-ისრაელი	75:80
ესპანეთი-საბერძნეთი	76:58

ფრენბურთი

ევროპის ჩემპიონატი

მამაკაცები

პოლონეთი-საბერძნეთი	2:3
პოლონეთი-ბელგია	1:3
სლოვაკეთი-სლოვენია	3:1
ფინეთი-ხორვატია	3:1
რუსეთი-თურქეთი	3:0
სერბეთი-გერმანია	1:3

პოკერი

გერმანია

პანოვერი-ფრანკფურტი	2:2
დიუსელდორფი-მანჰაიმი	4:2
ინგოლშტადტი-აუგსბურგი	3:5
კრეფელდი-ვოლფსბურგი	4:0
ნიურნბერგი-დეგისბურგი	4:1
შტრაუბინგი-იზერლონი	5:3

სლოვაკეთი

ზვოლენი-სკალიცა	4:3
კოშიცე-სლოვაკეთი (ახ)	3:1
მარტინი-სლოვანი	6:3
მიკულაში-ჟილინა	1:3
პოპრადი-ნიტრა	1:1
ბრატისლავა-კეჟმაროკი	4:4

ჩოგბურთი

WTA. აშშ-ის ღია

კუზნეცოვა-ჩაკვეტაძე	3:6, 6:1, 6:1
ანენი-ვ. უილიამსი	7:6, 6:4

ევრობასკეტი 2007. პირველი ეტაპის შეჯამება

სერბეთი მომავლის გუნდია

გახურდნენ ბიჭები, ვარსკვლავები ნელ-ნელა აზრზე მოდიან და იმედია, ევროპის ჩემპიონატის მეორე ჯგუფური ეტაპი უფრო შინაარსიანი კალათბურთით დაგვამახსოვრებს თავს. პირველ ეტაპზე თუ რაიმე იყო სანყენი, ალბათ, პირველ რიგში, სერბების გავარდნაა, რადგან პრინციპში, გუნდს ყველა მატჩში შეეძლო მოგება, თუმცა თითქმის დარწმუნებული ვართ, რომ ამ ეტაპზე ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა გუნდიდან, სერბებს მომავალში პლანეტის უძლიერესი ნაკრების ჩამოყალიბება შეეძლება. **მილოშ ტეოდოშიჩი** (1987 წელს დაბადებული), **ბრანკო ცვეტკოვიჩი** (1984), **ზორან ერჩეგი** (1985), **დრაგან ლაბოვიჩი** (1987), **შტეფან მარკოვიჩი** (1988), **ნემანია ალექსანდროვი** (1987), **მილენკო ტეპიჩი** (1987) და რაღა თქმა უნდა, გუნდის ვარსკვლავი **დარკო მილიჩიჩი** (1985) საკალათბურთო სამყაროს კიდევ აალაპარაკებენ. ჩვენ კი მეორე ეტაპზე გასული გუნდების შანსებს მიმოვიხილავთ.

E ჯგუფი

რუსეთი (2 მოგება-0 წაგება)

რუსეთის ნაკრები ჩემპიონატზე ჯერ-ჯერობით, საუკეთესო დაცვას თამაშობს. გუნდს **დევიდ ბლატის** სახით ძალიან ძლიერი სპეციალისტი უდგას სათავეში, რომელიც "ბენეტონშიც" მთავარ აქცენტს დაცვითი ბარიერების გამაგრებაზე აკეთებდა. რუსებს სწრაფი თამაშიც ხელეწიფებათ, რაც ნაკრებმა ბერძნებთან მეორე ნახევარში აჩვენა, როდესაც ნელ და მონოტონურ კალათბურთში ევროპის მოქმედი ჩემპიონი აშკარად უკეთ გრძნობდა თავს.

ბლატის ნაკრების აშკარა ლიდერი **ანდრეი კირილენკოა**, რომელსაც შეტევაში კვლავ დასაშვებზე მეტი წუნი აქვს, მაგრამ დაცვა... კირილენკო ტურნირის საუკეთესო დამცველია. "იუტას" წევრმა ორ პრინციპულ დაპირისპირებაში აჯობა სერბ **დარკო მილიჩიჩსა** და ბერძენ **ლაზაროს პაპადოპულოსს**. დიდი ძალაა **ჯონ რობერტ ჰოლდენიც**, თუმცა რუსეთი ძალიან ხშირად ჯარიმდება და ეს შეიძლება, ძვირად დაუჯდეს.

ხორვატია (2-0)

ხორვატებმა მძიმედ დაიწყეს ტურნირი და პირველივე მატჩში ლატვიასთან დამარცხდნენ. უსუსტეს პორტუგალიასთან გუნდს რამდენიმე ინდივიდუალისტის გამოცდილებაც ეყო, მერე კი ხორვატებმა ჩემპიონატის მთავარი სენსაციაც გამოჭედეს, როდესაც სევილიაში ესპანეთს მოუგეს.



პაუ გასოლი

გუნდის აშკარა ლიდერი "ნიუ ჯერსიში" **ჯეისონ კიდის** დუბლიორად ნამყოფი **ზორან პლანინჩიჩია**, თუმცა თავის წილ ქულებს **მარკო პოპოვიჩი** (ესპანეთთან 4 სამიანი ჩააგდო) და მისი სეხნია **ტომასიც** (მასპინძლებთან მატჩში გადამწყვეტი სამიანის ავტორი) აგროვებენ. ხორვატებს აქცენტი პერიმეტრულ შეტევაზე აქვთ გადატანილი და საამიასოდ საკმაოდ ნორმალური მსროლელებიც ჰყავთ, თუმცა მაინც გვგონია, რომ მეორე ჯგუფურ ეტაპზე ეს გუნდი მარტო ისრაელს თუ მოუგებს. ამასთან ერთად, ხორვატებმა მეტად უნდა გამოიყენოს უნიჭიერესი ცენტრი **მარიო კასუნიც**. თაობათა ცვლის პროცესი მტკივნეული რამაა...

ესპანეთი (1-1)

ამ გუნდის ერთადერთი პრობლემა საკუთარ თავში ზედმეტი თვითრწმენაა, თორემ შემადგენლობით, საკუთარი მოედნის ფაქტორითა და კიდევ ბევრი ნიუანსით, **პაუ გასოლის** გუნდი ტურნირზე აშკარად საუკეთესოა.

ხუან კალდერონი, რუდი ფერნანდესი, ფელიპე რეიესი, ხორხე გარბახოსა, ვუნდერკინდი **სერხიო როდრიგესი** და რა თქმა უნდა, გასოლი - ვარსკვლავების გუნდმა წესით, ახლა უკვე თავისი მთელი ძალა უნდა დაგვანახოს, რაც ოპონენტთა წასალეკად სავსებით საკმარისი იქნება.

ესპანეთს ჰყავს უძლიერესი წინა ხაზი, სადაც პაუს მისი ძმა, ცოტა მოუქნელი, მაგრამ ფარქვეშეთში მაინც საკმაოდ პროდუქტიული **მარკი** ეხმარება. რეიესი სიბერეშიც კი საკმაოდ ძლიერი მომხსნელი და კარგი დამცველია, ხოლო გარბახოსას კი გამთამაშებლიდან დაწყებული, ცენტრით დამთავრებული, ყველა პოზიციაზე შეუძლია თამაში.

მასპინძლები მეორე ჯგუფურ ეტაპზე, ალბათ, ყველა მატჩს თავიანთ სასარგებლოდ დაასრულებენ, მერე კი ვნახოთ, მეორე ჯგუფიდან ვინ წამოვა. ისე, რა მნიშვნელობა აქვს, ესპანეთის ნებისმიერ შემთხვევაში ფავორიტი იქნება. საინტერესოა, როდემდე?

საბერძნეთი (1-1)

ისრაელთან მსაჯების მიერ ნაჩუქარი გამარჯვება, სერბეთთან ოვერტაიმში მოგებულ შეხვედრაში კიდევ ერთი სამსაჯო "საჩუქარი" და მეორე ნახევარში რუსეთთან გამოცხადებული კაპიტულაცია - აი, ჯერჯერობით, ასეთია ევროპის მოქმედი ჩემპიონების საამტურნირო მონაგარი.

აშკარად არ არიან ფორმაში გუნდის ლიდერები - **თეო პაპალუკასი, დემეტრიოს დიამანტიდისი** და ლაზაროს პაპადოპულოსი. პაპალუკასს პირველ სამ მატჩში 16 სროლიდან მხოლოდ 3 აქვს ჩაგდებული, ხოლო პაპადოპულოსის საშუალო მონაგარი კი 4 (!) ქულაა. ამასთან ერთად, მან 20 სროლიდან 14 გააფუჭა.

ერთადერთი, ვინც ასე თუ ისე, სტაბილურად თამაშობს **დიმოს დიკუდისია**, თუმცა ვეჭვობ, ტიტულის დასაცავად ბერძნებს მხოლოდ ეს რომ ეყოთ. იანაკისის გუნდს აშკარად აკლია ტრავმირებულები **ანტონიოს ფოცისი** და **სოფოკლის შორცანიდისი**, თუმცა შემადგენლობის მხრივ, მათ გარეშეც სოლიდურად გამოიყურებიან და თუ მეტი ჟინით ითამაშებენ, შედეგიც მოვა.

ისრაელი (0-2)

ფინალურ ეტაპზე ზედ ტურნირის წინ გამართული შესარჩევით რომ გახვალ, დაღლილ-დაქანცული საბერძნეთს ეომები და მერე სერბეთს მოუგებ, ოდენ კომპლიმენტებს იმსახურებ. შალომ, ძმებო, მაგრები ხართ, ოღონდ ნუ გვიწყენთ და მეოთხედფინალში არაფერი გესაქმებათ.

ოდედ კატაშისა და მისი დეკადის პლეადა კარგმა კალათბურთელებმა კი შეცვალეს, მაგრამ ამ გუნდს ჯერ უსაშველოდ ბევრი უკლია გრანდების კოჰორტაში შესვლამდე.

იანივ გრინი ერთ მატჩში საშუალოდ 14 ქულასა და 9 მოხსნას აგროვებს, გუნდის ლიდერიცაა, თუმცა მის გარდა ებრაელებს სტაბილური არავინ ჰყავთ და პრინციპში, გუნდი მეორე ჯგუფურ ეტაპზე გასვლითაც უზომოდ ბედნიერი უნდა იყოს. ალბათ, არის კიდეც.

პორტუგალია (0-2)

ლატვიასთან გმირული თამაშით პორტუგალიამ სენსაცია მოახდინა და ახლა მშვიდად წააგებს ყველა შეხვედრას. გუნდის საუკეთესო მექუღე **ჟოაო სანტოშია**, რომლის მონაგარიც 11.7 ქულაა, თუმცა მას თამაშიდან 22-ში მხოლოდ 7 სროლა აქვს გამოყენებული.

F ჯგუფი

ლიტვა (2-0)

პირველ ჯგუფურ ეტაპზე, ლიტველები ყველაზე ლამაზ და ამავე დროს, მძლავრ კალათბურთს თამაშობდნენ, რაც გასაკვირი ნამდვილად არ არის, ამ გუნდს ხომ **შარუნას იასიკიავიჩუსი** ჰყავს. გენიოსი ფლეიმეიქერი ერთ მატჩში საშუალოდ 14.3 ქულას, 7 შედეგიან გადაცემასა და 4.9 მოხსნას აგროვებს, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც მისი ლიდერობაა. თუ შარასი მოედანზეა, ლიტვა გამართულ, თითქმის უშეცდომო კალათბურთს თამაშობს, მისი დასვენებისთანავე კი გუნდს სერიოზული პრობლემები ექმნება.

ლიტვა საოცრად თანაბრადაა დაბალანსებული, თუმცა მომენტებში მაინც იგრძნობა **არვიდას მაციიაუსკასის** არყოფნა, რადგან ლიტველები შორიდან მთლად კარგად ვერ ისვრიან ბურთს. ოდნავ აქტიური უნდა იყოს **დარიუს სონგაილაც**, რომელიც ძირითადის ცენტრის კვალობაზე საკმაოდ ცოტა 3.9 მოხსნას აგროვებს.

და მაინც, ლიტვა ჩემპიონობისთვის გვემეტება. ამ გუნდს ესპანეთთან ერთად, ოქროსთვის ბრძოლის საუკეთესო შანსები აქვს. ძმები **ლავრინოვიჩებიც** ჯანზე არიან და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა (ანუ თუ ლიტვა და ესპანეთი ერთმანეთს მანამდე არ დაეჯახნენ), მაშინ შარასი თავის გუნდს მოედანზე ფინალურ შეხვედრაშიც გაიყვანს.

სლოვენია (2-0)

ბენო უდრიხის არყოფნის მიუხედავად, სლოვენიამ სამივე მატჩი მოიგო და პრინციპში მეორე ჯგუფური ეტაპიდან პლეიოფშიც უპრობლემოდ უნდა გავიდეს. ჯანმრთელია **რაშო ნესტეროვიჩი** და კაპიტნის სრული მზადყოფნა სლოვენიისთვის სწორედაც რომ მისწრეაა. სანაკრებო ამბებს მონატრებული **მატიაშ სმოდიშიც** ძველებურად აჯენს ტყვიას ტყვიაში, თუმცა სლოვენიისგან ჩემპიონობა მაინც შორს არის. ოთხეულში შესვლა კი, ალბათ, რეალური უნდა იყოს.

გერმანია (1-1)

ისევე, როგორც 2001-ში და მას მერე ჩატარებულ ყველა დიდ საერთაშორისო ტურნირზე, **დირკ ნოვიცკი** ამჯერადაც მარტო ებრძვის ყველას, თუმცა სადამდე "გაქაჩავს" ეს დევკაცი, ძნელი სათქმელია. ნოვიცკის ნაწილობრივ განეიტრალებაც რომ შესაძლებელია, ეს ლიტვამ დაგვანახა, როდესაც "დალასის" ვარსკვლავს პირველ ნახევარში ხეირიანი არაფერი გაუკეთებია. გერმანია იომებს, შეიძლება ერთი-ორი მატჩი კიდევ მოიგოს, მაგრამ საჩემპიონოდ ამ გუნდს შემადგენლობა არ უვარგა. ვეჭვობ, დირკმა გუნდი თუნდაც ოთხეულში გაიყვანოს.

საფრანგეთი (1-1)

საფრანგეთიც ერთი კაცის გუნდია. პირველ მატჩში **ტონი პარკერი** საკუთარ თავს არ ჰგავდა, თუმცა სუსტ პოლონეთთან, საფრანგეთმა "სპურსის" წევრის დომინაციის გარეშეც მოიგო. აი, მერე კი ათამაშდა NBA-ის ბოლო სუპერფინალის საუკეთესო კალათბურთელი და თან როგორ ათამაშდა - 36 ქულა იტალიასთან და 25 სლოვენიასთან, თუმცა ისიც გავიხსენოთ, რომ მას ბოლო წამზე ჯარიმა რომ ჩაეგდო, "ლურჯები" შეხვედრას ოვერტაიმში გადაიყვანდნენ. ადრეც აღვნიშნეთ და ახლაც ვიტყვით, რომ გუნდს აშკარად აკლია "გოლდენ სტეიტის" წევრი **მიკაელ პიეტრუსი**, რომელიც დაცვაშიც მაგრად დადგებოდა და თავის წილ 10-12 ქულასაც უპრობლემოდ მიითვლიდა. ეს დანაკლისი მეორე ჯგუფურ ეტაპზე უფრო თვალშისაცემი გახდება.

შარუნას იასიკიავიჩუსი

იტალია (0-2)

ნაკრები ნორმალური ცენტრის გარეშე. **დენის მარკონატო,** ალბათ, ქვედა დივიზიონშიც ვეღარ ივარგებს, ხოლო მარტო პერიმეტრიდან მეტოქის დაბომბვა სარისკო და დამღლელია. მართალია, იტალიამ საფრანგეთთანაც და სლოვენიასთანაც მხოლოდ ბოლოს დათმო მატჩები, მაგრამ გუნდს არ ჰყავს დომინანტი მაღალი. **ანდრეა ბარნიანი** სიმაღლეს, ისევ და ისევ, პერიმეტრზე იყენებს, ხოლო სამწამიანში კი თითქმის არ შედის. ძლიერია **ბელინელი,** თუმცა არა იმდენად, რომ **იაკა ლაკოვიჩსა** და განსაკუთრებით **ტონი პარკერს** დაცვაში სერიოზული პრობლემები შეუქმნას. სხვათა შორის, **დონ ნელსონმაც** დაუწუნა დაცვა იტალიელ უკანახაზელს (ბელინელი "გოლდენ სტეიტის" წევრია), რომელსაც სლოვენიასთან შეტევაშიც არაფერი გაუკეთებია. მედლებისთვის ბრძოლა არარეალურია, თუმცა ეს თაობა თავისას ისედაც იტყვის.

თურქეთი (0-2)

თურქებს გაუმართლათ, რომ ჯგუფში ჩეხეთიც ჰყავდათ, თორემ ეს გუნდი რომ უშველებელი დისტანციით ჩამოშორდა გრანდებს, ფაქტია და ამას თურქებიც მშვენივრად ხვდებიან.

საცოდაობაა **მეჰმეთ ოქურის** ცქერა, რომელიც თამაშიდან სროლების მხოლოდ 30 პროცენტს თუ იყენებს, ხოლო **ჰედო თურქოღლუ** რაც იყო, ისევ იმად დარჩა - ფსევდოგამთამაშებელი, რომელიც მოედანზე არავის ხედავს და ბურთს მხოლოდ მაშინ იძლევა, თუ სროლის შანსი ნულის ტოლი აქვს. თურქეთი ჯგუფში ყველა თამაშს წააგებს. ყველაზე საამედო ისევ ბებერი **იბრაჰიმ ქუთლუაია**, რომელიც კარგადაც თამაშობს და შეცდომებსაც ცოტას უშვებს.

ზურაბ თალაკვაძე

ჩემპიონატის ლიდერები

ქულა	
1. დირკ ნოვიცკი (გერ)	29.0
2. ტონი პარკერი (საფ)	25.7
3. პაუ გასოლი (ესპ)	23.7
4. მილან გურეოვიჩი (სერ)	19.0
5. ჰედო თურქოღლუ (თურ)	18.3
მოხსნა	
1. ანდრეი კირილენკო (რუს)	14.0
2. ანდრის ბიედრინსი (ლატ)	10.0
3. დარკო მილიჩიჩი (სერ)	9.3
4. იანივ გრინი (ისრ)	9.0
5. ადემოლა ოკულაჯა (გერ)	8.9
პასი	
1. შარუნას იასიკიავიჩუსი (ლიტ)	7.0
2. მასიმო გულერი (იტა)	5.3
3. ლუკაშ კოზარეკი (პოლ)	4.3
4. იაკა ლაკოვიჩი (სლო)	4.0
5. არმანდს სკელე (ლატ)	4.0
ჩაჭრა	
1. მასილის სპანულისი (საბ)	2.7
2. ირჟი ველში (ჩეხ)	2.3
3. ზორან ერჩეგი (სერ)	2.0
4. არმანდს სკელე (ლატ)	2.0
5. დემეტრიოს დიამანტიდისი (საბ)	1.7
დაფარება	
1. დარკო მილიჩიჩი (სერ)	3.3
2. ანდრეი კირილენკო (რუს)	2.0
3. პაუ გასოლი (ესპ)	1.7
4. დირკ ნოვიცკი (გერ)	1.7
5. ანდრის ბიედრინსი (ლატ)	1.3

ეროვნული სპორტული გაზეთი

განახლებულია
ბადრი პატარკაციშვილის
ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯალიზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოტა ხატისაშვილი
გესლი ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ
ბალახაძე, მერაბ გრძელიძე,
მამუკა ქანთარია,
ირაკლი დარცმელიძე,
ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია
ელიზბარაშვილი, ხათუნა
სამხარაძე, დავით გეგეჭკორი,
დავით შალუტაშვილი,
კოტა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და
ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა
1934 წლის 13 აპრილს
თბილისში, სახელწოდებით
"საქართველოს
ფიზკულტურელი".
1936-39 წლებში ერქვა
"ფიზკულტურელი",
"ლელომდე" დაიბეჭდა
362 ნომერი. 1949 წლის
10 ივლისს გაზეთი აღადგინა
მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა
გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს
ოლიმპიური
ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10³,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია,
პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98,
46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე.
ბარდა კვირისა